სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ
წიგნი **VI**

როლფ გოლობი და პიტერ კრაფი (რედაქტორები)

დემოკრატიის სწავლება

სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

დემოკრატიის სწავლება

სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის

რედაქტორები/ავტორები:
როლფ გოლობი
პიტერ კრაფი

ილუსტრაციები:
პეტი ვისკემანი

წიგნი VI
ექვსი წიგნისგან შემდგარი სერიიდან
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლება
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

სწავლების პროცესი, ცნებები, მეთოდები და მოდელები

ევროპის საბჭოს გამომცემლობა

ამ ნაშრომში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებელი არიან ნაშრომის ავტორები და ავტორისეული მოსაზრებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ გამოცემაში წარმოდგენილი ნებისმიერი მასალის თარგმნა, რეპროდუქცია, გავრცელება რაიმე ფორმით ან საშუალებით, ელექტრონული (CD-Rom, ინტერნეტი და ა. შ.), მექანიკური, მათ შორის, ფოტოასლებით, ჩანაწერით თუ ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა ნებისმიერი საშუალებით, კომუნიკაციის დირექტორატის საჯარო ინფორმაციისა და გამოცემების განყოფილების წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

მოცემული ნაშრომის მომზადებას, დიზაინსა და რედაქტირებას ხელმძღვანელობდა ციურიხის უნივერსიტეტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (Pädagogische Hochschule Zürich) განათლების საერთაშორისო პროექტი (www.phzh.ch/ipe).

გამოცემის თანადამფინანსებელია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC).

ტექსტი რედაქტირებულია და დამტკიცებულია ევროპის საბჭოს დოკუმენტაციისა და პუბლიკაციების საგამომცემლო განყოფილების მიერ

ილუსტრაციები: პეტი ვისკემანი
ყდის დიზაინი: პეტი ვისკემანი

მთარგმნელი: მაია გვიტიძე

რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი

დაკაბადონება: ბესიკ დანელია

ევროპის საბჭოს გამომცემლობა
F-67075 სტრასბურგი Cedex
http://book.coe.int

თანაავტორები
გამოცემაზე მუშაობდნენ:

ემირ ადჯოვიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
სალია აგიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
სუად ალიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
ირენა ბატიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
ემინა დედიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
ელიზაბეტ ჰოსლი – შვეიცარია
მირიანა კნეზევიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
დუნია ლაზიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
ფრანზისკა გერსტერი – შვეიცარია
ჰელენ ლემანი – შვეიცარია
საბრინა მარუნჩედუ – შვეიცარია
მიშელ ჰეროდე – ბელგია
რეტო მორიცი – შვეიცარია
მონიკა ნობსი – შვეიცარია
მიშელ რაპი – გერმანია
ვალერია შოუ – დიდი ბრიტანეთი
ვედრანა სპაჟიც–ვრკასი – ხორვატია
კეიტ სპრაგი – შვეიცარია
ზორან სტოიანოვიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
ზდრავკო სუნკიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
ვალერია ტრავისი – დიდი ბრიტანეთი
კემალ ველაგიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა
უილტრუდ უენდინგერი – შვეიცარია

სარჩევი

შესავალი.....7

თავი 1 – საკლასო გარემოს შექმნა

წინასიტყვაობა.....10

1.1. ბარათების დაწყვილება.....

1.2. უფლებები, პასუხისმგებლობები და წესები კლასში.....

1.3. პირადი გერბი.....

1.4. ყვავილების თაიგული.....

1.5. ჩინური ჩხირები.....

თავი 2 – ღირებულებების განსაზღვრა

წინასიტყვაობა.....20

2.1. ტივობანა.....

2.2. ღირებულებათა სისტემები.....

2.3. ცხოვრების ფილოსოფია.....

თავი 3 – ადამიანის უფლებების გაცნობა

წინასიტყვაობა.....27

3.1. ადამიანის უფლებების პოსტერი.....

3.2. თოკები.....

3.3. ადამიანის უფლებათა ხე.....

3.4. გასეირნება საჰაერო ბუშტით.....

3.5. სურვილები და საჭიროებები .....

3.6. საგანძურის სკივრი.....

თავი 4 – როგორ აღვიქვამთ გარშემომყოფებს

წინასიტყვაობა.....39

4.1. ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია.....

4.2. განსხვავება.....

4.3. ტყუილი თუ მართალი.....

4.4. პირველი შთაბეჭდილება.....

4.5. ყველას გვაქვს ცრურწმენები.....

4.6. ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ, მაგრამ ზოგნი უფრო მეტად.....

4.7. ტურისტები.....

4.8. ვთამაშობთ ლოტოს: „ჩვენ, ადამიანები მსოფლიოს ვეკუთვნით“.....

თავი 5 – სამართლიანობის აღსრულება

წინასიტყვაობა.....52

5.1. ეს უსამართლოა.....

5.2. გამონაკლისი.....

5.3. ასაწყობი სურათი.....

5.4. კანონის დანიშნულება.....

5.5. სამართლიანობის სხვადასხვაგვარი აღქმა.....

თავი 6 – პოლიტიკური ფილოსოფიის გაცნობა

წინასიტყვაობა.....64

6.1. პოლიტიკური აზროვნების ძირითადი კონცეპტები.....

6.2. დამოკიდებულებები ხელისუფლებისადმი.....

6.3. მე რომ ჯადოქარი ვიყო.....

თავი 7 – მონაწილეობა პოლიტიკაში

წინასიტყვაობა.....71
7.1. სიჩუმის კედელი.....
7.2. ჩემი მოსაზრებები დიქტატურაზე.....
7.3. კითხვარი ცვლილებისადმი დამოკიდებულებების შესახებ.....
7.4. დაგეგმარების პროექტი.....
7.5. ჩვენ და მსოფლიო.....
7.6. უნდა მივიღოთ მონაწილეობა პოლიტიკაში?.....
7.7. რა გავლენას ახდენს მთავრობა ჩვენს ცხოვრებაზე?.....
7.8. დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის გზები.....
7.9. პოლიტიკური ციკლი.....

თავი 8 – კონფლიქტის მოგვარება
წინასიტყვაობა.....91
8.1. მოგება-მოგება პრინციპი.....
8.2. სტრუქტურული მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი.....
8.3. ოჯახური და წყვილებს შორის კონფლიქტი.....
8.4. გონებრივი იერიში კონფლიქტსა და მშვიდობაზე.....
8.5. ქანდაკებები.....
8.6. სასჯელი კონფლიქტის პოზიტიური მოგვარების წინააღმდეგ.....
8.7. უმცირესობები.....
8.8. ომისა და მშვიდობის სურათები.....

ილუსტრაციები
წინასიტყვაობა.....106
1. საკლასო გარემოს შექმნა.....107
2. ღირებულებების განსაზღვრა.....108
3. ადამიანის უფლებების გაცნობა.....109
4. როგორ აღვიქვამთ გარშემომყოფებს.....110
5. სამართლიანობის აღსრულება.....111
6. პოლიტიკური ფილოსოფიის გაცნობა.....112
7. მონაწილეობა პოლიტიკაში.....113
8. კონფლიქტის მოგვარება 114

შესავალი

1. რას გვთავაზობს წინამდებარე წიგნი?

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს 47 სავარჯიშოსა და მოდელისგან შემდგარ კრებულს და განკუთვნილია სკოლებსა და არაფორმალური განათლების დაწესებულებებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისთვის. მოცემული სასწავლო მოდელები ხელსაყრელ გარემოს ქმნის მოსწავლეთა აქტივობისთვის, სთავაზობს მათ მაგალითებს და გზას უკვალავს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპების აღქმისკენ (ინდუქციური მეთოდი, პრაქტიკული სწავლება).

როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოთი სარგებლობისას მიხვდებით, მოდელთა უმეტესობა მცირე და მარტივ რესურსებს მოითხოვს (დაბალი ბიუჯეტის პრინციპი).

ამ მოდელთა მორგება ხდება გაკვეთილის, ან არა უმეტეს ოთხი გაკვეთილისგან შედგენილი თავის კონტექსტზე; მოდელები, ჩვეულებრივ, სამ საფეხურს მოიცავს:

1. გაკვეთილი ან თავი იწყება შესავლით, სადაც მოცემულია გაკვეთილის თემის, დანიშნულებისა და მიზნების განმარტება. მოსწავლეები ამ ეტაპზე ინტერესს იჩენენ თემისადმი.

2. მოსწავლეები იღებენ ინსტრუქციას იმის თაობაზე, თუ როგორ შეასრულონ სავარჯიშო და, ასევე, იღებენ საჭირო მასალას. ამის შემდეგ ისინი შეუდგებიან ამოცანის შესრულებას.

3. ეს არის აზროვნების, განხილვისა და ინსტრუქციების მიღების ეტაპი, რომლის დროსაც გამოიყენება მარტივი მეთოდები, როგორიცაა მოსწავლეთა რეაგირება, ჯგუფური განხილვა, კრიტიკული აზროვნება და მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის იმ ძირითადი ცნებების გაცნობა, რომელიც საფუძვლად უდევს მოდელს. ამ მესამე ეტაპის გარეშე მოსწავლეებს ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ისინი მხოლოდ თამაშობენ.

პირველი და მესამე ეტაპები არ ემსახურება მოდელის პრეზენტაციას (ეტაპი 2). სახელმძღვანელოში შესული თავების წინასიტყვაობებში მოკლედ არის აღწერილი ის ძირითადი ცნებები და საკითხები, რომელიც მოცემული სავარჯიშოების არსს წარმოადგენს. აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ მასალას, რომელიც მესამე ეტაპზე გამოგადგებათ. ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია გამოცდილი მასწავლებლებისთვის, რომლებიც მზად არიან, დიდი დრო დაუთმონ გაკვეთილისთვის მზადებას. მზადება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მესამე ეტაპის ყურადღებით და გულდასმით დაგეგმვას: რა ინფორმაციას მომაწვდიან ჩემი მოსწავლეები? რა ემოციებს აღძრავს ეს სავარჯიშო მათში? რა არის ძირითადი ცნება, რომელსაც ჩემი მოსწავლეები ადვილად აღიქვამენ? როგორ მივაწოდო ეს ცნება მათ? როგორ შეძლებენ ისინი მის შემდგომ გამოყენებას?

იმას, თუ რომელ კითხვებს აირჩევს მასწავლებელი და როგორ უპასუხებს მათ, განაპირობებს მოსწავლეთა ჯგუფის რაგვარობა, მათი ასაკი და კულტურა. აქ მოყვანილი ზოგიერთი მოდელის მაგალითები ჩვენ შემოგთავაზეთ *სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ* სერიით გამოცემულ სხვა წიგნებში, სადაც მოცემული იყო დაწვრილებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შესრულდეს ეს მოდელები.

სახელმძღვანელოში შესული სავარჯიშოები გათვლილია მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე. ზოგიერთი მოდელი უფრო კომპლექსური და აბსტრაქტულია და, გამომდინარე აქედან, გათვლილია უფრო წარმატებულ მოსწავლეებზე.

2. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, ერთიანი ევროპული მიდგომა

სახელმძღვანელოში შესულ მოდელებში სწავლებისა და სწავლის განსხვავებული მიდგომები და მეთოდებია გამოყენებული. ზოგიერთი მათგანი რეალურ გამოცდილებაზეა აგებული (მაგ. „ყვავილების თაიგული“ ან „ასაწყობი სურათი“). სხვა მოდელები მოსწავლეების მხრიდან როლების თამაშს გულისხმობს (მაგ. „ტურისტები“). აქვე შესულია მესამე კატეგორიის სავარჯიშოებიც, რომლებიც გარკვეულ თემას მოიცავს და მასალის შესწავლას მოითხოვს (მაგ. „პოლიტიკური აზროვნების ძირითადი ცნებები“). დასასრულს, სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს პროექტებში მონაწილეობას, რომლის შედეგიც არის მათ მიერ შექმნილი პროდუქტი (მაგ. „ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი პოსტერი“).

გამოყენებულ მეთოდთა მრავალფეროვნება მეტყველებს იმაზე, რომ ამ წიგნის ავტორები არიან გამოცდილი სპეციალისტები ევროპის ყველა კუთხიდან, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით სახელმძღვანელოს შექმნაში, სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა წყაროსა და ტრადიციის მოწოდებით და იმ მოდელების შერჩევით, რომელთა მართებულობაც დამტკიცებულ იქნა მათი პრაქტიკული გამოცდილებით. მიუხედავად ამისა, წიგნის ყველა ნაწილი დასტურია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისადმი ერთიანი მიდგომისა: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გამოყენებული მეთოდი შეიცავს მნიშვნელოვან გზავნილს. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა **შესახებ** სწავლება ამ პრინციპების სულისკვეთებით უნდა ხორციელდებოდეს, რაც ნიშნავს დემოკრატიის სწავლებას ადამიანის უფლებების დაცვის **საშუალებით**. სწორედ ამ მიზნით, მოდელები აგებულია პრაქტიკული სწავლისა და პირადი გამოცდილების პრინციპებზე. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ამგვარ აღქმას ჭეშმარიტად შეიძლება ეწოდოს ერთიანი ევროპული მიდგომა.

ამ წიგნის თავდაპირველი გამოცემა შეიქმნა როგორც დამხმარე სახელმძღვანელო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში, მასწავლებელთა დახელოვნების მიზნით გამართული სემინარებისათვის, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, ომის (1992–1995 წლები) შემდგომ პერიოდში. 1996 წლიდან მოყოლებული, 2006 წლამდე ევროპის საბჭო აქტიურად იყო ჩართული მასწავლებელთა დახელოვნების საქმიანობაში და რეგულარულად აწყობდა სემინარებს, რომელთა მიზანიც ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობის დამყარების პროცესის ხელშეწყობა იყო. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებამ უნდა გაამხნეოს ახალგაზრდა თაობა, რათა მათ შეძლონ, შექმნან პოლიტიკური კულტურა, რომელზეც თანამედროვე პლურალისტული და ტოლერანტული საზოგადოების კეთილდღეობა იქნება დამოკიდებული, თავისი მყარი დემოკრატიული ინსტიტუციებით.

პირველი ორი წლის განმავლობაში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, ამ წიგნის ავტორები ზაფხულობით მასწავლებელთა დახელოვნების ორკვირიან სემინარებზე იყრიდნენ თავს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ მასწავლებლები იყვნენ მოწადინებული, მიეღოთ ის გამოწვევა, რომელსაც მათ მოსწავლეებისთვის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება სთავაზობდა. ამისთვის სახელმძღვანელო მასალა სჭირდებოდათ, რომლის დახმარებითაც შეძლებდნენ აღებული ვალდებულებების უკეთ შესრულებას. ერთ წელიწადში მზად იყო ამ წიგნის პირველი გამოცემა, რომელიც მალევე გახდა ცნობილი „ლურჯი ბროშურის“ სახელით, რაც ასოცირდებოდა ევროპის საბჭოსთან და ფართოდ გამოიყენებოდა მასწავლებლების მიერ არა მარტო ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, არამედ სხვა ქვეყნებში, მათ შორის, რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მოლდავეთში, ხორვატიაში, სერბეთსა და მონტენეგროში. მასწავლებლებმა, რომლებიც სარგებლობდნენ ამ წიგნის პირველი გამოცემით, დიდი წვლილი შეიტანეს მისი გაუმჯობესებული ვერსიის გამოცემაში 2000 წელს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბევრი მასწავლებელი პრაქტიკული სწავლისა და კომბინირებული, პრაქტიკული და კონცეპტუალური სწავლება–სწავლის (როგორც ეს ზემოთ მოცემულ სამსაფეხურიან მოდელში გამოჩნდა) განხორციელებისას დახმარებასა და სახელმძღვანელო მასალას საჭიროებდა.

ჩვენ ამ საჭიროების პასუხად შევქმენით სწავლების მოდელები, სადაც დეტალურად არის მოცემული ოთხი გაკვეთილისგან შემდგარი სწავლების ციკლის აღწერა. ამ მოდელთა ვერსიები შეგიძლიათ იხილოთ სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ წიგნთა სერიაში, წიგნი III, IV და V.

ამ გამოცემაში მოცემული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მოდელები სცდება იმ ვიწრო ჩარჩოებს, რომლისთვისაც იგი თავდაპირველად შეიქმნა – ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მაშინ არსებული კონტექსტის ჩარჩოებს. ვინაიდან სწავლების აქ მოცემული მოდელები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისადმი ერთიან ევროპულ მიდგომას გამოხატავს, მისი გამოყენება შესაძლებელია ევროპის მასშტაბით და, მაშასადამე, მსოფლიო მასშტაბითაც. ამ წიგნში შესულ თითოეულ ნაწილს სხვადასხვა ავტორი ჰყავს, რომელთაგანაც ყველამ თანაბარი წვლილი შეიტანა სახელმძღვანელოს შექმნაში. ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შეირჩეს და ტრადიციასა და კულტურაზე იქნას მორგებული ის მეთოდები და მიდგომები, რომელთაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისადმი ერთიანი ევროპული მიდგომა გვთავაზობს.

გვსურს, მადლიერება გამოვხატოთ ავტორთა მიმართ იმ წვლილის გამო, რომელიც მათ ამ წიგნის შექმნაში შეიტანეს. ასევე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ მასწავლებლებს, მეთოდისტებს, ტრენერებს და განათლების სპეციალისტთა გუნდს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, რომლებიც იყვნენ პირველნი, ვინც პრაქტიკაში დანერგა წიგნში შესული მოდელები და მნიშვნელოვანი მოსაზრებები მოგვაწოდა მათ დახვეწასთან დაკავშირებით. მადლობას ვუხდით ქ–ნ ილაფსდოტირსა და ქ–ნ სარა კითინგ–ჩეთვინგს ევროპის საბჭოდან, იმ გულმოდგინებისა და გულისხმიერებისთვის, რომელიც მათ მთელი ამ პროექტის განხორციელების მანძილზე გამოიჩინეს; შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) განათლების საერთაშორისო პროექტის შემუშავებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის; ციურიხის უნივერსიტეტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს, რომელიც ხელმძღვანელობდა პროექტის განხორციელებას. და ბოლოს, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ სარაევოში ევროპის საბჭოს პროექტების კოორდინატორის ბ–ნ ემირ ადზოვიჩის წვლილი, რომელმაც უდიდესი დახმარება აღმოგვიჩინა გორაზდეში, სარაევოში, ბანჯა ლუკასა და სხვა ტერიტორიებზე სემინარების ორგანიზების საკითხში, რომლის ფარგლებშიც გაჩნდა და განხორციელდა იდეა ამ წიგნის თავდაპირველი ვერსიის შექმნისა და რისი შედეგიც არის წინამდებარე სახელმძღვანელო.

ციურიხი და ვეინგარტენი, 2008 წლის ივლისი

როლფ გოლობი

პიტერ კრაფი

თავი 1 – საკლასო გარემოს შექმნა

წინასიტყვაობა

სურათზე ნაჩვენებია მოსწავლეები, კლასში მუშაობის პროცესში. მარცხნივ გოგონა და ბიჭი ერთად მუშაობენ მასალაზე, რომელიც მერხზე დადებულ გლობუსსაც მოიცავს. ისინი, როგორც ჩანს, ერთმანეთთან დისკუსიაში არიან ჩაბმული. უკანა ფონზე მოსწავლე ან, სავარაუდოდ, მასწავლებელი კლასის წინაშე პრეზენტაციით გამოდის. მარჯვნივ მერხზე მჯდომ გოგონას ხელი აქვს აწეული და ელოდება, როდის მისცემენ მოსაზრების გამოთქმის უფლებას. კლასში ყველა გულმოდგინედ და, როგორც ჩანს, სიამოვნებით მუშაობს. საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანესი გავლენა აქვს მუშაობისა და სწავლის პროცესზე.

მომდევნო ხუთი სავარჯიშოს დანიშნულებაა კლასში ისეთი გარემოს შექმნა და დამკვიდრება, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, თავი კომფორტულად და დაცულად იგრძნონ. ეს არის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც სწავლებისა და სწავლის ნაყოფიერებას განაპირობებს. არაჰარმონიული გარემო სწავლებისა და სწავლის პროცესზე დამანგრეველად მოქმედებს და მისი დარეგულირება დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ბევრი საერთო აქვს კარგ და ეფექტურ სწავლებასთან. და ეს ჭეშმარიტება არა მარტო მოცემულ ხუთ მოდელზე, არამედ წიგნში შესულ ყველა სავარჯიშოზე ვრცელდება.

წარმოდგენილ მოდელებზე მუშაობისას მათ ძირითად ამოცანად საკლასო გარემოს შექმნა არ მოიაზრებოდა; ისინი მოსწავლეებისთვის უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი გზავნილის მატარებელია. განათლების სისტემაში ამჟამად მიმდინარე რეფორმის მიზანს მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს მოსწავლეებისთვის ჩამოყალიბებული, თითქოსდა დროის მიერ გამოცდილი ცოდნის გადაცემის ნაცვლად, უფრო დინამიკური, მუდმივი სწავლის კონცეფციის შეთავაზება, რაც კომპეტენციების გამომუშავება–განვითარებაზეა ორიენტირებული, და არა ფაქტებისა და მონაცემების აკუმულირებაზე. ამ თვალსაზრისით, სკოლა მიჩნეულია მიკროსაზოგადოებად, სადაც მოსწავლეები გამოცდილებით იძენენ იმ პრობლემებთან გამკლავების უნარს, რომელიც მათ შემდგომ ცხოვრებაში გამოადგებათ, როგორც ზრდასრულ მოქალაქეებს. მოცემული სავარჯიშოები ეხმარება მოსწავლეებს, შექმნან თავიანთი მიკროსაზოგადოება: მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთს, თანხმდებიან წესებზე, რომელიც მათ ჯგუფში მოქმედებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, უვითარდებათ თვითშეფასების უნარი, აყალიბებენ საკუთარ ინდივიდუალობას და თანამშრომლობენ სხვა მოსწავლეებთან. მოცემული სავარჯიშოები თანაბრად მნიშვნელოვანი და შესაფერისია როგორც

მოზრდილი, ასევე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის, თუმცა აღქმის დონე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებული იქნება.

და ბოლოს, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით, მოცემული სავარჯიშოები წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის *საშუალებითა* და *სულისკვეთებით.* ყოველი მოსწავლე წარმოადგენს პიროვნებას, რომელსაც საკუთარი და განსაკუთრებული წვლილი შეაქვს იმ საზოგადოებაში (მოცემულ შემთხვევაში – კლასში), რომელსაც იგი ეკუთვნის. საზოგადოებამ ყოველი მოსწავლისადმი უნდა გამოიჩინოს ინტერესი და პატივისცემა. წესები ყველაზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს. ეს შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: „რასაც მე მოველი სხვისგან, ისინიც იმასვე უნდა მოელოდნენ ჩემგან“. მოსწავლეებმა კარგად უნდა გააცნობიერონ ეს გზავნილი, რადგან მსჯელობა და კრიტიკული აზროვნება სწავლის პროცესში აუცილებელია.

სავარჯიშო 1.1. – ბარათების დაწყვილება

საგანმანათლებლო მიზანი:	მოცემული სავარჯიშო საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მშვიდობიანად დაამყარონ კონტაქტი სხვებთან.
შენიშვნა:	მასწავლებლებს შეუძლიათ, ეს სავარჯიშო ჯგუფში მოსწავლეების სწავლის მოთხოვნილებებისა და მოლოდინის შესაფასებლად გამოიყენონ.
რესურსები:	ბარათები, რომლებიც ქმნიან წყვილებს.

მსვლელობა

1. მასწავლებელი მოსწავლეებს არეულად ურიგებს ბარათებს და სთხოვს, იპოვონ მოსწავლე, რომელსაც მისი ბარათის წყვილი ერგო.

2. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ერთმანეთს იპოვიან, 5–10 წუთის განმავლობაში საუბრობენ, რათა ერთმანეთის შესახებ მოიპოვონ ძირითადი ინფორმაცია:

   – სახელი და გვარი

   – ინფორმაცია ოჯახის შესახებ

   – საცხოვრებელი ადგილი

   – საყვარელი ცხოველი, მუსიკალური ჯგუფი ან ფერი და ა.შ.

3. მოსწავლეები ისევ ერთად იყრიან თავს. ყოველ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, კლასს წარუდგინოს თავისი პარტნიორი.[1]

4. მოსწავლეები სხდებიან წრეზე. მოსწავლეების საუბარში გამოწვევის მიზნით, მასწავლებელი სთხოვს მათ, დაასახელონ, რა იყო მათთვის ახალი მიღებული ინფორმაციიდან და რამ გამოიწვია მათი გაკვირვება.

გაგრძელება

შეიძლება ამ სავარჯიშოს გაგრძელება. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან მუშაობისას, სთხოვეთ, ერთად მოიყარონ თავი იმ მოსწავლეებმა, რომელთა საყვარელი ფერიც არის წითელი. მოსწავლეები ქმნიან პატარა ჯგუფებს და მსჯელობენ.

ალტერნატიული ვარიანტი

მოსწავლეები ირჩევენ თავიანთი პარტნიორის წარდგენის სხვადასხვა გზას, მაგალითად, მიმიკით და ჟესტების ენით, საკუთარი პარტნიორის შესახებ პოსტერის შექმნით, ან მათზე ლექსის დაწერით.

მასალა

ბარათები, რომელზეც გამოსახული ან დაწერილი იქნება ისეთი რამ, რაც სხვა ბარათზე გამოსახულის ან დაწერილის წყვილს ქმნის.

---

[1] ამის შესახებ მასწავლებელი მათ სავარჯიშოს დაწყებამდე ატყობინებს, რათა მოსწავლეებმა მოიპოვონ ის ინფორმაცია, რის შესახებაც მათ სურთ საუბარი პარტნიორის წარდგენისას.

ბარათზე დაწერილი ან გამოსახული უნდა იყოს მარტივი ცნებები, რაც სირთულეს არ შეუქმნის მცირეწლოვან, ან შეზღუდული აკადემიური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ სავარჯიშოს შესრულებაში.

ვარდი – ეკალი	დღე – ღამე	დანა – ჩანგალი	ფეხსაცმელი – წინდა
ნათელი – ბნელი	მარილი – პილპილი	კალამი – ფურცელი	მაგიდა – სკამი
ცხელი – ცივი	მაღალი – დაბალი	ძლიერი – სუსტი	ზევით – ქვევით
ჩართული – გამორთული	ღია – დახურული	დიდი – პატარა	სწრაფი – ნელი
სუფთა – ჭუჭყიანი	უსწორმასწორო – გლუვი	შეჩერდი – იარე	დასაწყისი – დასასრული
კარგი – ცუდი	კი – არა	მეგობარი – მტერი	მსუქანი – გამხდარი
მზე – მთვარე	ძმა – და	ბიჭი – გოგო	

სავარჯიშო 1.2. – უფლებები, პასუხისმგებლობები და წესები კლასში

საგანმანათლებლო მიზანი:	სავარჯიშოში გამოყენებულია ეტაპობრივი მიდგომა, მოსწავლეები დემოკრატიული გზით თანხმდებიან წესებზე, რომელიც შემოღებული იქნება მათ კლასში. მოსწავლეები აანალიზებენ, რომ მათ წვლილს დიდი მნიშვნელობა აქვს და მათ აქვთ შესაძლებლობა, ზეგავლენა იქონიონ წესების შემუშავებაზე. მათ უჩნდებათ „საკუთრების“ შეგრძნება და კლასში, როგორც მიკროსაზოგადოებაში, აქტიური მონაწილეობის გამოცდილებას იძენენ. მოსწავლეები აცნობიერებენ კავშირს უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და წესებს შორის (იცავენ კანონებს კლასში).
რესურსები:	სამ თანაბარ ნაწილად დაყოფილი დიდი ფორმატის ფურცლები.

მსვლელობა

1. კლასის დაჯგუფების „თამაშის“ გამოყენებით (ბარათების დარიგება, ჟონგლიორთა, მევიოლინეთა და ა.შ. ჯგუფების შექმნის მიზნით), კლასი იყოფა სამ, ექვს ან ცხრა ჯგუფად, კლასის მოცულობის გათვალისწინებით. თითო ჯგუფი უნდა შედგებოდეს არა უმეტეს ხუთი მოსწავლისგან. ჯგუფებს ენიჭებათ შესაბამისი ნომრები ა, ბ, გ.

2. თითოეული ჯგუფი ირჩევს მომხსენებელს. მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, მოკლედ გააცნონ კლასს, თუ რა პრინციპით აირჩიეს მომხსენებლები.

3. ყოველ ჯგუფს ურიგდება სამ ნაწილად დაყოფილი თითო ფურცელი. ფურცლის ზედა მესამედში მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ საკუთარი ჯგუფის მოსაზრებების შესახებ იმის თაობაზე, თუ რა უფლებებით სარგებლობს კლასის ყოველი ინდივიდუალური წევრი (მათ შორის, მასწავლებელიც). მათ ყველა თავიანთი მოსაზრება პუნქტების სახით უნდა დაიტანონ ფურცელზე, ამ მიზნით გამოყოფილ ნაწილში.

4. მოსწავლეები პასუხობენ შემდეგ კითხვებს: რამდენად წარმატებით გავართვით თავი მოცემულ ამოცანას? რას აკეთებდა თითოეული ჩვენგანი, რამაც დახმარება გაგვიწია? რა გვიშლიდა ხელს?

5. მოსწავლეთა ჯგუფები ცვლიან თავიანთ ნამუშევრებს (ა ჯგუფი გადასცემს ბ ჯგუფს, ბ ჯგუფი – გ ჯგუფს, გ ჯგუფი – ა ჯგუფს).

6. შემდეგ ყოველი ჯგუფი, კითხვებზე პასუხის მეშვეობით, განიხილავს სხვა ჯგუფის მიერ შედგენილ უფლებათა ჩამონათვალს: რა პასუხისმგებლობა გვეკისრება ამ უფლებების დასაცავად? რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის? როგორ უნდა მოვიქცეთ? მაგალითად, „ყველას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი“, „ჩვენი პასუხისმგებლობაა, მოვუსმინოთ ერთმანეთს“.

   მოსწავლეები ფურცლის შუა მესამედ ნაწილში ჩამოწერენ პირველ მესამედში მოცემული უფლებების შესაბამის პასუხისმგებლობებს (იმ შემთხვევაში, თუ მათ შეუძლიათ, მოუნახონ უფლებას შესაბამისი პასუხისმგებლობა), იმავე ნუმერაციის დაცვით.[2]

7. მასწავლებლის ჩართვა: წესები წესებისთვის.

   – მოიფიქრეთ რამდენიმე წესი, რომელიც კლასში გაკრული იქნება გაკვეთილის დაწყებამდე.

---

[2] მოსწავლეებს ხანდახან უჭირთ, ყველა უფლებას მოუნახონ შესაბამისი პასუხისმგებლობა.

– წესები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული – **გააკეთე** რამე, ნაცლად იმისა, რომ **არ გააკეთო** არაფერი.

– წესები შესაბამისი უნდა იყოს და განსაზღვრავდეს კლასში ქცევის მოთხოვნებს. მაგალითად, ყველას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი; ჩვენი პასუხისმგებლობაა, მოვუსმინოთ ერთმანეთს; *წესი:* არ იხმაურო, როცა სხვა საუბრობს.

8. ჯგუფები ამჯერადაც ცვლიან თავიანთ ნამუშევრებს. თითოეული ჯგუფი ეცნობა წინა ორი ჯგუფის ნამუშევარს და თანხმდება მაქსიმუმ ხუთ წესზე, რომელიც მსხვილი ასოებით უნდა იყოს დატანილი ფურცლის ქვედა მესამედ ნაწილში. მოსწავლეებმა ფურცლის ეს მესამედი ნაწილი უნდა ჩამოაჭრან დანარჩენს და გამოაკრან კედელზე. ჯგუფების მომხსენებლები სიტყვით გამოდიან და მთელ კლასს აცნობენ მათი ჯგუფის მიერ შემუშავებულ წესებს.

   მასწავლებელი უძღვება მოსწავლეების მიერ გამართულ განხილვას. მოსწავლეები გამოყოფენ არასაჭირო, უსარგებლო წესებს, აერთიანებენ წესებს, რომლებიც ერთმანეთის ანალოგიურია, ან ტოვებენ მათგან ერთ–ერთს. ზოგიერთმა ჯგუფმა შეიძლება პროტესტი გამოთქვას მის მიერ შემუშავებული წესის ამოღებაზე, ზოგი კი - თავისუფლად დათანხმდეს. მოსწავლეები უნდა შეეცადონ, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც ყველა ეთანხმება. ნაცვლად იმისა, რომ ამოღებულ იქნას ჯგუფის მიერ შემოთავაზებული წესი, შესაძლებელია, მოსწავლეებმა გადადონ ეს წესი შემდეგი განხილვისთვის.

9. მოსწავლეები კენჭს უყრიან წესებს. თითოეულ მათგანს აქვს ოთხი არჩევანის გაკეთების უფლება – აქვს ოთხი ჟეტონი, რომლის გამოყენებითაც მათ ხმა უნდა მისცენ იმ წესებს, რომლებიც, მათი მოსაზრებით, კლასში უნდა მოქმედებდეს. მოსწავლეებს შეუძლიათ, თავიანთი სურვილისამებრ გამოიყენონ საკუთარი ხმები, მაგალითად, ოთხივე ხმა ერთ წესს მიანიჭონ, ან გადაანაწილონ სხვადასხვა წესზე. ოთხი წესი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, შეტანილი იქნება კლასის წესდებაში. მოსწავლეები გადაიტანენ მათ ფურცელზე; თითოეული მოსწავლე თავის ხელმოწერას დაურთავს ფურცელს და იგი გამოიკვრება კედელზე. ეს წესები კლასში მუდმივად უნდა მოქმედებდეს.

10. შეჯამება: რა დაგვეხმარა? რა იყო ხელის შემშლელი? რაში მდგომარეობს თითოეული ჩვენგანის მიერ წესების შემუშავებაში შეტანილი წვლილი? შეგიძლიათ, დაასახელოთ მოსწავლე ან მოსწავლეები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს წესების შემუშავებაში? რაში გამოიხატება მათ მიერ შეტანილი წვლილი?

    მოსწავლეებს პირველად ეძლევათ შესაძლებლობა, გამოიყენონ მათ მიერ შემუშავებული წესები. მასწავლებელს შეუძლია, შეაქოს ის მოსწავლეები, რომლებიც ზედმიწევნით იცავენ წესებს. მასწავლებელი შეძლებისდაგვარად უნდა ეცადოს, არ გაამახვილოს ყურადღება იმ მოსწავლეებზე, რომლებიც წესებს არღვევენ, ეს მათთვის სამარცხვინო დაფაზე გაკვრის ტოლფასი იქნება.

სავარჯიშო 1.3. – პირადი გერბი

საგანმანათლებლო მიზანი:	
	თვითშეფასების ამაღლება; მოსწავლეებს ეძლევათ სტიმული, განსაზღვრონ თავიანთი დადებითი მხარეები. ჯგუფები აყალიბებენ საერთო მიზნებს.
შენიშვნა:	სავარჯიშო საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სწრაფად და აქტიურად ჩაებან მუშაობაში. განსაკუთრებით პროდუქტიულია მოცემული სავარჯიშოს შეტანა ახლად ჩამოყალიბებულ კლასში ან კურსის დასაწყის ეტაპზე.
რესურსები:	პოსტერი გერბის გამოსახულებით, მოსწავლეთა თითოეული ჯგუფისთვის, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, სურათები ჟურნალებიდან და ა.შ.

მსვლელობა

1. კლასის დაჯგუფების „თამაშის“ გამოყენებით (ბარათების დარიგება, ჟონგლიორთა, მევიოლინეთა და ა.შ. ჯგუფების შექმნის მიზნით), კლასი იყოფა ჯგუფებად. თითო ჯგუფი უნდა შედგებოდეს ოთხი მოსწავლისგან.

2. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. მათ აქვთ ერთი, საერთო ფურცელი, სადაც გამოსახულია გერბის კონტურები; გარდა ამისა, ყოველ მათგანს აქვს გერბის ძირითადი კონტურიდან ამოჭრილი მეოთხედი.

3. ამოცანა:

   ინდივიდუალური სამუშაო:

– გააკეთეთ ჩანაწერები შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემის საშუალებით:

- – როგორ აღიქვამ საკუთარ თავს?
- – რა გჭირდება?
- – რისი კეთება შეგიძლია?
- – რას ნანობ, როცა შენს ცხოვრებაზე ფიქრობ?

– დახატე (ან აარჩიე) ერთი ან რამდენიმე სიმბოლო, რომელიც ესადაგება შენი ჩანაწერების შინაარსს (გამოიყენე ფერადი ფურცლები, ფლომასტერები, სურათები ჟურნალიდან და ა.შ.).

ჯგუფური სამუშაო:

– განუმარტე შენი სიმბოლოების მნიშვნელობა შენი ჯგუფის წევრებს;
– დააწებეთ თქვენ მიერ გაფორმებული ნაწილები სათანადო ადგილას საერთო გერბზე;
– შექმენით ან იპოვეთ თქვენი გუნდის საერთო სიმბოლო და დაიტანეთ გერბის ცენტრში; მოიფიქრეთ ლოზუნგი, რომელიც გამოხატავს თქვენს საერთო მოსაზრებას და დაიტანეთ გერბის ზედა ნაწილში გამოსახულ გრაგნილზე; მოიფიქრეთ სახელწოდება თქვენი ჯგუფისთვის და დაიტანეთ გერბის ქვედა ნაწილში გამოსახულ დროშაზე.

4. თქვენი გერბი დასრულებული სახით წარუდგინეთ კლასს და გამოფინეთ სხვა ჯგუფების მიერ შექმნილი გერბების გვერდზე.

მასალა:

(იხ. შემდეგ გვერდზე)



სავარჯიშო 1.4. – ყვავილების თაიგული

საგანმანათლებლო მიზანი:	
	სავარჯიშოს მიზანია, ჯგუფური მუშაობისას უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩართულობა; ჯგუფური ერთსულოვნება და თვითშეფასების ამაღლება. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ჯგუფის ყოველი წევრი უნიკალური და განსხვავებულია და, ამავდროულად, ჯგუფის წევრები ერთმანეთს ავსებენ და ამით განაპირობებენ ჯგუფის სიძლიერეს.
რესურსები:	მოსწავლეთა ფოტოები, ზომით არა უმეტეს 3 სმ² (გამოდგება ნახატი ავტოპორტრეტიც). ყვითელი ან ნარინჯისფერი მრგვალი ფორმის ფურცლები ზომით 6 სმ², რომელიც ყვავილის გულს ქმნის. ყვავილის ფურცლების ფორმაზე დაჭრილი, ნათელი ფერების ფურცლები, ფერადი ბაფთები, ფერადი ფანქრები, მარკერები, ფლიპჩარტის ორი ფურცელი, წებო ან სხვა დასაწებებელი მასალა.

მსვლელობა

1. ყველა მოსწავლეს ურიგდება მრგვალი ფორმის ფურცელი, რომელზეც ისინი საკუთარ ფოტოებს აკრავენ.

2. თითოეული მოსწავლე იღებს 6–6, ყვავილის ფურცლების ფორმის ფერად ფურცელს, სადაც წერს ერთი ან ორი დადებითი შინაარსის სიტყვას, შემდეგ კითხვებზე პასუხის სახით:

   – როგორ დაახასიათებს მათ მასწავლებელი;
   – როგორ დაახასიათებს მათ მათი ოჯახის მამრობითი სქესის წევრი;
   – როგორ დაახასიათებს მათ მათი ოჯახის მდედრობითი სქესის წევრი;
   – როგორ დაახასიათებენ ისინი თავიანთ თავს;
   – როგორ დაახასიათებს მათ მათი მეგობარი;
   – როგორ დაახასიათებს მათ რომელიმე თანაკლასელი, სკოლელი ან საზოგადოების რომელიმე წევრი.

3. მოსწავლეები თავიანთი ფოტოების გარშემო აწებებენ ყვავილის ფურცლებს, რაც ქმნის ყვავილის გვირგვინს.

4. მასწავლებელი, ან თვითონ მოსწავლეები ყვავილების გვირგვინებს განალაგებენ ფლიპჩარტზე.

5. მასწავლებელი, ან თვითონ მოსწავლეები ყვავილების გვირგვინებს ღეროებს უხატავენ ისე, რომ გამოვიდეს თაიგული. ფერადი ბაფთით გაფორმება თაიგულს განსაკუთრებულ იერს შესძენს.

გაგრძელება

მოსწავლეები სხდებიან წრეზე და მსჯელობენ. ეს მოსწავლეებს ეხმარება, აღიქვან სიმბოლოს დატვირთვა: თაიგული თავის სილამაზეს დაკარგავს, თუ რომელიმე ყვავილის გვირგვინი დააკლდება (საზოგადოება); ყოველი გვირგვინი განსხვავებულია და რაღაც განსაკუთრებულს სძენს თაიგულს (პიროვნების ღირსება); ამავდროულად, ყველა ყვავილი ერთნაირად მნიშვნელოვანია (თანასწორობა). ზედა საფეხურის მოსწავლეებთან შესაძლებელია ფრჩხილებში მოცემული ცნებების შემოტანა.

სავარჯიშო 1.5. – ჩინური ჩხირები

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები ეჩვევიან გუნდურ მუშაობას. ისინი საკუთარი გამოცდილებით აცნობიერებენ, რას ნიშნავს, იყო დამოკიდებული სხვაზე და სხვა იყოს დამოკიდებული შენზე (ურთიერთდამოკიდებულება).
რესურსები:	ჩინური ჩხირები ან ფანქრები, ბურთულიანი კალმები და ა.შ. (დაახლოებით 15 სმ სიგრძის)

მსვლელობა

1. მოსწავლეები იყოფიან დაახლოებით რვა–რვაკაციან ჯგუფებად. მასწავლებელი ჯგუფებს აცნობს თავიანთ ამოცანას: ჯგუფებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ რბოლაში (შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, უმჯობესია, სავარჯიშო ჩატარდეს სკოლის ეზოში).

2. ჯგუფები ლაგდებიან მწკრივებად, ჯგუფებს შორის 1–1.5 მეტრის დაშორებით.

3. მოსწავლეები საჩვენებელი თითის წვერებით აქეთ–იქიდან იჭერენ ჩინურ ჩხირებს (ან ფანქრებს, ბურთულიან კალმებს). ჩხირები აკავშირებს გუნდების წევრებს ერთმანეთთან.

4. მოსწავლეებმა, ისე, რომ ხელი არ გაუშვან ჩხირებს, უნდა მიაღწიონ მიზნამდე, მაგალითად, ეზოს ბოლომდე. თუ გუნდიდან ორი მოსწავლე ხელს გაუშვებს მათ დამაკავშირებელ ჩხირს, მთელი გუნდი უბრუნდება საწყის პოზიციას და თავიდან იწყებს სირბილს. გუნდს თავად შეუძლია, აირჩიოს საკუთარი სტრატეგია, თუ როგორ დაფაროს გასარბენი მანძილი ისე, რომ არ გაწყდეს კავშირი გუნდის წევრებს შორის.

   იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გაუჭირდებათ მოსწავლეებს ამ სავარჯიშოს შესრულება, წესები შეიძლება გართულდეს ან გამარტივდეს.

გაგრძელება

1. ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება დამკვირვებლის ფუნქცია იტვირთოს და კომენტარი გააკეთოს იმის თაობაზე, თუ როგორ თანამშრომლობდნენ გუნდის წევრები ერთმანეთთან.

2. სავარჯიშოს შესრულების პროცესი შეიძლება ფირზე იქნას გადაღებული და შემდეგ გაიმართოს განხილვა გუნდების მიერ დემონსტრირებული თანამშრომლობის შესახებ.

თავი 2 – ღირებულებების განსაზღვრა



წინასიტყვაობა

თანამედროვე საზოგადოებაში ჩვენ შეგვიძლია - და უნდა - ავირჩიოთ კიდევაც ის ღირებულებები, რომლებიც, ჩვენი ხედვით, მნიშვნელოვანი და ფასეულია ჩვენთვის. ამგვარი არჩევანის გაკეთებისას, ჩვენ ვსარგებლობთ პიროვნების აზრისა და მრწამსის თავისუფლებით, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლებით, როდესაც ჩვენი მოსაზრებები საჯაროდ გამოგვაქვს. მოცემულ თავში შესული სავარჯიშოები ადამიანის უფლებათა ძირითად პრინციპს ეფუძნება – პიროვნების თავისუფლებას.

როგორც ილუსტრაცია გვიჩვენებს, პიროვნების თავისუფლება არჩევანის გაკეთების აუცილებლობას გულისხმობს. თავისუფალი ადამიანი არავისზე არ არის დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღებისას. არავინ უთითებს მას, თუ რა ირწმუნოს, ან რა ღირებულება აირჩიოს. არჩევანის გაკეთება აუცილებლობას წარმოადგენს – სხვაგვარად ვერ გავერკვევით, რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში. ღირებულებების არჩევა ახალგაზრდებს ეხმარება იმის განსაზღვრასა და კითხვაზე პასუხის გაცემაში: ვინ ვარ მე? რაში მდგომარეობს ჩემი ინდივიდუალობა?

ამ საკითხს თუ საზოგადოების მთლიანობის თვალსაზრისით შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ პიროვნების თავისუფლება პლურალური საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს, სადაც საზოგადოების წევრებს განსხვავებული ღირებულებები და რწმენა გააჩნიათ. პლურალიზმი შესაძლოა კონფლიქტის წყაროდ იქცეს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ საერთო ღირებულებებს, რასაც დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება, როგორიცაა, კომპრომისისთვის მზაობა, ძალადობის დაუშვებლობა, უმცირესობათა ინტეგრაცია. როგორც წესი, თუ საზოგადოების წევრები წარმატებით თანხმდებიან დავისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მშვიდობიანი და არაძალადობრივი მეთოდების გამოყენების წესებზე, მათ შესწევთ ძალა, აღმოფხვრან მათ შეხედულებებსა და ინტერესებს შორის არსებული დაპირისპირება.

ეს საკითხები თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მიკროსაზოგადოებაში, როგორიცაა კლასი, ასევე, ზოგადად, ნებისმიერ საზოგადოებაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში არც ცალკეულ პიროვნებას და არც ხელისუფლებას არა აქვს უფლება, განსაზღვროს საერთო ღირებულებები. მოქალაქეები მოლაპარაკების გზით თანხმდებიან გარკვეულ ღირებულებებზე. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის კომპეტენციაში არ შედის ღირებულებების განსაზღვრა პოლიტიკური მიზანშეწონილობისა თუ გარკვეული რწმენისა და იდეოლოგიის მიხედვით. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, როგორ ისარგებლონ საკუთარი აზრის თავისუფლებით და როგორ გაუზიარონ საკუთარი არჩევანი სხვას.

მოცემული სავარჯიშოების მიზანს მოსწავლეებისთვის მოლაპარაკებების წარმოების უნარის გამომუშავება წარმოადგენს. ისინი ეცნობიან შექცევადობის ძირითად პრინციპს; ხვდებიან, რომ ჩვენ მიერ ღირებულებების არჩევანს დიდად განაპირობებს ჩვენი სოციალური სტატუსი და ინტერესები. ყოველი სავარჯიშოს შესრულებისას, ის, თუ როგორ კამათობენ მოსწავლეები – მშვიდობიანი მეთოდებით, ურთიერთპატივისცემის პრინციპის გათვალისწინებით – ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას უჭერენ ისინი მხარს და რის წინააღმდეგ გამოდიან.

სავარჯიშო 2.1. – ტივობანა

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები ეცნობიან ღირებულების ცნებას. მოსწავლეები სწავლობენ, როგორ ამოიცნონ ცრუ სტერეოტიპები.
რესურსები:	ბარათები, რომელზეც მოცემულია პერსონაჟების აღწერა.

მსვლელობა

ტივი, რომელზეც ცხრა ადამიანი იმყოფება, დინებამ ღია ზღვაში გაიტაცა. მათ არ იციან, ზუსტად სად იმყოფებიან. ტივი ძალიან პატარაა იმისთვის, რომ ყველა მათგანი დაიტიოს. საჭიროა ოთხი მგზავრის ტივიდან ზღვაში გადაგდება.

ვინ უნდა იყოს ეს ოთხი მგზავრი და რატომ მაინცდამაინც ისინი?

მოსწავლეები იღებენ თითო ბარათს, სადაც აღწერილია ის პერსონაჟი, რომლის როლიც უნდა შეასრულონ.

მათი ამოცანა მხოლოდ როლის შესრულებით არ შემოიფარგლება; თავიანთი პერსონაჟის მოკლე დახასიათების გამოყენებით, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, მოიფიქრონ ის მიზეზები, თუ რატომ იმსახურებს მათი პერსონაჟი ტივზე დარჩენას უფრო მეტად, ვიდრე სხვა პერსონაჟები. მოსწავლეები საუბრობენ პირველ პირში – „მე“. ბარათებში აღწერილია სიტუაცია და ის, თუ რა რისკის წინაშე დგანან პერსონაჟები. კლასში, პირველი ათი წუთის განმავლობაში, სრული სიჩუმე უნდა სუფევდეს.

1. მოსწავლეები მუშაობენ ოთხ–ექვსკაციან ჯგუფებად.

   ყოველი ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დარჩეს ტივზე და გადარჩეს, იმ არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც როლების შემსრულებელი მოსწავლეების მიერ იქნა წამოყენებული. მოსწავლეებს შორის ინტერაქციის გასაღრმავებლად, სასურველია, როლების შემსრულებელმა მოსწავლეებმა არა მარტო წამოაყენონ არგუმენტები საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით, არამედ პოლემიკაში შევიდნენ ერთმანეთთან. კოლექტიური გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ ვინ გადააგდონ ნავიდან, მიღებული უნდა იყოს 20 წუთის შემდეგ.

2. თითოეული ჯგუფი განცხადებას აკეთებს ჯგუფის წევრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე; ჯგუფები ერთმანეთს ადარებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს.

3. კლასი ერთად ცდილობს, ამოიცნოს ის ღირებულებები და ცრუ სტერეოტიპები, რომელიც სავარჯიშოს შესრულების დროს გამოიკვეთა.

მასალა

სხვადასხვა პერსონაჟის მაგალითები

35 წლის დეკორატორი, მარტოხელა, აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ მოძრაობაში.	ბოშა, რომელიც ახლახან გამოვიდა ციხიდან.
აივ დადებითი მეძავი.	მოხუცი ქალი, ქვრივი, რომელიც საკუთარ სამშობლოში ბრუნდება შვილის სანახავად, თან მიაქვს საკუთარი დანაზოგი.
რუსი პიანისტი, ორი შვილის მამა.	ინგლისელი სკინჰედი ნასვამ მდგომარეობაში.
15 წლის მოზარდი, მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჯილდოს ლაურეატი.	მოხუცი ამერიკელი, წარსულში კარგად ცნობილი ბეისბოლის მოთამაშე.
ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.	ახალგაზრდა დედა, რომელსაც ფეხი აქვს მოტეხილი.
სამხედრო მოსამსახურე, რომელიც კუთვნილი შვებულებიდან ბრუნდება.	

სავარჯიშო 2.2. – ღირებულებათა სისტემები

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ განსხვავებული ღირებულებები კონფლიქტის შესაძლო წყაროს წარმოადგენს.
რესურსები:	ფურცლები და კალმები, სამუშაო ფურცელი, განსხვავებული ღირებულებების ჩამონათვალით.

მსვლელობა

თითოეულ მოსწავლეს ვაწვდით ყოველგვარი სისტემისა და რიგითობის დაცვის გარეშე შედგენილ, 20 ღირებულების ჩამონათვალს: წარმატება საზოგადოებაში, სიყვარული, მორჩილება, უსაფრთხოება, მშვიდობა, წესრიგი, ადამიანის ღირსება, კმაყოფილება საკუთარი თავით, თანასწორობა, სხვებისადმი პატივისცემა, პატიოსნება, ოჯახი, სოლიდარობა, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, ტოლერანტობა, თავისუფლება, კონკურენცია, ჯანმრთელობა, პატრიოტიზმი.

1. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში.

2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააჯგუფონ ღირებულებები სამ კატეგორიად: პირველი კატეგორია – ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი; მეორე კატეგორია – ჩვენთვის ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი; მესამე კატეგორია – გაურკვეველი მნიშვნელობის, ის ღირებულებები, რომლებიც პირველ ორ კატეგორიაში არ შევიდა. მოსწავლეები მუშაობენ აუჩქარებლად და დაფიქრებით.

3. წყვილები იყოფიან და ქმნიან ორ ჯგუფს. ჯგუფები მართავენ დისკუსიას.

   წყვილების მიერ დახარისხებულ ღირებულებათა არც ერთი ჩამონათვალი არ შეიძლება იყოს მეორეზე უკეთესი ან პირიქით. მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაო არ ფასდება.

   მასწავლებელმა უნდა აღნიშნოს განსხვავება მარტივ, იდეალურ ღირებულებებსა და ქმედით ღირებულებებს შორის – ღირებულებებს, რომლებიც გარკვეული ტიპის ქცევას ან მოქმედებას მოითხოვს.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, შეინახონ იმ ღირებულებათა სია, რომელიც მათ პირველ კატეგორიაში შეიყვანეს.

გაგრძელება

1. მოსწავლეები ქმნიან სამ-სამკაციან ჯგუფებს და ერთმანეთს ადარებენ თავიანთ რჩეულ ღირებულებათა ჩამონათვალს, შემდეგ კითხვებზე პასუხების საშუალებით:

   – რატომ ავირჩიე ეს ღირებულება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი?
   – აქვს ამ ღირებულებას კავშირი რამე პრაქტიკულ ქცევასთან?
   – რა დაბრკოლებას შეიძლება წავაწყდე მისი რეალიზებისას?
   – რა კონფლიქტში ვარ გარეული?
   – როგორ მოვაგვარო იგი?
   – რა სხვაობაა ინდივიდუალურსა და ჭეშმარიტად კოლექტიურ ვალდებულებებს შორის?

2. მოსწავლეები ახარისხებენ ღირებულებებს კატეგორიებად, მაგალითად, ზოგადი ეთიკა, ან ადამიანის უფლებები, პრაქტიკული ღირებულებები, ზოგადი ან სოციალური წარმატება.

რომელი კატეგორია შეიძლება იყოს მიჩნეული ყველაზე მნიშვნელოვნად?

როდესაც არჩევანის წინაშე დგება, პიროვნებამ შეიძლება იმოქმედოს დაუფიქრებლად, საკუთარი ჩვევიდან გამომდინარე, ან ეძებოს მოქმედების მიზეზი. ჩვენს ღირებულებებზე მაშინ ვფიქრდებით, როდესაც ჩვენს თავს ვუსვამთ შეკითხვას არა იმაზე, თუ რა არის მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალება, არამედ იმაზე, თუ რას წარმოადგენს თავად მიზანი.

3. ინტერესთა შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, ამ პროცესის საშუალებით ვიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღებია. პირადი ინტერესების დაცვისას, ზოგჯერ ჩვენ იძულებული ვართ, გამოვიყენოთ მორალი, ამ პროცესში ჩართულია გარკვეული პრინციპები. პიროვნების პატივისცემა არის პრინციპი – წესი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება რაიმე მოქმედებაზე დათანხმება ან უარის თქმა.

   ყველაზე სანდო კრიტერიუმი იმის გასარკვევად, ქცევის გარკვეული წესი შეესაბამება თუ არა პიროვნებისადმი პატივისცემას, არის შექცევადობა. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს, სხვათა ინტერესებს ჩვენი ინტერესების ტოლფასი მნიშვნელობა მივანიჭოთ.

   მოსწავლეებმა ჯგუფურად მუშაობის პირობებში უნდა ჩამოაყალიბონ რამდენიმე პრინციპი, როგორიცაა:

   – კანონის დაცვა ყოველთვის სავალდებულოა.
   – ყველას აქვს უფლება, იცხოვროს ისე, როგორც მას მართებულად მიაჩნია.

   ამის შემდეგ მათ შეუძლიათ ამოიცნონ, გამოთქმულიდან რომელი იყო მოსაზრება და რომელი პრინციპი.

სავარჯიშო 2.3. – ცხოვრების ფილოსოფია

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ღირებულებებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.
რესურსები:	პოსტერზე ან დაფაზე დატანილი ცხოვრების სხვადასხვა სტილის ჩამონათვალი.

მსვლელობა

1. მოსწავლეები აფასებენ თითოეულ „ცხოვრების სტილს“ შემდეგი სკალის მიხედვით:

   7 – ძალიან მომეწონა
   6 – მომეწონა
   5 – საკმაოდ მომეწონა
   4 – არა მაქვს გარკვეული დამოკიდებულება
   3 – არ დამაინტერესა
   2 – არ მომეწონა
   1 – საერთოდ არ მომეწონა.

2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეუდარონ საკუთარი შეფასებები ერთმანეთის შეფასებებს წყვილებში ან სამ–ოთხკაციან ჯგუფებში.

გაგრძელება

მოსწავლეები თავად აღწერენ ცხოვრების იდეალურ სტილს (ისინი უნდა მოერიდონ საკუთარი ამჟამინდელი ცხოვრების სტილის აღწერას). არკვევენ, რა წინააღმდეგობები იჩენს თავს მათ მიერ აღწერილ ცხოვრების იდეალურ სტილსა და მათ მიერვე არჩეულ ღირებულებებს შორის.

მასალა

(იხ. შემდეგ გვერდზე)

ცხოვრების სხვადასხვა სტილი

1. ცხოვრებაში საჭიროა შემდეგი: თავდაჭერილობა, ინტელექტი, უკიდურესობებში ჩავარდნისგან თავშეკავება, მეგობრობა, თვითკონტროლი, დისციპლინა, წინდახედულობა, კარგი მანერები და გარკვეული ტრადიციებისადმი პატივისცემა.
2. ცხოვრებაში მთავარია ინდივიდუალური და ინტელექტუალური თავისუფლება; მატერიალური და ფიზიკური სამყაროსადმი გულგრილი დამოკიდებულება უნდა გქონდეს.
3. ცხოვრებაში მნიშვნელოვანია მძაფრი ემოციები, სიყვარული, ერთგულება, საკუთარი ინტერესებისა და ვნებების კონტროლი, სხვებისადმი გულღია დამოკიდებულება. თავდაჯერებულობას, ძალაუფლებისადმი ლტოლვას და ეგოტიზმს/თავზე გადაჭარბებულ წარმოდგენას/ არ უნდა ენდო და დაემორჩილო.
4. დატკბე ცხოვრებით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეცადო, შეცვალო მსოფლიო: უარი ვთქვათ ეთიკაზე, დისციპლინასა და თავგანწირვაზე; ადამიანებთან ურთიერთობა საჭიროა, მაგრამ დროდადრო უნდა განმარტოვდე
5. აუცილებელია, შენი წრე გყავდეს და ადამიანებთან დაახლოვდე დამეგობრების განზრახვით. ცხოვრებაში მნიშვნელოვანია ადამიანებთან ურთიერთობა და მოქმედება, ასევე მნიშვნელოვანია, უარი თქვა საკუთარ ფიქრებთან განმარტოებასა და განდეგილობაზე, მატერიალურ ინტერესებზე. დადებითი ემოციების გაცემა და სიხარულის სხვებთან ერთად გაზიარება არის საუკეთესო, რაც შეიძლება ცხოვრებისგან მიიღო.
6. ადამიანი უნდა იყოს აქტიური და არ გაურბოდეს არანაირ ფიზიკურ დატვირთვას, მუდმივად იკვლევდეს სამყაროს, სადაც ის ცხოვრობს, ეძებდეს ფიზიკურ შეგრძნებებს, უპირატესობას ანიჭებდეს მუშაობას, არ მიეცეს ფიქრსა და ოცნებებს, არ უნდა იზრუნოს კომფორტზე და არ უნდა იყოს თვითკმაყოფილი.
7. დღეები ერთმანეთს მისდევს, მაგრამ ყოველი მათგანი განსხვავებულია. ცხოვრების არსი ცვალებადობასა და ცვლილებებთან შეგუებაში მდგომარეობს. ყველა ადამიანი უნდა ცდილობდეს, არ გამოაკლდეს მნიშვნელოვან მოვლენებს და არ დარჩეს მათ მიღმა; და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ უნდა დაემონოს იდეებს.
8. ცხოვრებაში მნიშვნელოვანია მარტივი სიამოვნების ფორმები: კომფორტი, მეგობრობა, დასვენება, ჯანმრთელობა; უარი უნდა ვთქვათ მძაფრ, კომპლექსურ სიამოვნებებზე, უნდა გამოირიცხოს ამბიცია და ფანატიზმი.
9. მთავარია, მზად იყო და შეგეძლოს თავისუფლად მიიღო სიამოვნებაც და წარმატებაც, რომელიც თავისთავად მოვა შენს ცხოვრებაში, დაელოდე!
10. აუცილებელია, ფლობდე კონტროლს საკუთარ თავზე, იყო ფხიზლად, უნდა გესმოდეს, რომ სამყარო ძლიერია და ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი აქვს. უნდა იყო გულუხვი, მაგრამ არა უტოპისტი/მეოცნეე, იცხოვრე ღირსეულად და აკონტროლე საკუთარი თავი.
11. მედიტაცია აუცილებელია. სამყარო უსაზღვრო და აგრესიულია. სულიერება არის ცხოვრების არსი და მასთან ახლოსაც ვერ მოვა ამაო და მტკივნეული მატერიალური სამყარო, რომელზეც უარი უნდა ვთქვათ.
12. მოქმედება, მიზნების განხორციელება, გამოწვევების მიღება, შექმნა, შენება: ჩვენი სხეული, ხელები, კუნთები - ეს არის ჩვენი ცხოვრება. უარი უნდა ვთქვათ კეთილგონიერებაზე, კომფორტზე და რელაქსაციაზე.
13. ადამიანი შექმნილია მორჩილებისთვის. სხვებს უნდა გამოადგე, რათა პიროვნებად ჩამოყალიბდე. მიანდე თავი სამყაროს; იყავი თავმდაბალი, პრინციპების ერთგული, კეთილსინდისიერი, დამყოლი, ხათრიანი. მიიღე ის, რაც გეძლევა, სიკეთე თესე.

თავი 3 – ადამიანის უფლებების გაცნობა

წინასიტყვაობა

ილუსტრაციაზე გამოსახულია მთელი რიგი იმ საგნებისა, რომელიც კარგად არის ცნობილი ბავშვებისთვის და ახალგაზრდა თაობისთვის. ყოველი მათგანი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ადამიანის ან ბავშვის ერთ-ერთი უფლების სიმბოლო – კარავი (დასვენება), ქოლგა (დაცვა), თეფში კერძით (ფიზიკური მოთხოვნილებები), წიგნი (განათლება, აზრის თავისუფლება), სათამაშო დათუნია (მოცალეობა და გართობა), დროშა (სახელმწიფოს მიერ მოქალაქის უფლებების დაცვა), პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები (სამედიცინო მომსახურება), კონვერტი (კომუნიკაციისა და გამოხატვის თავისუფლება), სახლი (საკუთრება). გლობუსი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო ხასიათის სიმბოლო. საგნები ერთმანეთის თავზეა განლაგებული და ჩვენ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორ ბრუნავს თითოეული მათგანი. ამგვარად, ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნიან. მთლიანობაში მათ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ცალ–ცალკე აღებულს. თუ ერთ–ერთ საგანს გამოვაცლით, მთელი სტრუქტურა ჩამოიშლება.

ეს ილუსტრაცია იმის მანიშნებელია, თუ რამდენად ძლიერი შეიძლება აღმოჩნდეს ერთი შეხედვით მარტივი სიმბოლო. ადამიანის უფლებების სიმბოლოებთან დაკავშირების სავარჯიშო შეიძლება მივცეთ მცირეწლოვან მოსწავლეებსაც, ისევე როგორც ზედა საფეხურის მოსწავლეებს, თავისთავად. ამით მათ საშუალება ეძლევათ, თავიანთი გამოცდილება ადამიანის უფლებებთან დააკავშირონ და გააანალიზონ მათ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების მნიშვნელობა. ამ თავში მოცემული რამდენიმე სავარჯიშო ამ მიდგომაზეა აგებული.

მოცემულ თავში წარმოდგენილი სავარჯიშოები ადამიანის უფლებებს ეხება – ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ბირთვს. სხვა თავებში ყურადღება გამახვილებულია, მაგალითად, ღირებულებებზე, რაც ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების დაცვის *საშუალებით* სწავლებას – სადაც ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს პედაგოგიურ მიდგომას. მოცემული სავარჯიშოები ემსახურება ადამიანის უფლებების შესწავლას:

- ადამიანის უფლებების ცოდნა: მოსწავლეებმა დეტალურად იციან ადამიანის ერთი ან რამდენიმე უფლების შესახებ და ესმით მათი ძირითადი პრინციპები;

- ადამიანის უფლებების კითხვა – აუჩქარებლად და ყურადღებით, რადგან ყოველ სიტყვას აქვს თავისი მნიშვნელობა;

- ადამიანის უფლებების კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან; მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ გამოცდილებას, სურვილებსა და მოთხოვნილებებს ადამიანის უფლებათა ჭრილში.

ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

ზოგიერთი სავარჯიშო ეფუძნება პრაქტიკული სწავლის პრინციპს. მოსწავლეები ამზადებენ პოსტერს ან ავსებენ საგანძურის სკივრს და ქმნიან სიმბოლოებს, რომლებიც ადამიანის გარკვეულ უფლებებს უკავშირდება. მსგავსი სავარჯიშოები მოსწავლეებში შემოქმედებით უნარს აღვიძებს და განსხვავდება სტანდარტული, ტექსტზე დაფუძნებული მიდგომისაგან.

ყველა სავარჯიშო კლასში გულდასმით განხილვას მოითხოვს. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ადამიანის უფლებები შეიძლება დარღვეულ იქნას და, შესაბამისად, საჭიროა მათი დაცვა კანონით, ამ კანონის აღსრულების საშუალებებით (პოლიცია, სადამსჯელო სისტემა).

მოზრდილ მოსწავლეებთან შესაძლებელია დამატებითი სამუშაოს ჩატარება. ადამიანის უფლებები ძირითადი უფლებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ სჭირდება, მიანიჭოს და არა აქვს უფლება, ჩამოართვას იგი თავის მოქალაქეებს. მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ადამიანის უფლებების შესახებ არსებული ძირითადი დოკუმენტების შესახებ, როგორიცაა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ჩვენს უფლებებს აქვს საზღვრები და ამ საზღვრებს სხვათა უფლებების დაცვა განსაზღვრავს. ჩვენ თავად უნდა განვსაზღვროთ, როგორ განვახორციელოთ ეს, სხვა შემთხვევაში კანონმდებლებს და მოსამართლეებს მოუწევთ, მიიღონ გადაწყვეტილება ამის თაობაზე. როგორც ევროპის საბჭოს ან არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშებიდან ვიგებთ, ზოგ შემთხვევაში ადამიანის უფლებების დამრღვევის როლში სახელმწიფო გვევლინება. ამ შემთხვევაში, მოქალაქეებს აქვთ უფლება, მიმართონ ეროვნულ საკონსტიტუციო სასამართლოებს ან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში.

სავარჯიშო 3.1. – ადამიანის უფლებების პოსტერი

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები ეცნობიან ადამიანის უფლებების შემდეგ ასპექტებს: მათი ძირითადი სტრუქტურა (ვინ სარგებლობს ადამიანის უფლებებით – შინაარსი – უზრუნველყოფის საშუალებები); ადამიანის უფლებების დარღვევის პრობლემა; ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებები. მოსწავლეებს უვითარდებათ კითხვის უნარი. მოსწავლეებს უვითარდებათ შემოქმედებითი უნარი.
რესურსები:	დიდი ფორმატის ფურცლები, A4 ფორმატის სხვადასხვა ფერის ფურცლები, კალმები, მაკრატლები, წებო, ძველი ჟურნალ–გაზეთები, სურათები და ფოტოები; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ტექსტი.

მსვლელობა

1. მოსწავლეები ქმნიან ოთხკაციან ჯგუფებს.

2. მასწავლებელი მოსწავლეთა თითოეულ ჯგუფს ადამიანის უფლებათა დოკუმენტიდან ამონარიდ თითო მუხლს ურიგებს. ზედა საფეხურის მოსწავლეებს შეუძლიათ, თავად აირჩიონ მუხლი და ახსნან თავიანთი არჩევანის მიზეზი (იხ. საფეხური 4).

3. თითოეული ჯგუფი ამზადებს ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ პოსტერს. პოსტერი შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

   ა) სათაური, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ერთ–ერთ უფლებას;

   ბ) ამონარიდი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან ან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან.

   გ) სურათი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის ამ უფლებას (მაგ. მანქანა – თავისუფალი გადაადგილების უფლება, ან დახურული კარი – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება).

   დ) ადამიანის მოცემული უფლების სტრუქტურის ანალიზი (მაღალ კლასებში, მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებთან), იმის მიხედვით, თუ:

   – ვინ სარგებლობს ამ უფლებით;

   – რაში მდგომარეობს მისი არსი (რას იცავს ან პრივილეგიას რას ანიჭებს);

   – უზრუნველყოფისა და აღსრულების საშუალებები;[3]

   ე) სიმბოლო (მაგ. ბორბალი ან საჭე – თავისუფალი გადაადგილება, ან ტუჩები – გამოხატვის თავისუფლება).

4. მოსწავლეები წარადგენენ და განიხილავენ თავიანთ პოსტერებს კლასში.

---

[3] იხ. ივს ლადორი, *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სახელმძღვანელო*, ჟენევა/სტრასბურგი, 1997 წელი, გვ.53 (როგორ იქმნება ადამიანის უფლება?)

გაგრძელება

პოსტერზე შეიძლება აისახოს ადამიანის მოცემული უფლების დარღვევის მაგალითები და მათზე რეაგირების საშუალებები.

ვარიანტი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოსტერის სტრუქტურა შესაძლებელია შევცვალოთ იმისდა მიხედვით, თუ რა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებია კლასში წარმოდგენილი და რამდენად იცნობენ მოსწავლეები ადამიანის უფლებებს. მოცემული სავარჯიშო შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ადამიანის უფლებათა შესწავლის დასაწყის ეტაპზე, მოსწავლეთათვის თემის გასაცნობად, ასევე, შესწავლილი მასალის გასამეორებლად.

უფროსი ასაკის მოსწავლეებთან, სავარჯიშოზე მუშაობისას უნდა გაითვალისწინოთ ისეთი ასპექტები, როგორიცაა იმის განსაზღვრა, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება ადამიანის მოცემული უფლება (ადამიანის თავისუფლების მინიჭება, თანასწორობის დაცვა, სოციალური უფლების მინიჭება). ასპექტების განსაზღვრა შესაძლებელია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ამ სავარჯიშოს შესრულებით, მოსწავლეები ეცნობიან ადამიანის ერთ რომელიმე უფლებას. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სავარჯიშოს კომბინირება სხვა სავარჯიშოებთან, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება, მაგალითად, მოსწავლეების პირად გამოცდილებას, ადამიანის უფლებათა დარღვევასა და მათ აღდგენას და ადამიანის უფლებათა საყოველთაობის შესახებ მსჯელობას.

სავარჯიშო 3.2. – თოკები

საგანმანათლებლო მიზანი:	ამ სავარჯიშოში, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების შესავალის სახით, მოსწავლეები ეცნობიან ადამიანთა მოდგმის საერთო წარმომავლობისა და დედამიწის, როგორც ჩვენი საერთო სახლის თეორიათა გლობალურ პერსპექტივას. მიუხედავად იმისა, სად ვცხოვრობთ და რა გარემოში, ჩვენ, ადამიანებს გვაერთიანებს ის, რომ ყველანი ერთი წარმომავლობისა ვართ და ჩვენი საერთო სახლია დედამიწა. სავარჯიშოში, მოსწავლეებისთვის აღქმის გამარტივების მიზნით, გამოყენებულია უზარმაზარი რიცხვების ვიზუალიზაციის მეთოდი.
შენიშვნა:	სავარჯიშო განსხვავებულია სახელმძღვანელოში მოცემული სხვა სავარჯიშოებისაგან, ვინაიდან ჯგუფური მუშაობის ნაცვლად მოსწავლეები ისმენენ მასწავლებლის ლექციას.
რესურსები:	ორი თოკი, სიგრძით 4.8 და 6.7 მეტრი. მსოფლიო რუკა ან გლობუსი.

მსვლელობა

1. მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს 4.8 მეტრი სიგრძის თოკს და საშუალებას აძლევს, მიხვდნენ და დაადგინონ, რა სიგრძის არის იგი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეთანხმდებიან, რომ თოკი 4.8 მეტრი სიგრძის არის, მასწავლებელი სთხოვს, გამოთვალონ თოკის სიგრძე მილიმეტრებში.

2. 4 800 მილიმეტრი სიმბოლურად უკავშირდება დედამიწის ასაკს, ვინაიდან მეცნიერული გათვლებით მიჩნეულია, რომ დედამიწა 4 800 000 000 წლისაა.

3. მასწავლებელი მოსწავლეებს უამბობს დედამიწის შექმნის შესახებ და მისი ისტორიიდან ძირითად მოვლენებზე ამახვილებს მათ ყურადღებას, თოკის თითოეული მილიმეტრი ერთი მილიონი წელია. რამდენი ხანია, რაც ადამიანი გაჩნდა დედამიწაზე? იგი მოსწავლეებს უჩვენებს თოკის ბოლო ორ მილიმეტრს და ადარებს მას თოკის დანარჩენ ნაწილს. შესაძლოა ადამიანი არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყოს დედამიწის ისტორიისთვის, როგორც ჩვენ გვგონია? ან იქნებ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმ პლანეტაზე, რომლის მკვიდრნიც ვართ?

4. მასწავლებელი მოსწავლეებს ადამიანის ისტორიაზეც აწვდის მცირე ინფორმაციას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ადამიანის მოდგმა პირველად აფრიკის კონტინენტზე გაჩნდა. ყველა ჩვენგანის პირველი წინაპარი აფრიკელია! შემდეგ ადამიანები აფრიკიდან სხვადასხვა ტერიტორიაზე გაიფანტნენ და საბოლოოდ მთელ დედამიწაზე დასახლდნენ. დღეს ჩვენ ბევრ ქვეყანას და უამრავ ჯგუფს ვქმნით, ვლაპარაკობთ ბევრ, განსხვავებულ ენაზე და გვაქვს სხვადასხვა რელიგია თუ კულტურა, მაგრამ წარმომავლობა ყველა ჩვენგანს ერთი აქვს.

5. მასწავლებელი მოსწავლეებს მეორე თოკს უჩვენებს. მოსწავლეები კვლავ ცდილობენ, დაადგინონ მისი სიგრძე. დღეს დედამიწის მოსახლეობა 6.7 მილიარდს შეადგენს.[4] თოკის სიგრძის ერთი მილიმეტრი 1 მილიონ ადამიანს შეესაბამება. თოკის საშუალებით მასწავლებელი ახდენს ზოგიერთი დიდი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის ვიზუალიზაციას. როგორია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის შეფარდება მსოფლიო მოსახლეობასთან? ზოგიერთი ადამიანი მსოფლიოს „ჩემიანებად“ და „უცხოელებად“ ყოფს. თოკის მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ, რომ მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობა „უცხოელია“! მაგრამ ჩვენ ყველას ჩვენი პლანეტა – დედამიწა გვაერთიანებს და ჩვენ, მისმა მკვიდრებმა, უნდა ვისწავლოთ, როგორ ვიცხოვროთ ერთად ამ პლანეტაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, მსოფლიო ქვეყნებმა გადაწყვიტეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით და სხვადასხვა ადგილზე ვცხოვრობთ, ყველას საერთო უფლებები გვაქვს.

---

[4] საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელმა ეს მონაცემი უნდა გადაამოწმოს და შესაბამისად შეცვალოს თოკის სიგრძე; ამ წიგნის გამოცემის პერიოდში ეს მონაცემი უტოლდებოდა 6.7 მილიარდს (2008).

გაგრძელება

ამ შესავალის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია გააგრძელოს ლექცია და განიხილოს ისეთი საკითხები, როგორიცაა გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები ზოგადად, ცრურწმენები და სტერეოტიპები (იხ. თავი „როგორ აღვიქვამთ გარშემომყოფებს“), გეოგრაფიასა და საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები.

სავარჯიშო 3.3. – ადამიანის უფლებათა ხე

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები შეიმუშავებენ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც განიხილავენ ადამიანის უფლებებს.
რესურსები:	ფლომასტერები, დიდი ფორმატის ფურცლები კედელზე გასაკრავად.

მსვლელობა

1. მოსწავლეები ქმნიან სამ–ხუთკაციან ჯგუფებს.

2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დახატონ ლამაზი ხე და დაარქვან მას „ადამიანის უფლებათა ხე“. ხის ღეროს ძირში მათ უნდა დააწერონ „ადამიანის უფლებები“.

3. ადამიანის უფლებათა ხეს უნდა ჰქონდეს რამდენიმე ძირითადი ვარჯი, რომელთა რაოდენობა შეესაბამება მოსწავლეთა მოსაზრებებს იმ ძირითადი ცნებების შესახებ, რომელსაც მოიცავს ადამიანის უფლებები. ამ ძირითადი ვარჯების განშტოებაზე არის ტოტები, რომლებსაც მოსწავლეები უკავშირებენ ძირითადი ცნებების მაგალითებს.

4. მოსწავლეთა ჯგუფებს ამ სამუშაოს შესასრულებლად ეძლევათ გარკვეული დრო, რის შემდეგაც, ისინი კედელზე აკრავენ თავიანთ ნამუშევრებს და კლასს აცნობენ მათ. პოსტერები კედელზე გაკრული რჩება, როგორც დეკორაციები და, ასევე, შესაძლებელია მათი გამოყენება ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შემდგომ გაკვეთილებზე.

გაგრძელება

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ერთმანეთს ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს გაუზიარებენ, მასწავლებელს შეუძლია, გააცნოს მათ ადამიანის უფლებები ან ბავშვთა უფლებები უფრო დეტალურად და პარალელი გაავლოს მოსწავლეების მოსაზრებებსა და ადამიანის არსებულ და საყოველთაოდ მიღებულ უფლებათა შორის.

სავარჯიშო 3.4. – გასეირნება საჰაერო ბუშტით

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები ეცნობიან ადამიანის უფლებების საყოველთაო ღირებულებებს. ისინი ხვდებიან, რომ ადამიანის ზოგიერთი უფლება მეორეში იგულისხმება, მაგრამ ადამიანის უფლებათა სისტემაში მნიშვნელოვანია, დაცულია თუ არა სათითაოდ ყოველი უფლება. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ადამიანის უფლებები ხელშეუვალია და ამ უფლებების თვითნებური გაუქმება დიქტატურას უკავშირდება.
შენიშვნა:	სავარჯიშო შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის უფლებათა შესახებ გაკვეთილების ციკლის დასაწყისში ან მის ბოლოს.
რესურსები:	ფურცლები და კალმები, სასურველია დიდი ზომის ფურცლები კედელზე გასაკრავად; უფლებათა ჩამონათვალი, რომლებს შორისაც მოსწავლეები აკეთებენ არჩევანს.

მსვლელობა

1. მასწავლებელი უძღვება თამაშს. მოსწავლეები ქმნიან ხუთ–ექვსკაციან ჯგუფებს. თითოეულ ჯგუფს გადაეცემა თითო პოსტერი და ფლომასტერები. მოსწავლეები ხატავენ საჰაერო ბუშტს ოკეანის თავზე. პოსტერზე მაგრდება ათი ბალასტის (სამძიმი) ტომარა, რომლებიდანაც თითოეული სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის თითო უფლებას (ჩამონათვალი იხილეთ ქვევით).

2. თამაში იწყება. მოსწავლეებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ ამ „ადამიანის უფლებათა საჰაერო ბუშტით“ მგზავრობენ. ბუშტი დაშვებას იწყებს და მგზავრებმა ბალასტის რამდენიმე ტომარა უნდა გადააგდონ საჰაერო ბუშტიდან, რათა თავიდან აიცილონ სერიოზული კატასტროფა.

   მოსწავლეთა ამოცანას წარმოადგენს არჩევანის გაკეთება ადამიანის იმ უფლებებს შორის, რომლებიც თამაშში ბალასტის ტომრების სახით არის წარმოდგენილი. მათ, არჩევანის გაკეთებისას, მოუწევთ შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება: არის რომელიმე უფლება ისეთი, რომელიც მეორეში იგულისხმება? რომელი უფლებაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დემოკრატიისთვის? ჩვენი პირადი საჭიროებისთვის?

3. ასეა თუ ისე, საჰაერო ბუშტი ძირს მიექანება და მეტი ბალასტის თავიდან მოშორებაა საჭირო, რეგულარული ინტერვალებით. მას შემდეგ, რაც ოთხ ან ხუთ ტომარას გადააგდებენ, საჰაერო ბუშტი მშვიდობით დაეშვება მიწაზე.

4. საბოლოოდ მთელი კლასის მიერ ხორციელდება შედეგების შეჯამება. ყოველი ჯგუფი წარადგენს საკუთარ სიას და ხსნის, რითი ხელმძღვანელობდნენ არჩევანის გაკეთებისას. მოსწავლეთა ჯგუფები ერთმანეთს ადარებენ საკუთარ შედეგებს. არის განსხვავება მათ არჩევანში? დეტალური მოხსენებები ჯგუფური სამუშაოს შესახებ ურიგო არ იქნება. რთული იყო შეთანხმების მიღწევა? გაგიჭირდათ პრიორიტეტი მიგენიჭებინათ რომელიმე უფლებისადმი, სხვა უფლების დათმობით? სასურველია, მოსწავლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ადამიანის ყველა ჩამოთვლილი უფლება მნიშვნელოვანია, მაგრამ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა უფლებას ანიჭებს პრიორიტეტს, როდესაც საქმე არჩევანზე მიდგება.

   მოქმედ კონსტიტუციაში, რომელიმე ამ უფლების გაუქმება სერიოზულ ზიანს აყენებს დემოკრატიას. ადამიანის უფლებები თანდაყოლილი უფლებებია და, აქედან გამომდინარე, ხელშეუვალი. საჰაერო ბუშტით გასეირნება იყო იმ სიტუაციის სიმულაცია, რომელიც, იმედი გვაქვს, არასოდეს განხორციელდება – დიქტატურა.

თუ მოსწავლეები ეჭვის ქვეშ დააყენებენ თამაშის წესებს და ჩათვლიან რომ ეს წესები უსამართლო იყო ზემოთ ხსენებული თვალსაზრისით, სწავლის მიზანი მიღწეულია.

შესაძლებელია ამ შემაჯამებელი ეტაპის გავრცობა: ამ უფლებათაგან რომელია შესული ქვეყნის კონსტიტუციაში და როგორ არის იგი დაცული/უზრუნველყოფილი.

გაგრძელება

თუ სავარჯიშო სრულდება მცირეწლოვან მოსწავლეებთან, ბალასტის შინაარსი – უფლებები – უნდა შეიცვალოს ისეთი საგნებით, რომლებიც ბავშვებისთვის კარგად არის ცნობილი, მაგალითად, „თავისუფალი არჩევნები“ უნდა შეიცვალოს „სათამაშოებით“. შემაჯამებელ ეტაპზე ეს საგნები უნდა დავაკავშიროთ ბავშვთა უფლებებთან.

მასალა

ინფორმაცია

ბალასტის (სამძიმ) ტომრებში მოთავსებულია შემდეგი უფლებები:

- თავისუფალი არჩევნები
- საკუთრების (განკარგვის) თავისუფლება
- ქალისა და მამაკაცის თანასწორობა
- სუფთა და ჯანსაღი გარემო
- ჯანსაღი საკვებისა და სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა
- განათლების უფლება
- აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება
- ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა სამოსითა და საცხოვრებლით
- პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა
- გადაადგილების თავისუფლება

სავარჯიშო 3.5. – სურვილები და საჭიროებები

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები ასხვავებენ ერთმანეთისაგან, თუ რა უნდათ და რა ესაჭიროებათ სინამდვილეში.
რესურსები:	ფურცლები, კალმები, მაკრატლები.

მსვლელობა

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფურცლებზე დახატონ ის, რაც, მათი აზრით, მათ სჭირდებათ (მასწავლებელს შეუძლია, წინასწარ გამზადებული დაჭრილი ფურცლები მიაწოდოს ამისთვის მოსწავლეებს, ან მოსწავლეები თავად ამოჭრიან მათ მიერ დახატულ სურათებს). თითო მოსწავლე ასრულებს 8 – 10 ნახატს.

2. როდესაც ყველა მოსწავლე დაასრულებს სამუშაოს, მასწავლებელი მათ ჯგუფებად ყოფს.

3. ყოველი ჯგუფი უნდა შეთანხმდეს, ჯგუფის ყველა წევრის მიერ შესრულებული ნახატების საერთო რაოდენობიდან ამოირჩიოს სულ ხუთი ნახატი. მხოლოდ ხუთი მნიშვნელოვანი რამ უნდა დარჩეს მაგიდაზე. შემდეგ ჯგუფებს შორის მიმდინარეობს საკუთარ არჩევანთან დაკავშირებული ახსნა–განმარტებების გაცვლა–გამოცვლა. ჯგუფების არჩევანი ერთნაირია?

გაგრძელება

მასწავლებელი საკლასო ოთახში ჭიმავს საკიდებიან თოკს და ზედ კიდებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ ნახატებს. მოსწავლეები განიხილავენ, რომელი ნახატი ჩამოხსნან თოკიდან, ის, რაც მათ სინამდვილეში არ სჭირდებათ. საბოლოოდ, თოკზე უნდა დარჩეს მხოლოდ ხუთი ნახატი. შეძლებენ მოსწავლეები შეთანხმდნენ რომელი ხუთი დატოვონ თოკზე?

სავარჯიშო 3.6. – საგანძურის სკივრი

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოცემული სავარჯიშო განკუთვნილია ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. მოსწავლეები ეცნობიან, რომ ბავშვებს აქვთ უფლებები, აცნობიერებენ, რომ ასეთი უფლებები არსებობს და საჭიროა მათი დაცვა.
რესურსები:	საგანძურის სკივრი უნდა წარმოადგენდეს ძალიან ლამაზ ყუთს, რომელსაც მოსწავლეები თავად აფორმებენ და ავსებენ (საგაზეთო სტატიებით, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პიქტოგრამებით, რომლებიც ბავშვთა უფლებებს გამოხატავს, თოჯინებით და სხვადასხვა ნივთით).

მსვლელობა

1. დასაწყისში სკივრში მოთავსებულია:

   – ორი პიქტოგრამა: ერთ–ერთი ამ ორიდან გამოხატავს თანასწორობის უფლებას, მეორე - შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას დახმარების მიღებაზე;

   – ორი თოჯინა, რომელიც გვატემალელი ბავშვების სიმბოლოა.

2. იმ საგნების შეგროვებითა და საგანძურის სკივრში მოთავსებით, რომლებიც ბავშვთა უფლებების სიმბოლოებს წარმოადგენს, მოსწავლეები აცნობიერებენ ამ უფლებათა მნიშვნელობას. საგანძურის სკივრის პროექტი სასურველია გაგრძელდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის განმავლობაში.

3. გარდა იმისა, რომ ბავშვებს აქვთ საერთო საგანძურის სკივრი, თითოეულ მათგანს საკუთარი საგანძურის სკივრიც უნდა ჰქონდეს.

თავი 4 – როგორ აღვიქვამთ გარშემომყოფებს

წინასიტყვაობა

სურათზე ნაჩვენებია გოგონა, რომელიც ბიჭს გამადიდებელი შუშით აკვირდება. გამადიდიბელ შუშაზე აღბეჭდილი სახე სურათზე გამოსახული ბიჭის მსგავსია, მაგრამ არა იდენტური. ბიჭს წარმოდგენა არა აქვს, როგორ გამოიყურება მისი სახე გამადიდებელ შუშაში. იგი შეიძლება მის ნამდვილ სახეს უჩვენებდეს, შეიძლება შეცვლილს და რეალობიდან განსხვავებულს, შეიძლება მეტ დეტალებსაც ასახავდეს, ვიდრე ამის შესახებ ბიჭმა იცის, ან უნდა, რომ სხვას გაუზიაროს. როგორც შუშაზე აღბეჭდილი სახე, ასევე ბიჭიც იცინის, ასე რომ სხვაობა აღბეჭდილსა და რეალურს შორის პრობლემას არ წარმოადგენს. გოგონა შუშაზე ასახულ გამოსახულებას უცინის და არა თავად ბიჭს.

ჩვენ ყველანი ჩვენს გამადიდებელ შუშას მივმართავთ სხვა ადამიანებისკენ და მათზე აღბეჭდილ გამოსახულებას გონებაში ვინახავთ. ადამიანებს ვაფასებთ ჩვენს გონებაში შექმნილი გამოსახულებების მიხედვით. ისინი ნედლეულს წარმოადგენენ, საიდანაც ჩვენ ვქმნით სტერეოტიპებს. გონებაში კომპლექსური სამყაროს ისეთ გამარტივებულ წარმოდგენას ვატარებთ, რომელიც სხვისთვის ბოლომდე ამოუხსნელი რჩება. თუ სტერეოტიპები ცრურწმენის/დამახინჯებული აღქმის ფორმას მიიღებენ, საზოგადოებაში ეს განხეთქილებისა და შუღლის მარცვლის ჩაგდების ტოლფასი იქნება.

მოცემულ თავში შესული სავარჯიშოები მოსწავლეებს ეხმარება, გააცნობიერონ საკუთარი აღქმა და სხვათა დამახინჯებული, ცრუ სტერეოტიპები, კრიტიკულად მიუდგნენ მათ და, საჭიროების შემთხვევაში, ეცადონ, გამოასწორონ ისინი. აქედან გამომდინარე, ეს თავი ეძღვნება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სოციალურ განზომილებას. ჩვენი ურთიერთაღქმა, დამახინჯებული სტერეოტიპები და ის, თუ როგორ ვურთიერთობთ ერთმანეთთან, ქმნის სწორედ იმ საფუძველს, რომელსაც ემყარება დემოკრატია და ადამიანის უფლებები. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების

პრინციპების მხოლოდ კონსტიტუციაში ჩადება და მთავრობის მიერ მათი პრიორიტეტად გამოცხადება საკმარისი არ არის; სოციალური და კულტურული საწყისები თანაბრად მნიშვნელოვანია.

ზოგადად, მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, რა დატვირთვა გააჩნიათ სტერეოტიპებს ჩვენი კომპლექსური საზოგადოებისა და მსოფლიოს აღქმის გამარტივებაში. მათ ასევე უნდა ესმოდეთ, რომ სტერეოტიპები ზოგჯერ საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისთვის, რადგან შეუძლიათ განხეთქილება და შუღლი გააღვივონ. ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა უცნობ ადამიანებს ვხვდებით და შიშის გრძნობა გვიპყრობს. განათლება ეხმარება ადამიანებს, ამოიცნონ ცრურწმენები თუ დამახინჯებული სტერეოტიპები და გამოასწორონ ისინი.

მოზრდილი ასაკის მოსწავლეებს შეიძლება ავუხსნათ, რომ ჩვენი აღქმა და ცრურწმენები საბოლოოდ აისახება კულტურაზე, რომელიც ან ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის ან ძირს უთხრის მათ პრინციპებს. სიტყვასიტყვით, დემოკრატია იწყება ჩემგან და შენგან.

სავარჯიშო 4.1. – ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთს; აღმოაჩენენ, რა აქვთ საერთო, რაც აქამდე მათთვის უცნობი იყო. მოსწავლეები სწავლობენ, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ განსხვავებულის მიმართ.
რესურსები:	ცარცი ან თოკი იატაკზე ხაზის გასავლებად.

მსვლელობა

1. მასწავლებელი სათითაოდ ამოიკითხავს მახასიათებელთა ჩამონათვალს. მოსწავლეები, რომლებიც მასწავლებლის მიერ დასახელებული მახასიათებლის მატარებლები არიან, გადაკვეთენ იატაკზე გავლებულ ხაზს.

   მაგალითად, ყველა...

   - ვისაც ჯინსი აცვია
   - ვისაც ცისფერი თვალები აქვს
   - ვინც კლასში სხვა მოსწავლეებზე ასაკით უფროსია
   - ვინც ნამყოფია ევროპის სხვა ქვეყნებში
   - ვინც რეგულარულად კითხულობს გაზეთებს
   - ვინც ოდესმე აღმოჩენილა დისკრიმინაციის მსხვერპლი
   - ვისაც ჰომოსექსუალი მეგობრები ჰყავს
   - ვისაც აქვს ცრურწმენები და ა.შ.

2. მოსწავლეები განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

   - აღმოაჩინა რომელიმე მათგანმა თავი იმ მოსწავლეების ჯგუფში, რომელთანაც, მისი აზრით, არაფერი ჰქონდა საერთო?

   - როგორია იყო დიდი ჯგუფის ნაწილი, რომლის წევრებთანაც საერთო რამ გაკავშირებს?

   - როგორია იყო მარტო და არავისთან არაფერი გქონდეს საერთო?

ვარიანტი

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დაასახელებს ერთ რომელიმე მახასიათებელს, მოსწავლეები იწყებენ კლასში ამ ნიშნით მათი მსგავსი სხვა მოსწავლეების ძებნას, ქმნიან ჯგუფს და რამდენიმე წუთის განმავლობაში განიხილავენ, რა აქვთ საერთო ერთმანეთთან, მაგალითად, რას ანიჭებენ უპირატესობას ან როგორ იქცევიან გარკვეულ სიტუაციებში.

სავარჯიშო 4.2. – განსხვავება

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები მსჯელობენ განსხვავებებზე და აცნობიერებენ, რომ განსხვავებების წარმოშობა უკავშირდება სოციალურ სტრუქტურებს. განსხვავებებში გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდობის ასაკში. ახალგაზრდებს სურთ, მიიპყრონ უფროსთა ყურადღება; სურთ, რომ ისინი სცნონ, აღიარონ და პატივისცემა დაიმსახურონ. მოზარდობის პერიოდში ინდივიდუალობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს უფროსებისგან და განსაკუთრებით მშობლებისგან გამოყოფა–გამოცალკევება. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ადამიანებს შორის ბიოლოგიური განსხვავებები იმდენია, რომ არავის ძალუძს მათი სრული დახასიათება. მაგალითად, შეუძლებელია ითქვას, რომ ინტელექტისა და აზროვნების ერთი ფორმა მეორეზე მაღლა დგას. განსხვავებები, რომელიც თავს იჩენს და მნიშვნელოვანია ადამიანების ურთიერთობაში, არის განსხვავებები, რომელიც საზოგადოებიდან მოდის – მაგალითად, ღირებულებები, ან სოციალური სტატუსი. კლასებში, სადაც არიან მოსწავლეები, რომლებიც კულტურულ უმცირესობას მიეკუთვნებიან, მოცემული სავარჯიშო კარგ შესაძლებლობას იძლევა, რათა ამ მოსწავლეებმა გამოამჟღავნონ ეს განსხვავებები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
რესურსები:	დიდი ფორმატის ფურცელი.

მსვლელობა

1. მასწავლებელი დიდი ფორმატის ფურცელზე ჩამოწერს რაც შეიძლება ბევრ განსხვავებას, რომელიც არსებობს ადამიანებს შორის.

2. კლასი იყოფა ოთხ ჯგუფად და თითოეული ჯგუფი განიხილავს ერთი ტიპის განსხვავებებს:

   – განსხვავებები ფიზიკურ გარეგნობაში

   – ფსიქოლოგიური განსხვავებები

   – სოციალური განსხვავებები

   – კულტურული განსხვავებები

3. შეჯამება–შეფასება: მოსწავლეები განიხილავენ განსხვავებებს ადამიანებს შორის:

   – „როგორც ვხვდები, ვიცი...

   – ... მაგრამ როგორც შევიტყვე...

   – ყველაზე მეტად გამაოცა...“

გაგრძელება

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რაში მდგომარეობს ადამიანებს შორის მსგავსება და განსხვავება.

მოსწავლეები, წერილობითი ფორმით, წარმოიდგენენ და აღწერენ ორ სიტუაციას, რომლის დროსაც განსხვავებასთან შეგუება შეუძლებელია, რასაც შემდეგ მთელი კლასი განიხილავს.

სავარჯიშო 4.3. – ტყუილი თუ მართალი

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები ეძებენ სტერეოტიპებს საკუთარ ცნობიერებაში და კრიტიკულად განიხილავენ ამ სტერეოტიპებს. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ გამარტივება და სტერეოტიპები გვეხმარება იმ რთული სამყაროს აღქმაში, რომელშიც ჩვენ გვიწევს ცხოვრება. მოსწავლეებს უვითარდებათ მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი, და ამგვარად ხდება საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის ჩამოყალიბება.
რესურსები:	საკლასო ოთახიდან გატანილი უნდა იყოს დაფები და სკამები. საკლასო ოთახში ერთმანეთის მოპირდაპირე კუთხეები განკუთვნილია მოსწავლეებისთვის პოზიციების დასაკავებლად.

მსვლელობა

1. მოსწავლეები დგებიან საკლასო ოთახის ცენტრში. მასწავლებელი კითხულობს მოსაზრებებს ქალების, მამაკაცების, სხვადასხვა ეროვნების და ა.შ. შესახებ.

   იმისდა მიხედვით, მასწავლებლის მიერ გამოთქმული მოსაზრება სწორედ მიაჩნიათ თუ არა, მოსწავლეები ნაწილდებიან საკლასო ოთახის შესაბამის კუთხეებში.

   მოსწავლეები, რომელთაც პასუხი არა აქვთ, რჩებიან საკლასო ოთახის ცენტრში.

2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახსნან საკუთარი არჩევანი.

   მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, მართალია თუ არა მის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრება.

3. მოსწავლეები მსჯელობენ მასწავლებლის მხრიდან მიღებულ ინფორმაციაზე. მასწავლებელი ამხნევებს მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ, თუ როგორი იყო მათი აღქმა, განსაკუთრებით მაშინ, თუ აღმოჩნდა, რომ ეს აღქმა არ იყო ჭეშმარიტი.

გაგრძელება

მოსწავლეები აანალიზებენ, თუ როგორ აშუქებს მედია უმცირესობებთან, სქესთა შორის თანასწორობის დარღვევებსა და ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოსწავლეები ეძებენ სტერეოტიპების, ცრურწმენების, ზედაპირული ან სიღრმისეული აღქმისა და ჟურნალისტური გამოძიების მაგალითებს. მოსწავლეები ცდილობენ, შეასწორონ ინფორმაცია, რომელიც მათი თვალსაზრისით მცდარია ან არასრულყოფილი.

სავარჯიშო 4.4. – პირველი შთაბეჭდილება

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეებს შეუძლიათ ამოიცნონ სტერეოტიპები და ხვდებიან, რამდენად მრავალფეროვანია ის შთაბეჭდილებები და აღქმა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთის შესახებ გააჩნიათ. მოსწავლეები იწაფებიან აქტიურ მოსმენაში და სწავლობენ, როგორ სცენ პატივი ერთმანეთს.
რესურსები:	დიდი ზომის ფურცლების თავში მოთავსებული იმ ადამიანთა ფოტოები, რომლებიც განსხვავებულ რეაქციას იწვევს მოსწავლეებში (მასწავლებელი ირჩევს იმ ადამიანთა ფოტოებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ასაკით, ეთნიკური წარმოშობით, არიან სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები და ა.შ.)

მსვლელობა

1. მოსწავლეები სხდებიან წრეზე. თითოეულ მათგანს ურიგდება ფურცელი ფოტოთი.

2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ფურცლის თავში მოთავსებულ ფოტოს:

   – „მე ვხედავ...“

   – „მე ვიქრობ...“

   – „მე ვგრძნობ...“

3. მოსწავლეები თავიანთ შთაბეჭდილებებს ფოტოს შესახებ წერენ ფურცლის ბოლო კიდეზე და ამ კიდეს გადაკეცავენ ისე, რომ დაიფაროს მათ მიერ დაწერილი ტექსტი. შემდეგ ფურცელს გადასცემენ მათ მარცხნივ მჯდომ მოსწავლეს.

4. ასე გრძელდება, სანამ ყველა ფურცელზე თავის კომენტარს არ გააკეთებს ყველა მოსწავლე.

5. მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ თავიანთ პირველ შთაბეჭდილებებს:

   – რითი ჰგავდა თქვენი პირველი შთაბეჭდილებები ერთმანეთს და რითი განსხვავდებოდა ისინი ერთმანეთისგან?

   – რა იყო თქვენი პირველი, ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება?

   – რა ასპექტისთვის არ მიგიქცევიათ არანაირი ყურადღება და რატომ?

   – ამ სავარჯიშოს შესრულებამ რა დაგანახათ საკუთარ თავში?

გაგრძელება

სავარჯიშოს შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს სულ რამდენიმე ფოტო, ან სულაც ერთი ფოტო ან ეთნოგრაფიული ვიდეოჩანაწერი, რომლის ჩვენების დროსაც მოსწავლეები ჩანაწერებს საკუთარ ფურცლებზე აკეთებენ.

მასწავლებელს შეუძლია ინფორმაცია მიაწოდოს სხვა კულტურათა შესახებ: სამზარეულო, მუსიკა, ოჯახის სტრუქტურა და ა.შ.

სავარჯიშო 4.5. – ყველას გვაქვს ცრურწმენები

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოცემულ სავარჯიშოში მოსწავლეები იკვლევენ სხვა ადამიანებისა და უმცირესობათა შესახებ არსებულ სტერეოტიპებსა და ცრუ სტერეოტიპებს; სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების განსხვავებულ აღქმას. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მათ ტოლერანტობას აქვს საზღვრები და მათი ღირებულებათა სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მოსწავლეებს უვითარდებათ ყურადღებით მოსმენის უნარი შეთანხმების მიღწევის მცდელობისას.
რესურსები:	მასალა მოსწავლეებისთვის (სცენარი), ყოველი მოსწავლისთვის თითო ეგზემპლარი.

მსვლელობა

1. ყოველ მოსწავლეს ურიგდება სცენარის თითო ეგზემპლარი, რომელსაც ისინი სიჩუმეში დამოუკიდებლად ეცნობიან.

2. ყოველი მოსწავლე ჩამონათვალიდან ირჩევს სამ ადამიანს, რომელთანაც ისურვებდა მგზავრობას და სამ ადამიანს, რომელთანაც არ ისურვებდა.

3. მოსწავლეები ქმნიან ოთხ–ოთხკაციან ჯგუფებს.

   – ისინი ერთმანეთს ადარებენ საკუთარ არჩევანს და ერთმანეთს უზიარებენ ამ არჩევანის მიზეზებს.

   – ისინი, ამჟამად როგორც ჯგუფები, ცდილობენ, შეთანხმდნენ სამ სასურველ და სამ არასასურველ თანამგზავრზე.

   – ჯგუფები ირჩევენ მომხსენებელს.

4. ყოველი ჯგუფის მომხსენებელი კლასს აცნობს თავისი ჯგუფის მიერ შედგენილ ჩამონათვალს, სამ სასურველ და სამ არასასურველ თანამგზავრს; ასახელებს გაკეთებული არჩევანის მიზეზებს.

5. მასწავლებელი ამხნევებს მოსწავლეებს, რათა მათ ღიად ისაუბრონ თავიანთი გამოცდილების შესახებ, მაგალითად:

   – რა იყო გადამწყვეტი ფაქტორი არჩევანის გაკეთებისას?

   – თუ ჯგუფი ვერ შეთანხმდა ჩამონათვალზე, რა იყო ამის მიზეზი?

   – რომელ სტერეოტიპებს შეიცავს მგზავრთა ჩამონათვალი?

   – საიდან მოდის ეს წარმოდგენები?

   – როგორ იგრძნობდი თავს, შენთან ერთად მგზავრობა რომ არავის მოესურვებინა?

გაგრძელება

მგზავრთა ჩამონათვალი შეგიძლიათ შეცვალოთ მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფის ან სოციალური წარმომავლობის შესაბამისად. მაგრამ ჩამონათვალში უნდა შედიოდეს უმცირესობათა

წარმომადგენლები, რომლებიც ერთი შეხედვით არიან შესამჩნევნი და აშკარა რეაქციას იწვევენ და ისეთები, რომლებიც ასეთ რეაქციას არ იწვევენ.

უმცირესობათა და დისკრიმინაციის შემთხვევათა შესწავლა შეგვიძლია ლიტერატურაში მოცემული ინფორმაციისა და ისტორიული მაგალითების საშუალებით.

მასალა:

სცენარი

ემზადებით მატარებლით ხანგრძლივი მგზავრობისთვის, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს. თქვენს კუპეში, თქვენთან ერთად უნდა იმგზავროს სამმა ადამიანმა.

რომელ სამ ადამიანთან ერთად მგზავრობას ისურვებდი (აარჩიე ჩამონათვალიდან)?

რომელ სამ ადამიანთან მგზავრობაზე იტყოდი უარს (აარჩიე ჩამონათვალიდან)?

- მსუქანი შვეიცარიელი ბანკირი
- იტალიელი DJ, ნარკომანი
- ეგზოტიკური ნივთებით მოვაჭრე აფრიკელი
- ციხიდან ახლახან გამოსული ბოშა
- გერმანელი როკმომღერალი, ფემინისტი
- ჰომოსექსუალი უცხოელი სტუდენტი
- ახალგაზრდა ბოშა ქალი, ჩვილი ბავშვით
- ინგლისელი „სკინჰედი“ ნასვამ მდგომარეობაში
- აივ დადებითი მეძავი
- ძალიან ღარიბი ლტოლვილი
- შეიარაღებული უცხოელი სამხედრო პირი
- ახალგაზრდა ქალი, რომელიც მხოლოდ ფრანგულად საუბრობს.

სავარჯიშო 4.6. – ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ, მაგრამ ზოგნი უფრო მეტად

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები განსაზღვრავენ და აანალიზებენ დისკრიმინაციის მიზეზებსა და მოტივებს. სავარჯიშოში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა გავლენა აქვს საზოგადოებაში წარმატების შესაძლებლობებზე სოციალურ–ეკონომიკურ ფაქტორებს.
რესურსები:	დიდი ფორმატის მყარი ფურცლები და მარკერები.

მსვლელობა

1. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში თანაბარი რაოდენობის მოსწავლე უნდა იყოს. ჯგუფებში მოსწავლეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ექვსს. ყოველ ჯგუფს გადაეცემა ფურცელი და მარკერი.

2. მასწავლებელი ჯგუფების ერთ ნაწილს სთხოვს, დახატონ საზოგადოებაში წარმატებული ფიგურის კარიკატურა, ხოლო მეორე ჯგუფს – წარუმატებელი ფიგურის კარიკატურა.

3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფიგურას მიანიჭონ შემდეგი მახასიათებლები: სოციალურ–ეკონომიკური სტატუსი, პროფესია, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, დროის გატარების საშუალებები, ჩაცმულობის სტილი, გარეგნობა, ცხოვრების სტილი, საცხოვრებელი ადგილი, ჩვევები.

4. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაცვალონ თავიანთი ნამუშევრები და სცადონ, გაშიფრონ სხვა ჯგუფის მიერ დახატული კარიკატურა.

5. მოსწავლეები სხვა ჯგუფიდან მიღებულ კარიკატურებს აკრავენ კედელზე და მთლიან კლასს აცნობენ მოცემული კარიკატურის თავიანთი ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ აღწერას.

6. კარიკატურის შემქმნელი ჯგუფი კომენტარს აკეთებს იმის თაობაზე, თუ რა იყო მათი განზრახვა. კარიკატურების შესახებ მოსაზრებების გაცვლა–გამოცვლის დროს და იმის შესახებ მსჯელობისას, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს კარიკატურები მნახველზე, მოსწავლეები სავარაუდოდ შეეხებიან შემდეგ საკითხებს:

   – რა არის წარმატების ძირითადი მახასიათებელი?

   – რა არის წარუმატებლობის ძირითადი მახასიათებელი?

   – რა ფაქტორები განაპირობებენ სხვაობას „წარმატებულებსა“ და „წარუმატებლებს“ შორის?

   – განეკუთვნებიან თუ არა მოცემული ფიგურები გარკვეულ ჯგუფს?

   – ყველა ადამიანს წარმატების თანაბარი შესაძლებლობა აქვს მათი სოციალური ფონის მიუხედავად?

გაგრძელება

რა მიზეზები იმალება იმ ადამიანების დისკრიმინაციისა და გარიყვის მიღმა, რომლებიც განსხვავებულები არიან თავიანთი კულტურით, წარმომავლობით, ენით და ა.შ.?

რა არის ადამიანებს შორის უთანასწორობის მიზეზი? შესაძლებელი და სასურველია თანასწორობა თუ არა?

სავარჯიშო 4.7. – ტურისტები

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოცემული სავარჯიშო წარმოადგენს კულტურათა შეჯახების სიმულაციას და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დააკვირდნენ და შეისწავლონ ის სტერეოტიპები, რომელიც მათ შემოაქვთ სავარჯიშოს შესრულების დროს. მოსწავლეები ეცნობიან შესაძლო კონფლიქტს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მსგავს სიტუაციაში. მოსწავლეები „სხვის ადგილზე თავის წარმოდგენით“, ცვლიან საკუთარ ხედვას. მოსწავლეებს უვითარდებათ კომუნიკაციის უნარი.
რესურსები:	ფურცელი ან მუყაოს ფურცელი, ფერადი მარკერები; თუ შესაძლებელია, ტურისტის აღჭურვილობა, მაგ. კამერა.

მსვლელობა

შენიშვნა მეთოდის შესახებ:

საუკეთესო ვარიანტია ორი სხვადასხვა კლასის გაერთიანება ამ სავარჯიშოს შესასრულებლად, რომელთაგანაც თითოეულს ხელმძღვანელობას გაუწევს თავისი მასწავლებელი. მასწავლებელთა მოვალეობაში შედის, შეახსენონ ჯგუფებს თავიანთი ამოცანა. ერთი კლასი არის „ტურისტების ჯგუფი“, მეორე – „მკვიდრი მოსახლეობა“.

1. ორი ჯგუფი იკრიბება მათთვის განკუთვნილ საკლასო ოთახებში. მათ 15 წუთი ეძლევათ იმისთვის, რომ შექმნან გარემო, სადაც განვითარდება მოვლენები და ასევე მოემზადონ თავიანთი როლებისთვის.

   ტურისტები ჩანაწერის სახით ქმნიან ინფორმაციას თავიანთ ქვეყანაზე, ასევე, ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას ელიან თავიანთი მოგზაურობიდან და ამზადებენ აღჭურვილობას, მაგალითად, კამერას, მობილურ ტელეფონს, უცხოურ ვალუტას. თუ მოსწავლეებს არ მოეპოვებათ ეს საგნები კლასში, მათ შეუძლიათ, სიმბოლოები დაიტანონ ფურცლებზე, რომელიც ნივთების მაგივრობას გაწევს.

   „მკვიდრი მოსახლეობა“ ადგენს ინფორმაციას საკუთარ ქვეყანაზე და კულტურაზე: ოჯახის სტრუქტურა, ეკონომიკა, ხელობის დარგი, ტანისამოსი და საცხოვრებელი პირობები. „მკვიდრი მოსახლეობა“ რაც შეიძლება „პრიმიტიული“ უნდა იყოს. ისინი თავიანთ ქვეყანას თავისივე გამოგონილ სახელს უწოდებენ.

   კულტურის ელემენტები ჰომოგენური უნდა იყოს. ისინიც შესაძლოა ფურცელზე იქნას დატანილი სიმბოლოების სახით.

2. ვითარდება შემდეგი მოქმედება:

   ორი ტურისტი სუვენირების შეძენისა და ფოტოების გადაღების პროცესში ხვდება ორ „მკვიდრ მოსახლეს“.

   ტურისტები ბრუნდებიან თავიანთ ჯგუფში და თავის თავგადასავალს უყვებიან სხვა ტურისტებს, აღწერენ „მკვიდრი მოსახლეობის“ კულტურას, რაც მათ უცნაურად მოეჩვენათ.

   ორი „მკვიდრი მოსახლე“ უბრუნდება თავიანთ ჯგუფს, უყვება მათ ტურისტებთან შეხვედრის ამბავს და ტურისტთა მათდამი დამოკიდებულებაზე საკუთარი შთაბეჭდილებების შესახებ.

3. ტურისტები იჭრებიან „მკვიდრი მოსახლეობის“ ტერიტორიაზე, „მკვიდრ მოსახლეობას“ არ სურს თავისი ცხოვრების წესის შეცვლა.

4. ტურისტთა და „მკვიდრ მოსახლეთა“ ჯგუფები ერთმანეთს ხვდებიან და აჯამებენ შედეგებს:

   – რას გრძნობენ ტურისტები?

   – რას გრძნობს „მკვიდრი მოსახლეობა“?

   – რას ფიქრობენ ტურისტები „მკვიდრი მოსახლეობის“ შესახებ?

   – რას ფიქრობს „მკვიდრი მოსახლეობა“ ტურისტების შესახებ?

   – ტურისტები აცნობენ „მკვიდრ მოსახლეობას“, რა იყო მათთვის უცნაური მათ ქცევაში.

   – „მკვიდრი მოსახლეობა“ უხსნის ტურისტებს, რა იყო მათთვის გაუგებარი ტურისტების ქცევაში.

   – ტურისტების თვალსაზრისით, რა უნდა გაეკეთებინა მკვიდრ მოსახლეობას იმისთვის, რომ მათ შორის კონტაქტი ადვილად დამყარებულიყო?

   – „მკვიდრი მოსახლეობის“ თვალსაზრისით, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ტურისტები, რომ არეულობა არ შეეტანათ „მკვიდრი მოსახლეობის“ საზოგადოებაში?

   – შეკითხვა ტურისტებს: კვლავ რომ მოგიწიოთ წასვლა იმავე ქვეყანაში, რა გეცოდინებათ ამ ქვეყნის შესახებ და რას გააკეთებთ იმისთვის, რომ არ დაარღვიოთ მათი იდილია?

გაგრძელება

მოსწავლეები კითხვებს უსვამენ თავიანთი საზოგადოების იმ წევრებს, რომელთაც აქვთ უცხო კულტურის ქვეყნებში მოგზაურობის გამოცდილება, ან კლასში მოიწვევენ პიროვნებას, რომელიც მათ განსხვავებულ კულტურასთან შეხების საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს.

ვარიანტი

მოსწავლეები წარმოიდგენენ იდეალურ საზოგადოებას და პარალელს ავლებენ საკუთარ კულტურასა და მათ მიერვე შექმნილი საზოგადოების კულტურას შორის.

სავარჯიშო 4.8. – ვთამაშობთ ლოტოს: „თითოეული ადამიანი სამყაროს ნაწილია“

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოცემული სავარჯიშოს მიზანია, დაანახვოს მოსწავლეებს, რომ ადამიანი მსოფლიოს ნაწილია.
რესურსები:	შესავსები ბარათების ერთი ნაკრები თითო მოსწავლეზე.
	კითხვების ჩამონათვალი.
	კითხვები ჯგუფური განხილვისთვის.

მსვლელობა

1. მოსწავლეები მათთვის დარიგებულ შესავსებ ბარათებს ავსებენ დასმული კითხვების შესაბამისად. თითო ბარათს აქვს ორი ხაზი, ერთი განკუთვნილია სახელის, მეორე ქვეყნის სახელწოდების ჩასაწერად. ბარათების სახელის ხაზზე მოსწავლეები წერენ რომელიმე თავიანთი თანაკლასელის სახელს და ქვეყნის ხაზზე კითხვის შესაბამის ქვეყანას.

   მრავალნაირი კითხვა შეიძლება დაისვას. ჩვეულებრივ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ბარათების ნაკრები საკმარისია ამ სავარჯიშოს შესასრულებლად. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ ნაკრებს დაამატოთ ბარათები, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ მოსწავლეებს თავიანთი ერთი თანაკლასელის სახელის მხოლოდ ერთხელ გამოყენების უფლება აქვთ. გამოტოვებული ბარათის შემთხვევაში ისინი ქულას კარგავენ.

2. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ იმართება განხილვა. მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ მიგრაცია აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა თითქმის ყველა ოჯახისთვის და ყველა ქვეყანაში. მოსწავლეები მსჯელობენ მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე და განიხილავენ მსოფლიოს, როგორც ერთიან ქსელს.

მასალა მასწავლებლებისთვის

კითხვები: იპოვე კლასში ის, ვინც...

- ნამყოფია უცხო ქვეყანაში
- ჰყავს უცხოელი მეგობარი, რომელთანაც მიმოწერით აქვს ურთიერთობა
- სწავლობს უცხო ენას
- ჰყავს ნათესავი საზღვარგარეთ
- გატაცებულია უცხო ქვეყნის მუსიკით
- დახმარება გაუწევია უცხოელისთვის, რომელიც ჩვენს ქვეყანას სტუმრობდა
- უყვარს სხვა ქვეყნის სამზარეულო
- ჰყავს უცხოური წარმოების ავტომანქანა
- ცხოვრობს ოჯახში, სადაც ერთზე მეტ ენაზე საუბრობენ
- ჰყავს ნათესავი, რომელიც საზღვარგარეთ არის დაბადებული

- ახლახან გაზეთში წაუკითხავს ამბავი უცხო ქვეყანაზე
- ბოლო დროს გასაუბრებია ვინმეს, ვინც უცხო ქვეყანაშია ნაცხოვრები
- ტელევიზიის საშუალებით რაიმე შეიტყო უცხო ქვეყანაზე.

კითხვები ჯგუფური განხილვისთვის

1. რა შეიტყვეთ ერთმანეთის შესახებ სავარჯიშოს შესრულების პროცესში?
2. რა იყო თქვენთვის ყველაზე მოულოდნელი იქიდან, რაც თქვენი თანაკლასელების შესახებ შეიტყვეთ?
3. რას გვასწავლის სავარჯიშო ჩვენი მსოფლიოს შესახებ?

მასალა მოსწავლეებისთვის:

ა სახელი——————— ქვეყანა———————	**ბ** სახელი——————— ქვეყანა———————	**გ** სახელი——————— ქვეყანა———————	**დ** სახელი——————— ქვეყანა———————
ე სახელი——————— ქვეყანა———————	**ვ** სახელი——————— ქვეყანა———————	**ზ** სახელი——————— ქვეყანა———————	**თ** სახელი——————— ქვეყანა———————
ი სახელი——————— ქვეყანა———————	**კ** სახელი——————— ქვეყანა———————	**ლ** სახელი——————— ქვეყანა———————	**მ** სახელი——————— ქვეყანა———————

თავი 5 – სამართლიანობის აღსრულება



წინასიტყვაობა

სურათზე ნაჩვენებია ბიჭი და გოგო საქანელაზე. საყრდენი, რომელიც საქანელას იკავებს, ცენტრში არ არის, შესაბამისად, გოგონას მხარე ბიჭის მხარეზე მძიმეა. გოგონა წამყვან ფუნქციას ასრულებს და, როგორც ჩანს, ეს მოსწონს. ბიჭი, სახეზე არც თუ ისე ბედნიერი გამომეტყველებით, ამაოდ ცდილობს მიწაზე დაშვებას. მსგავსი სიტუაცია ხშირად კამათითა და კონფლიქტითაც კი სრულდება. საყრდენი ამ შემთხვევაში წარმოადგენს კანონის სიმბოლოს.

სურათი შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს აღქმული და საინტერესო კითხვებს ბადებს. ბიჭისა და გოგონას შესაძლებლობები, მოცემულ სიტუაციაში, არათანაბარია, რომელიც სქესთა შორის თანასწორობის საკითხს უკავშირდება. თითქოს არაორდინალურია, რომ გოგონას „პრივილეგირებული“ პოზიცია უკავია. ალბათ იგი ცდილობს, მოხერხებულობით აჯობოს პარტნიორს და ატყუებს მას, რაც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა; ან სარგებლობს კანონით მინიჭებული უპირატესობით, რომელიც წარსულში ქალთა დისკრიმინაციის კომპენსაციას ემსახურება. ამრიგად, ეს სამართლიანი თამაშია? თანასწორობა ყოველთვის გულისხმობს სამართლიანობას? ვისი უფლებებია დაცული კანონით? ირღვევა ვინმეს უფლებები? – და ვის მიერ?

საყრდენის სახით წარმოდგენილი პარაგრაფის (§) სიმბოლო შემდგომ კითხვებს ბადებს. ვინ დაადგინა ამ თამაშის წესები? კანონის ოფიციალური სიმბოლო სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობაზე მიგვანიშნებს. სახელმწიფო შეიძლება შედგებოდეს ინსტიტუციებისაგან, რომლებიც ძალაუფლებას ინაწილებენ და ახორციელებენ ერთმანეთის კონტროლს, კონტროლისა და ბალანსის სისტემის ფარგლებში – პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო. სახელმწიფოს შეიძლება სათავეში ედგას კეთილმოსურნე ან დესპოტი თვითმპყრობელი. კანონებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მათი საშუალებით ადამიანის უფლებები სამოქალაქო უფლებების ფორმით მიეწოდება სახელმწიფოს მოქალაქეებს. კანონები იცავს ადამიანის უფლებებს, მათი დარღვევის შემთხვევაში. თუმცა, როგორც სურათზეა ნაჩვენები, რიგ შემთხვევაში ადამიანის უფლებებს არღვევს არა მოქალაქე, არამედ თვითონ უსამართლო კანონი.

ამასთანავე, კანონი უნდა ადგენდეს ინდივიდუალური მოქალაქეების უფლებათა ბალანსს და ზღვარს აწესებდეს ინდივიდუალური პირის მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე, რათა დაიცვას სხვა მოქალაქეების უფლებები.

მოცემულ თავში შესული სავარჯიშოები უკავშირდება სამართლიანობასა და სამართალს. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ სამართლიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების თვალსაზრისით.

სავარჯიშო 5.1. – ეს უსამართლოა

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები ეცნობიან სამართლიანობისა და უსამართლობის ცნებებს.
რესურსები:	სოციალური კვლევები, ენები.

მსვლელობა

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში.

1. მასწავლებელი ყოველ წყვილს სთხოვს, შეარჩიოს ფოტო.

2. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ ფოტოზე ასახული სიტუაცია ისე, როგორც ისინი აღიქვამენ:

   – „მე ვხედავ...“ (ფაქტობრივი აღწერა)
   – „მე ვგრძნობ...“ (ემოციური რეაგირება)
   – „ეს მე მაგონებს...“ (ასოციაცია, მოსაზრება)

   მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაახარისხონ ფოტოები შემდეგ სამ კატეგორიად:

   – ფოტოზე ნაჩვენებია სამართლიანი სიტუაცია.
   – ფოტოზე ნაჩვენებია უსამართლო სიტუაცია.
   – ფოტოზე არ ჩანს სამართლიანია თუ არა სიტუაცია.

3. წყვილები ერთიანდებიან ოთხკაციან ჯგუფებად. ყოველი წყვილი მეორეს უხსნის ფოტოს მათეულ აღქმას და ცდილობს, დაარწმუნოს ისინი საკუთარი მსჯელობის ჭეშმარიტებაში. ჯგუფები კომენტარს ურთავენ ფოტოებს, რომელიც შემდგომ გამოიფინება კლასის კედლებზე და მათ შესასწავლად მოსწავლეებს ეძლევათ დრო.

4. პლენარული განხილვა:

   – რომელ ფოტოებზე გამოსახული სიტუაციები იქნა შეფასებული როგორც სამართლიანი და რომელი როგორც უსამართლო?
   – ზოგიერთ სიტუაციაზე შეთანხმება რთული აღმოჩნდა, რატომ?
   – რა ფაქტორები განაპირობებს უსამართლობას?
   – როგორ შეიძლება ამ უსამართლო სიტუაციების გამოსწორება სამართლიანობის აღსადგენად?

გაგრძელება

მოსწავლეები ქმნიან რამდენიმე ჯგუფს. ყოველი ჯგუფი ირჩევს ერთ, უსამართლო სიტუაციას და ცდილობს, უპასუხოს ზემოთ მოყვანილი კითხვებიდან ბოლოს: როგორ შეიძლება გამოსწორდეს ეს უსამართლობა?

პირველ რიგში, მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, ადამიანის რომელი უფლება იქნა დარღვეული მოცემულ სიტუაციაში. შემდეგ მათ უნდა ეძებონ ადამიანის ამ უფლების დაცვისა და აღდგენის გზები და საშუალებები.

სავარჯიშო 5.2. – გამონაკლისი

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები ეცნობიან დისკრიმინაციის თემას.
რესურსები:	ფერადი სტიკერები და ერთი თეთრი სტიკერი.

მსვლელობა

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში.

1. მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს შუბლზე აკრავს თითო სტიკერს. მათ არ უნდა იცოდნენ, რა ფერის სტიკერები აქვთ შუბლზე მიკრული. ამის გამო სტიკერის შუბლზე მიკვრისას თვალები დახუჭული უნდა ჰქონდეთ.

2. მოსწავლეები, მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მათ შუბლზე მიაკრავს სტიკერს, თვალებს ახელენ. თითოეულმა მოსწავლემ უნდა მოძებნოს სხვა მოსწავლეები, რომლებსაც იმავე ფერის სტიკერები აქვთ შუბლზე მიკრული და ფერების მიხედვით უნდა შექმნან ჯგუფები.

3. პლენარული მსჯელობა და შეჯამება. რეკომენდებულია შემდეგი კითხვების დასმა:

   – რა იგრძენით, როცა შეხვდით პირველ მოსწავლეს, რომელსაც თქვენი ფერის სტიკერი ჰქონდა შუბლზე?

   – რას გრძნობს მოსწავლე, რომელსაც შუბლზე ერთადერთი თეთრი სტიკერი აქვს მიკრული?

   – ჯგუფის წევრები დაეხმარეთ ერთმანეთს?

   – როგორ შეიძლება თეთრი სტიკერის მატარებელი მოსწავლე გავაერთიანოთ ჩვენს რიგებში?

4. სავარჯიშოს შესრულებისას, მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოებაში უმრავლესობებსა და უმცირესობებს შორის ურთიერთობას:

   – ვინ არიან საზოგადოებისგან გარიყულები, გამონაკლისები?

   – იყოს გამონაკლისი და საზოგადოებისგან იზოლირებული – ადამიანის პირადი არჩევანია?

გაგრძელება

ერთ ჯგუფს ენიჭება პრივილეგია. მოსწავლეები მეტი ინტერესით ეკიდებიან ამოცანას, მაგრამ ამან შეიძლება კლასში გარკვეული სტრესი და შუღლი წარმოშვას. მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს კლასს და მზად უნდა იყოს შესაბამისი რეაგირებისათვის.

სავარჯიშო 5.3. – ასაწყობი სურათი

საგანმანათლებლო მიზანი:	
	თამაში წარმოადგენს უსამართლო სიტუაციის სიმულაციას. მოსწავლეები, სამართლიანობის ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით, აცნობიერებენ საკუთარ რეაქციას უსამართლო მოპყრობაზე. სამართლიანობა უდევს საფუძვლად ადამიანის უფლებებს. მოსწავლეები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია სოლიდარობა და თანამშრომლობა უსამართლობის აღმოსაფხვრელად.
რესურსები:	კონვერტებში ჩაწყობილი მარტივი ასაწყობი სურათები, ან სურათები, რომლებიც დაჭრილია რამდენიმე ნაწილად.

მსვლელობა

1. მოსამზადებელი სამუშაო: მოსწავლეთა თითოეული სამ–ოთხკაციანი ჯგუფისათვის მზადდება თითო ასაწყობი სურათი. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მზა ასაწყობი სურათები ან დაჭრას სურათები რამდენიმე ნაწილად. თითოეული ასაწყობი სურათი თავსდება თითო კონვერტში. რეკომენდებულია, კონვერტზე დაკრული იყოს უკვე აწყობილი სურათის ასლი. მასწავლებელი სურათების თითო ნაწილს იღებს კონვერტიდან და ანაცვლებს მას სხვა კონვერტში მოთავსებული სურათის ნაწილით. ზოგიერთ კონვერტში სურათის ნაწილები სრულად არის მოთავსებული.

2. მოსწავლეები იყოფიან სამ–ოთხკაციან ჯგუფებად. მასწავლებელი ჯგუფების თითოეულ წევრს ცალკე დავალებას აძლევს:

   – მოსწავლე, რომელიც პასუხისმგებელია დროისა და რესურსების მართვაზე.

   – არბიტრი, რომელიც აკონტროლებს პროცესის წარმართვას კონფლიქტის გარეშე და მოსწავლეების მხრიდან წესების დაცვას.

   – მოსწავლე, რომელიც ფლობს ასაწყობი სურათის მზა ასლს.

   – მოსწავლე, რომელიც ასრულებს ამოცანას.

   მასწავლებელი ჯგუფებს გადასცემს თითო კონვერტს და აძლევს მათ დავალებას, ააწყონ სურათები დროის მცირე მონაკვეთში. მოსწავლეები უმალ აღმოაჩენენ, შეძლებენ თუ არა სურათის სრულყოფილად აწყობას მათ ხელთ არსებული რესურსებით და მიიღებენ თუ არა დახმარებას სხვა ჯგუფებიდან.

3. თამაშის დასასრულს იკვეთება მოგებულები და წაგებულები. მოსწავლეთა რეაქციისა და იმის მიხედვით, თუ რა ასაკის მოსწავლეებთან ტარდება სავარჯიშო, მასწავლებელმა შეიძლება დასვას შემდეგი კითხვები, რათა მოსწავლეებმა შეაფასონ საკუთარი პოზიტიური და ნეგატიური დისკრიმინაციის გამოცდილება:

   – რა იგრძენით, როცა მიხვდით, რომ ჯგუფებს სხვადასხვა მასალა ჰქონდათ?

   – რას იგრძნობდით, სხვა ჯგუფის წევრი რომ ყოფილიყავით?

   – როგორი იყო თქვენი გამოცდილება ჯგუფში, რომელსაც არასაკმარისი/საკმარისი რესურსი ჰქონდა?

   – რამ შეუწყო ან შეუშალა ხელი ჯგუფის წარმატებას?

გაგრძელება

მოსწავლეებს მოჰყავთ მაგალითები რეალური ცხოვრებიდან, როდესაც ადამიანებს თანაბრად არ მიუწვდებათ ხელი მნიშვნელოვან რესურსებზე (მაგ. თავისუფალი დრო, სამუშაო, ფული, ძალაუფლება) და განიხილავენ მათ.

სავარჯიშო 5.4. – კანონის დანიშნულება

საგანმანათლებლო მიზანი:	ანტიკური ხანის ფილოსოფოსები კანონის დანიშნულების განსაზღვრისთვის სხვადასხვა ღირებულებებს იყენებდნენ. ღირებულებებს შორის არსებულ სხვაობას განაპირობებს განსხვავებული სოციალური და პოლიტიკური სისტემები. თეორია გვაწვდის ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც აისახება ჩვენი ყოველდღიური გამოცდილება, სადაც ჩვენი ღირებულებების არჩევანს განაპირობებს ჩვენი ინტერესები. მოსწავლეები არჩევანს აკეთებენ ღირებულებებზე, ადამიანის უფლებათა ფარგლებში; ერთმანეთს ადარებენ საკუთარ არჩევანს, მსჯელობენ მათზე და ცდილობენ, გამოიჩინონ მათდამი ერთგულება ყოველდღიურ ცხოვრებაში.
რესურსები:	დიდი ფორმატის ფურცელზე დაწერილი და კედელზე გაკრული სხვადასხვა კონცეფცია კანონის როლის შესახებ (იხ. მასალა 1).

მსვლელობა

1. მოსწავლეები იყოფიან სამ–ოთხკაციანი ჯგუფებად. მათ ურიგდებათ სამუშაო ფურცლები, სადაც მოცემულია ქცევის წესების ჩამონათვალი (იხ. მასალა 2).

2. ყოველ ჯგუფს ეძლევა 10 წუთი, რათა ქცევის წესები დააკავშიროს კანონის კონცეფციებთან.

3. ჯგუფები ამოწმებენ თავიანთ შედეგებს.

4. მოსწავლეები ირჩევენ მათთვის ყველაზე მისაღებ კონცეფციას.

5. მოსწავლეები ირჩევენ მათთვის ყველაზე ნაკლებად მისაღებ კონცეფციას.

გაგრძელება

ზეპირი შეჯამება:

- წესები, რომელსაც შენ ემორჩილები ყოველდღიურ ცხოვრებაში, შეესაბამება შენს არჩევანს?

- იცით ისეთი წესების შესახებ, რომელიც თქვენ მიერ ყველაზე ნაკლებად მისაღებ ცნებას შეესაბამება? არ დამორჩილებიხართ ან დაპირისპირებიხართ მათ? რატომ? რა მოიმოქმედეთ ამისთვის?

შეჯამება წერილობითი ფორმით:

- კანონის რომელ კონცეფციას ემხრობით ყველაზე მეტად და რატომ?

- დაასახელეთ ხუთი წესი, რომელსაც თქვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ემორჩილებით.

მასალა
(იხ. შემდეგ გვერდზე)

მასალა 1: კანონის ძირითადი კონცეფციები

1. კანონის დანიშნულებაა, აღკვეთოს ადამიანის მიერ სხვა ადამიანის უფლებების დარღვევა (არისტოტელე).

2. კანონის დანიშნულებაა, ყოველ ადამიანს მისცეს ის, რასაც იგი იმსახურებს (არისტოტელე).

3. კანონის დანიშნულებაა სრულყოფილი საზოგადოების შექმნა (პლატონი).

4. კანონი ემსახურება ადამიანისთვის უსამართლოდ მიყენებული ზარალის აღკვეთას (გლაუკონი).

5. კანონი უნდა ემსახურებოდეს მათი ინტერესების დაცვას, ვინც ხელისუფლებაშია (ტრასიმაკუსი).

6. კანონის დანიშნულებაა, შეინარჩუნოს სოციალური მშვიდობა, საზოგადო კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო პრაქტიკის დანერგვის საშუალებით (პროტაგორა).

7. კანონის დანიშნულებაა სუსტების დაცვა.

მასალა 2: წესები

1. საკუთარი შვილებისადმი გამოჩენილი სასტიკი მოპყრობისთვის მშობლები დაპატიმრებულნი უნდა იყვნენ.

2. სახელმწიფომ უმუშევარი მოქალაქეები უნდა უზრუნველყოს დახმარებით, რომელიც მათ თავის გატანისა და გადარჩენის საშუალებას მისცემს.

3. სამსახურით პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდნენ ის სტუდენტები, რომლებიც წარჩინებით გამოირჩევიან.

4. ყველა დასაქმებულმა მოქალაქემ უნდა გაიღოს საკუთარი წვლილი უმუშევართა დახმარებისთვის.

5. ნებისმიერი პირის მიერ განხორციელებულ, სხვა პირის მიმართ ზარალის მომტან ქმედებაზე პასუხი უნდა აგოს პირველმა ამ ზარალის ანაზღაურებით.

6. მასწავლებლის მოვალეობაა მოსწავლეების დარწმუნება იმაში, რომ მათ საზოგადოებაში მოქმედი კანონები, წარმოადგენენ რა საუკეთესო კანონებს, ურღვევია,

7. პირი, რომელიც საზოგადოებაში მოქმედი წესების მიმართ წინააღმდეგობას/დაუმორჩილებლობას გამოავლენს, მივლენილ უნდა იქნეს გადამზადების ცენტრში.

8. მისაღებია ქმედებები, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს მიერ არის ლიცენზირებული და ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

9. არჩევნებში, კენჭისყრაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც იხდის გადასახადებს.

10. ახალგაზრდები სახელმწიფო სტრუქტურებში უნდა იყვნენ გაწევრიანებული, რათა მათ სასარგებლო საქმე აკეთონ.

11. საწარმოებს მოეთხოვებათ გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად საჭირო ფილტრებისა და კვამლსადენების დამონტაჟება.

12. არავის აქვს უფლება, გაავრცელოს იდეები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არ იქნება მიჩნეული

მართებულად.

13. სახელმწიფოს აქვს უფლება, განახორციელოს ექსპროპრიაცია/კონფისკაცია საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

14. კომპანიის ხელმძღვანელებს აქვთ უფლება, პირადი უსაფრთხოების მომსახურებით ისარგებლონ.

15. აკრძალულია სხვა პიროვნების სახლში მისი ნებართვის გარეშე შესვლა.

სავარჯიშო 5.5. – სამართლიანობის სხვადასხვაგვარი აღქმა

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ სამართლიანობა სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს აღქმული. მოსწავლეები ეცნობიან უფლებებსა და მოვალეობებს შორის კავშირს.
რესურსები:	სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისთვის, ვარიანტები ა. და ბ.

მსვლელობა

1. მოსწავლეები ირჩევენ ადამიანის ერთ–ერთ უფლებას განსახილველად.

2. მოსწავლეები ქმნიან ოთხ ან ექვსკაციან ჯგუფებს.

   ყოველი ჯგუფი, თავისთავად, იყოფა ორად. ერთი ნაწილი ხელმძღვანელობს მასალით - *ვარიანტი ა;* მეორე – მასალით *ვარიანტი ბ.*

   ყოველი ქვეჯგუფი ამზადებს მათ ვარიანტში ჩამოყალიბებული მოსაზრებების დამადასტურებელ არგუმენტებს.

3. ქვეჯგუფები ჯგუფის სახით იყრიან თავს და ყოველი ა ქვეჯგუფი აცნობს საკუთარ არგუმენტებს ბ ქვეჯგუფს, რომელიც ამ დროს ყურადღებით უსმენს და აკეთებს ჩანიშვნებს.

   შემდეგ ბ ქვეჯგუფი აცნობს საკუთარ არგუმენტებს ა ქვეჯგუფს.

   ამ პროცედურის შემდგომ, ჯგუფის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეჯგუფის წევრები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს.

4. ა და ბ ქვეჯგუფის წევრები ცვლიან როლებს. მასწავლებელი მოსწავლეებს სავარჯიშოს ამ ეტაპის თაობაზე წინასწარ არ აწვდის ინფორმაციას.

   მოსწავლეებს ეძლევათ რამდენიმე წუთი, რათა გადაამოწმონ საკუთარი არგუმენტები.

5. ჯგუფები ცდილობენ, შეიმუშაონ საერთო პოზიცია და წერილობით ჩამოაყალიბონ იგი.

6. კითხვები განსჯისთვის:

   – რა სირთულეებს გადააწყდით საერთო პოზიციის შემუშავების დროს?

   – გაგიადვილათ როლების გაცვლამ საერთო პოზიციის შემუშავება თუ პირიქით?

გაგრძელება

მასწავლებელი (ან მოსწავლეები) ასახელებენ მაგალითებს, სადაც გამოხატვის თავისუფლება (ან ბავშვთა შრომა) სადავო საკითხს წარმოადგენს.

   – როგორ შეიძლება დავიცვათ წონასწორობა უფლებებსა და მოვალეობებს შორის?

   – არსებობს მოვალეობები – ან უფლებები – რომლებიც გარკვეული უფლებების შეზღუდვას იწვევენ?

რეკომენდებულია მედიაინფორმაციის გამოყენება მაგალითის შესწავლის თვალსაზრისით. შეიძლება განხილულ იქნეს ადამიანის სხვა უფლებები, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება ან საკუთრების უფლება.

მასალა:

ვარიანტი ა: გამოხატვის თავისუფლება

სამართლიან საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს და არ შეიძლება მისი შეზღუდვა. განიხილეთ შემდეგი საკითხები:

- ცენზურის უარყოფითი გავლენა;
- გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და მასთან დაკავშირებული უკმაყოფილების პოლიტიკური შედეგები;
- რა გარემოებების გამო ზღუდავენ სხვა ქვეყნები ამ თავისუფლებას;
- რა მნიშვნელობა აქვს გამოხატვის თავისუფლებას დემოკრატიისთვის;
- ყველა სხვა, მასთან დაკავშირებული პრობლემა.

ვარიანტი ა: ბავშვთა შრომა

კანონი უნდა კრძალავდეს ბავშვთა შრომას, რათა არ შეიზღუდოს ბავშვის თამაშის, განათლების მიღებისა და მისი განვითარებისთვის აუცილებელ პირობებში ცხოვრების უფლება. განიხილეთ შემდეგი საკითხები:

- ბავშვი არასაკმარის განათლებას იღებს, როდესაც იგი იძულებულია, იმუშაოს;
- ხშირად ბავშვებს არაჯანსაღ გარემოში უწევთ მუშაობა;
- ბავშვთა შრომას ხშირად ბოროტად იყენებენ, ვინაიდან ბავშვებს არ გააჩნიათ უსამართლო მოპყრობისგან თავდაცვის უნარი;
- ყველა სხვა, მასთან დაკავშირებული პრობლემა.

ვარიანტი ბ: გამოხატვის თავისუფლება

სამართლიან საზოგადოებაში ხშირად საჭიროა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, რათა დაცულ იქნეს ადამიანის უფლებები. განიხილეთ შემდეგი საკითხები:

- რასისტული გამონათქვამების გავლენა უმცირესობათა ჯგუფებზე;
- როდესაც წარმოთქმული სიტყვა ძალადობის წამქეზებელია;
- ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი, სადაც გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა დარღვევა მოჰყვება შედეგად;
- უფლებების პარალელურად ჩვენ გვაქვს ვალდებულებები;
- ყველა სხვა, მასთან დაკავშირებული პრობლემა.

ვარიანტი ა: ბავშვთა შრომა

რთულ ეკონომიკურ პირობებში ოჯახის გადასარჩენად და საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, იმუშაოს და ოჯახის შენახვაში დაეხმაროს მშობლებს. განიხილეთ შემდეგი საკითხები:

- საზოგადოებაში, სადაც მწვავედ დგას უმუშევრობის პრობლემა, ბავშვები ხშირად შემოსავლის ერთადერთ შემომტანებს წარმოადგენენ;
- ბევრ საზოგადოებაში არსებობს ბავშვთა შრომის ტრადიცია;
- ბავშვისთვის პროდუქტიული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის ჩამორთმევა ბავშვის მოზრდილთა საზოგადოებიდან იზოლირებას იწვევს;
- შრომა ბავშვს განვითარებაში ეხმარება;
- ყველა სხვა, მასთან დაკავშირებული პრობლემა.

თავი 6 – პოლიტიკური ფილოსოფიის გაცნობა



წინასიტყვაობა

სურათზე ნაჩვენებია ბიჭი და გოგო ერთმანეთის პირისპირ. ისინი ერთმანეთს თავიანთ კუბურებს უჩვენებენ, რომელთა წახნაგებზე სხვადასხვა პოლიტიკური ფილოსოფიის სიმბოლოებია გამოსახული. ამ სურათზე მნიშვნელოვანია ის, რომ გოგო და ბიჭი ერთმანეთს უღიმიან, თუმცა სიმბოლოებს შორის განსხვავება დაპირისპირებასა და უთანხმოების მოლოდინს ქმნის. შესაძლებლობისდა ფარგლებში, სასურველია, სიმბოლოების განმარტებებს მოსწავლეებმა მიაგნონ. ბიჭის კუბურაზე გამოსახულია „ბომბის აკრძალვის“ სიმბოლო, რომელიც პაციფიზმზე მიუთითებს; პენტაგრამა შესაძლოა სოციალისტური იდეოლოგიისა ან კაცობრიობის შესახებ ჰოლისტური თვალსაზრისის მატარებელი იყოს; ზიგზაგი ხაზი – შეიძლება წყლის სიმბოლოდ იყოს აღქმული და გარემოს დაცვას გამოხატავდეს, მაგრამ შეიძლება სრულიად განსხვავებული მოსაზრებაც გაჩნდეს ამ სიმბოლოს შესახებ. გოგონას კუბზე გამოსახული A–სიმბოლო ანარქიზმის მაჩვენებელია; მდედრობითი სქესის სიმბოლო შეიძლება ფემინისტურ ხედვას გამოხატავდეს; ყვავილი – გარემოს დაცვას ან მშვიდობის უზრუნველყოფას, ან, შესაძლოა, გოგონასთვის ეს სიმბოლო განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი იყოს. მოსწავლეები სარგებლობენ ადამიანის უფლებით – აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით და თანასწორობის უფლებით. არავის აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვისი მოსაზრებაა „სწორი“ და ვისი „მცდარი“.

სურათი საინტერესო და განსაცვიფრებელი შინაარსის მატარებელია. ჩვენ სიმბოლოებსა და ცნებებს პოლიტიკურ ფილოსოფიაში ვაერთიანებთ, რათა გამოვხატოთ ჩვენი თვალსაზრისი და გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები, მაგრამ ისინი შეიძლება ორაზროვანი ან სულაც დამაბნეველი აღმოჩნდეს. ამიტომ გვმართებს ერთმანეთისთვის საკუთარი არჩევანის გაზიარება და ერთმანეთის ყურადღებით მოსმენა. ძალიან ბევრი მოსაზრება არსებობს, რომელზეც ერთმანეთს ვეთანხმებით ან არ ვეთანხმებით. მოცემული ექვსი სიმბოლო საკმარისია იმისთვის, რათა წარმოდგენა შეგვექმნას ღია, პლურალისტურ საზოგადოებაზე. ერთმანეთს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ; შეგვიძლია ვიკამათოთ ისე, რომ არავინ დავაზარალოთ და ყველა კმაყოფილი დარჩეს.

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ამ ორ განზომილებას აერთიანებს. პირველი უკავშირდება *თანხმობას/*კმაყოფილებას. პოლიტიკური ფილოსოფიის აღქმა მნიშვნელოვანია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, ვინაიდან იგი მიმართულებას გვაძლევს და ღირებულებების გარკვევაში გვეხმარება, როდესაც ვმსჯელობთ ამა თუ იმ საკითხზე და ვიღებთ ზომებს, გარდა ამისა, უკეთ გვესმის სხვების.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მეორე განზომილება კონფლიქტის ცივილიზებულად წარმართვის *კულტურას* გულისხმობს – იკამათეთ სახეზე ღიმილით. კონფლიქტის მოგვარების ამ კულტურას მოსწავლეები სკოლაში უნდა ეზიარონ, საკუთარი გამოცდილებითა და მასზე მსჯელობით. ამის სწავლება ძალიან ადრეული ასაკიდან არის შესაძლებელი და დიდადაა დამოკიდებული მასწავლებლებისა და აღმზრდელების მაგალითზე. მასწავლებელი უნდა მოერიდოს ორგვარ მოქმედებას მოსწავლეებთან ურთიერთობაში. პირველი უკავშირდება პოლიტიკურ მიზანშეწონილობას. მასწავლებლის მოვალეობაში არ შედის, შეასწავლოს

მოსწავლეებს რომელიმე მისთვის მისაღები პოლიტიკური დოქტრინა და არ უნდა აიძულოს მოსწავლეები, გაიზიარონ მისი პირადი თვალსაზრისი. მეორე მოქმედებაა სიჩუმით უგულებელყოფა, რომელიც ჩაგვრის აშკარა ფორმაა. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, როგორ გამოიჩინონ ყურადღება ერთმანეთის მიმართ, როგორ გასცენ ერთმანეთს პასუხი და ელოდონ, რომ არც თვითონ დარჩებიან უპასუხოდ. მასწავლებელმა უნდა გაამხნევოს მოსწავლეები, რათა მათ სხვებისთვის გასაგები ახსნა მოუძებნონ საკუთარ არჩევანს, მაგრამ მათზე არ უნდა განხორციელდეს ზეწოლა იმ მიზნით, რომ ვაიძულოთ, გაამართლონ თავიანთი არჩევანი.

მოცემული სავარჯიშოები შეგვიძლია გადავაკეთოთ მოსწავლეთა ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფზე მორგების მიზნით.

სავარჯიშო 6.1. – პოლიტიკური აზროვნების ძირითადი კონცეპტები

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები ეცნობიან ღირებულებებს, რომლებიც პოლიტიკური კამათისა და დებატების საფუძველს წარმოადგენს და აცნობიერებენ, რომ ამ ღირებულებათაგან ზოგი იცავს და ზოგიც არღვევს ადამიანის უფლებებს (ადამიანის უფლებათა *შესახებ* სწავლება). სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლეები იძენენ უნარს, მუდმივად იყვნენ მზად სხვა ღირებულებებისა და პოზიციების შესასწავლად და გასაგებად, მიუხედავად იმისა, მისაღებია თუ არა ისინი მათთვის (სწავლება ადამიანის უფლებების *საშუალებით*).
რესურსები:	მოწოდებებისა და მოსაზრებების ჩამონათვალი (იხ. ქვემოთ მოცემული მასალა). შესაძლებელია საარჩევნო პოსტერების, ვიდეორგოლების ან პოლიტიკური განცხადებების ამონარიდებისა და პოლიტიკოსთა მიერ წარმოთქმული სიტყვების ნაწყვეტების გამოყენება.

მსვლელობა

1. მოსწავლეები წყვილდებიან ან იყოფიან ოთხკაციან ჯგუფებად.

2. ისინი განიხილავენ მოწოდებებსა და მოსაზრებებს და განსაზღვრავენ მათ შედეგებს. შეიძლება გამოვიყენოთ კითხვები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ამოცანის შესრულებაში და მოწოდებებს შორის პარალელის გავლებაში, მაგ. საზოგადოების რომელ ჯგუფზე ექნება გავლენა ამა თუ იმ მოსაზრებას და როგორი იქნება ეს გავლენა (მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, მაგალითად, მდიდრები ან ღარიბები, ჯანმრთელი მოსახლეობა ან მოსახლეობა, რომელიც სამედიცინო დახმარებას საჭიროებს, ის ვინც ძალაუფლებას ფლობს ან ვინც ამ ძალაუფლების გავლენის ქვეშ არის და ა.შ.).

3. თუ ისინი უკვე ერკვევიან პოლიტიკური აზროვნების ძირითად მიმდინარეობებში, მოსწავლეებმა უნდა სცადონ მოცემული მოწოდებების დაკავშირება აზროვნების სხვადასხვა სკოლასთან. მათ შეიძლება მოსაზრება ან მოწოდება აზროვნების ერთზე მეტ სკოლასთანაც გააიგივონ.

4. მოსწავლეები ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით განიხილავენ მოსაზრებებს და იმ ღირებულებებს, რომლებიც ამ მოსაზრებებს უდევს საფუძვლად.

გაგრძელება

მოსწავლეები განიხილავენ მოცემული მოსაზრებებისა და მოწოდებების შესაძლო შედეგებს, აკავშირებენ რა მათ საკუთარ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან და განვითარებულ მოვლენებთან.

მასალა:

მოსაზრებები და მოწოდებები

1. სახელმწოფო არ უნდა ერეოდეს ქვეყნის ეკონომიკაში. მის მოვალეობას მხოლოდ კანონის დაცვა უნდა წარმოადგენდეს.

2. მოსახლეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფასო სამედიცინო მომსახურეობით.

3. ყველა კომპანია უნდა იქნეს ნაციონალიზებული.

4. სახელმწიფოს მეთაურს უნდა გადაეცეს სრული ძალაუფლება.

5. სახელმწიფომ, დამქირავებლებმა და პროფესიულმა კავშირებმა ერთად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ხელფასების ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

6. სახელმწიფო თავად არის საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი.

7. თეთრკანიანთა ცივილიზაცია მოწინავე ცივილიზაციაა.

8. სუსტ მოსწავლეებს არ უნდა მივცეთ საშუალება, შეაფერხონ სხვა მოსწავლეების სწავლის პროცესი.

9. არავის აქვს სხვებზე ბრძანების გაცემის უფლება.

10. საზოგადოება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დადგენილება ან გადაწყვეტილება შეესაბამებოდეს საზოგადოებაში არსებულ ბუნებრივ იერარქიას.

სავარჯიშო 6.2. – დამოკიდებულებები ხელისუფლებისადმი[5]

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები ასხვავებენ ხელისუფლების განსხვავებულ კონცეპტებს და აცნობიერებენ მათ გავლენას დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე. მოსწავლეებს უვითარდებათ აქტიური მოსმენის უნარი (სწავლება ადამიანის უფლებათა *საშუალებით*).
რესურსები:	მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მასალა: „მოსაზრებები ხელისუფლებასა და მთავრობაზე“

მსვლელობა

1. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. ისინი ეცნობიან მოსაზრებებს და იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ მოსაზრებებს იზიარებენ.

2. მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერებს იმ მიზეზების თაობაზე, რის გამოც ისინი ეთანხმებიან ამა თუ იმ მოსაზრებას.

3. მოსწავლეები აცნობენ კლასს თავიანთ ნამუშევარს.

4. მოსწავლეები მოსაზრებებს აკავშირებენ პოლიტიკური აზროვნების სკოლებთან (დამხმარე სავარჯიშო); მასწავლებელი, მოსწავლეთა მიერ გამოთქმული და განხილული მოსაზრებების გამოყენებით, აცნობს მათ პოლიტიკური აზროვნების მიმართულებებს (ინდუქციური მიდგომა, სწავლების სხვადასხვა მიდგომის გამოყენება – ლექცია, სტუდენტებთან საუბარი, ექსპერტთა ნაშრომების გაცნობა).

გაგრძელება

მოსწავლეები მსჯელობენ ღირებულებათა საკუთარ სისტემებზე.

მოსწავლეები პოლიტიკურ მოსაზრებებს საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ პარტიათა და პოლიტიკურ ლიდერთა მიერ აღებულ კურსთან აკავშირებენ.

მასალა

(იხ. შემდეგ გვერდზე)

[5] კლოდ პერისის *Ethique et Politique*–ს მიხედვით, კვებეკი, 1985 წელი.

მასალა მოსწავლეებისთვის

მოსაზრებები ხელისუფლებასა და მთავრობაზე

1. მთავრობაში ლიდერის როლი პირველხარისხოვანი და შეუცვლელია.

2. ძალაუფლება იწვევს გაუცხოებას და საჭიროა მისი ლიკვიდირება, რათა ყველა პიროვნებას მიეცეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

3. ერს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი საშიში მტერი: მისი საკუთარი მთავრობა.

4. პოლიტიკურ ძალაუფლებას უნდა ფლობდეს მხოლოდ მოქალაქეების მიერ არჩეული მთავრობა.

5. პოლიტიკური პარტიების არსებობა წამგებიანია სახელმწიფო ხელისუფლებისთვის, რადგან ისინი საზოგადოებაში განხეთქილებასა და ფუჭ, არაფრისმომტან კონფრონტაციას იწვევენ.

6. სახელმწიფო არ არის ადამიანთა უბრალო თავყრილობა; იგი არის რეალობა, რომელიც ადამიანთა ერთობაზე გაცილებით მაღლა დგას და გაცილებით მნიშვნელოვანია.

7. ხელისუფლების ყველა ფორმას აქვს მიდრეკილება, გახდეს ტოტალიტარული.

8. სახელმწიფო თავისთავად მიზანს არ წარმოადგენს, არამედ იგი არის ინდივიდუალური მისწრაფებების განხორციელების საშუალება.

9. სახელმწიფო არის უზარმაზარი სარკოფაგი, სადაც ბოლოს ყველა ინდივიდუალური მოსაზრება ჰპოვებს სამუდამო განსასვენებელს.

10. გაფიცვა არის გამოწვევა ხელისუფლებისადმი, სწორედ ამიტომ უნდა აიკრძალოს იგი.

11. პიროვნება მხოლოდ სახელმწიფოსთვის არსებობს და მის გარეთ იგი არაფერს წარმოადგენს.

12. ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომელიც მათ ეხება.

13. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო აღარ იარსებებს, შევძლებთ ვისაუბროთ თავისუფლებაზე.

14. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა კანონიერი მოთხოვნები.

15. ადამიანს აქვს ბუნებრივი მოთხოვნილება, თესოს სიკეთე – აკეთოს კეთილი საქმე – ჩვენ ყოველთვის უნდა ვენდოთ მას.

16. ყველა პიროვნების მონაწილეობა ხელისუფლებაში – ეს უნდა იყოს ადამიანთა საზოგადოების ნებისმიერი წყობის ამოსავალი და ძირითადი პრინციპი.

17. მოქალაქეები მხოლოდ პოლიტიკური პარტიების საშუალებით ახორციელებენ მთავრობის გადაწყვეტილებაზე გავლენას.

18. თავის ნებაზე მიშვებული, კონტროლს მიღმა დარჩენილი ადამიანები ერთმანეთს დახოცავენ.

19. პოლიტიკური ძალაუფლება არ უნდა იყოს მინდობილი საზოგადოებრივ აზრს.

20. ადამიანებს აქვთ უფლებები, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაიცვას.

სავარჯიშო 6.3. – მე რომ ჯადოქარი ვიყო

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გამოიყენონ წარმოსახვის უნარი. ადამიანს, რომელსაც უტოპიური წარმოსახვის უნარი არ გააჩნია, აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ მიიღოს სტატუს კვო. მოსწავლეები იყენებენ თავიანთ შემოქმედებით უნარს.
რესურსები:	ფურცლები და ფლომასტერები.

მსვლელობა

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თავი ჯადოქრებად წარმოიდგინონ.

2. ისინი კითხულობენ:

   „მე რომ ძლიერი ჯადოქარი ვიყო, გავაკეთებდი ისე, რომ კაცებმა, ქალებმა და ბავშვებმა აღარასოდეს გამოსცადონ ის, რაც ომის დროს გამოსცადეს; და ამის უზრუნველსაყოფად...“

   ყველა მოსწავლე ასრულებს შემდეგ წინადადებებს:

   - მე შევაჩერებდი...
   - მე ბოლოს მოვუღებდი...
   - მე დავივიწყებდი...
   - მე წინ აღვუდგებოდი...
   - მე გავაგრძელებდი...
   - მე შევქმნიდი...

3. მოსწავლეები რიგრიგობით კითხულობენ თავიანთ პასუხებს კლასის წინაშე. უმჯობესია, მოსწავლეები ისხდნენ წრეზე.

4. შეფასება: მოსწავლეები განიხილავენ, რა სურვილები იქნა გამოთქმული და რა საჭიროებები იქნა წამოყენებული მათ წინადადებებში.

გაგრძელება

მოსწავლეები მსჯელობენ, შესაძლებელია თუ არა მათი რომელიმე ოცნების რეალიზება.

ვარიანტი

უფროსი ასაკის მოსწავლეებისთვის:

„მე რომ არქიტექტორი ვიყო...“: მოსწავლეები წარმოიდგენენ, როგორი იქნებოდა მათი სკოლა, ან ქალაქი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

მოსწავლეებს შეუძლიათ შეაჯამონ თავიანთი სურვილები და დააკავშირონ ისინი პოლიტიკური აზროვნების რომელიმე ძირითად მიმართულებასთან (ლიბერალური, კონსერვატიული, სოციალისტური, მწვანეები).

თავი 7 – მონაწილეობა პოლიტიკაში

წინასიტყვაობა

სურათზე ნაჩვენებია ქალი და კაცი, რომელთაც გვერდს გოგონა და ბიჭი უმშვენებთ. ქალი და კაცი თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ საჯაროდ, გოგონა და ბიჭი კი მათი მხარდამჭერების ფუნქციას ასრულებენ. მამაკაცს გლობუსის გამოსახულებიანი პოსტერი უჭირავს, რომელიც მსოფლიოს სიმბოლოა; მაშინ როცა ქალი უთითებს პოსტერზე, რომელიც მის მომხრე ბიჭს უჭირავს ხელში და რომელზეც ხუთქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული. შეიძლება ეს სიმბოლო სულაც ასახავდეს იმ ადგილს, სადაც ისინი დგანან. ისინი ერთმანეთს მეგობრული გამომეტყველებით უყურებენ, შუღლის არანაირი ნიშანწყალი არ ჩანს. უფროსები და ბავშვები პოლიტიკაში მონაწილეობენ. ისინი სარგებლობენ მშვიდობიანი დემონსტრაციის გამართვის უფლებით. ორივე მხარეს სქესთა თანაბარი შეწონადობაა, ამრიგად, სქესთა შორის თანასწორობის პრინციპის მხრივ დარღვევა არ არის. ორი მხარე ერთმანეთს კონკურენციას უწევს უმრავლესობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ისინი უშუალოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს, ასე რომ მათ საქმეში არ ერევა მედია, პოლიტიკური პარტიები დაინტერესებული ჯგუფები.

ადგილს, სადაც ეს ოთხი ადამიანი დგას, უსწორმასწორო წახნაგოვანი ვარსკვლავის ფორმა აქვს. ეს სიმბოლო სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს აღქმული: აღნიშნავდეს საზოგადოებას, რომელიც მასში შემავალ მოქალაქეებს ერთობის შეგრძნებას უყალიბებს, მაგრამ, ამასთანავე, უფლებების, ვალდებულებების და მოვალეობების ჩარჩოებს უსაზღვრავს; ტრიბუნას, რომელსაც მოქალაქეები იკავებენ, როდესაც საჯაროდ გამოდიან სიტყვით. ის, ვინც ამ ტრიბუნის მიღმა აღმოჩნდება, საზოგადოებისთვის საკუთარი მოსაზრების გაცნობის შესაძლებლობას უშვებს ხელიდან და, შესაბამისად, მოუწევს, მიიღოს ის, რასაც სხვები გადაწყვეტენ. მოქალაქეებს სხვადასხვა გზით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება გულისხმობს პოლიტიკაში აქტიურ, უშუალო მონაწილეობას. პოლიტიკაში მონაწილეობა ბავშვებსაც ისევე შეუძლიათ, როგორც უფროსებს. ამისათვის საჭიროა საკითხში კარგად გარკვევა და გონივრული განსჯა. დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური მონაწილეობა სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს, რომ სკოლა წარმოადგენდეს მიკროსაზოგადოებას, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ სკოლის საქმეების მოგვარებაში.

როგორც დემოკრატიულ საზოგადოებაში, ასევე, დემოკრატიულ სკოლაში არ უნდა მოვერიდოთ კამათსა და დაპირისპირებას, ჩხუბსა და კონფლიქტსაც კი, ეს აღქმულ უნდა იქნას, როგორც ბუნებრივი და საჭირო მოვლენა, რომელიც განაპირობებს დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებას. მოსაზრებათა და ინტერესთა დაპირისპირების მოგვარება წარმოადგენს პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების ძირითად მეთოდს. თუ არ გაჟღერდა განსხვავებული ინტერესები და საწინააღმდეგო მოსაზრებები, ვერ მოხდება მათი გათვალისწინება. ღია საზოგადოებაში ჰარმონია – საყოველთაო კეთილდღეობა – არ შეიძლება იყოს ძალად თავს მოხვეული, მის შესახებ საზოგადოება მოლაპარაკების გზით უნდა შეთანხმდეს. დაპირისპირებასა და კონფლიქტს არ მოაქვს ზიანი, თუ იგი კამათის, კონფლიქტის მოგვარებისა და კომპრომისის კულტურის ფარგლებში მიმდინარეობს.

მოცემულ სავარჯიშოებში პოლიტიკური მონაწილეობის პირობები და ტიპებია განხილული. ეს მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, ისარგებლონ საზოგადოებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.

სავარჯიშო 7.1. – სიჩუმის კედელი

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ როგორ აღიქვამენ ისინი დემოკრატიას.
რესურსები:	კედელზე გაკრული ფლიპჩარტები და მარკერები (ხუთ–ხუთკაციანი ჯგუფებისთვის).

მსვლელობა

1. მოსწავლეები ქმნიან ხუთკაციან ჯგუფებს. ყოველი ჯგუფი ნახევარწრის ფორმით თავსდება მათთვის განკუთვნილი, კედელზე გაკრული ფლიპჩარტის წინ. მასწავლებელი მათ აძლევს გარკვეულ დროს, სთხოვს, იმუშაონ სრულ სიჩუმეში და დაასრულონ ფლიპჩარტზე წინადადება „დემოკრატია არის...“

2. მოსწავლეებს შეუძლიათ, ასევე, წერილობითი ფორმით, ფლიპჩარტზე უკვე დატანილ ერთმანეთის მოსაზრებებს უპასუხონ.

3. დავალებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, თითოეული მოსწავლე ირჩევს ფლიპჩარტზე სხვა მოსწავლეს მიერ დატანილ წინადადებას და ხმამაღლა კითხულობს. მოსწავლეთა ჯგუფები ერთმანეთს აცნობენ საკუთარ ნამუშევრებს.

4. ხდება მოსაზრებების გაზიარება:

   – „მე შევიტყვე...“

   – „მე აღმოვაჩინე...“

   – „სიამოვნებით განვიხილავდი...“

ვარიანტი

კედელზე გაკრული ფლიპჩარტის ნაცვლად, მოსწავლეთა ჯგუფები სხდებიან მაგიდის გარშემო და მუშაობენ მაგიდაზე მოთავსებულ დიდი ფორმატის ფურცელზე.

ძირითადი ინფორმაცია

სავარჯიშო „სიჩუმის კედელი“ გულისხმობს გონებრივი იერიშის აქტივობას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი გაკვეთილების დასაწყისში, რომლის დროსაც მოსწავლეები ეცნობიან ძირითად ცნებებს, როგორიცაა დემოკრატია, დიქტატურა, სამართლიანობა, მშვიდობა, განათლება, თანასწორობა, თავისუფლება და ა. შ.

მოცემული მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა ნაკლებად ექსტრავერტი მოსწავლეებისთვის და მათთვის, ვისაც მეტი დრო სჭირდება მოსაფიქრებლად. ასეთი მოსწავლეები ხშირად ვერ აქტიურობენ ზეპირი გამოკითხვის დროს და ფრონტალური მეცადინეობების გარემოში.

სავარჯიშო 7.2. – ჩემი მოსაზრებები დიქტატურაზე

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეებს შეუძლიათ, განსაზღვრონ და იმსჯელონ დემოკრატიისა და დიქტატურის ელემენტებზე. მოსწავლეები ირჩევენ ღირებულებებს და ცდილობენ, მსჯელობით განამტკიცონ თავიანთი არჩევანის მართებულობა.
რესურსები:	პოსტერი და მარკერები ან დაფა და ცარცი.

მსვლელობა

1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განსაზღვრონ დიქტატურის მახასიათებელი ნიშნები.

   მოსწავლეების მიერ შედგენილ ჩამონათვალში შესაძლოა შევიდეს შემდეგი ნიშნები:

– ანტისემიტიზმი – ეთნიკური წმენდა – წამება – პირობების დაყენება – ხელისუფლების, ინდივიდუალური პირების ან სამხედრო ხელისუფლების კულტი – კრიტიკის გაიგივება დამანგრეველ ძალასთან – ქალის როლი, რომელიც მხოლოდ შთამომავლობის გაგრძელებით შემოიფარგლება – სექსუალურ უმცირესობათა განდევნა საზოგადოებიდან – ხელისუფლებისადმი მორჩილება – ზეწოლა დაქვემდებარების მიზნით – მოთხოვნა, გყავდეს მმართველი და წინამძღოლი – უმცირესობათა დევნა

2. მოსწავლეები ჩამონათვალის მიხედვით პასუხობენ კითხვას: „მსგავსი სიტუაცია რამდენად მოახდენს გავლენას ჩემზე?“

3. მოსწავლეები დიქტატურის მახასიათებლებს ალაგებენ გრადაციის მიხედვით, ასახელებენ რა პირველ რიგში იმ მახასიათებლებს, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, ყველაზე მეტად შეეხება მათ.

გაგრძელება და ვარიანტი

დიქტატურის მახასიათებლები შეიძლება დავუკავშიროთ მაგალითებს გაზეთებიდან, ფილმებიდან ან ლიტერატურული ნაწარმოებებიდან.

მსგავსი სავარჯიშოს შესრულება შესაძლებელია დემოკრატიის თემაზე.

სავარჯიშო 7.3. – კითხვარი ცვლილებისადმი დამოკიდებულების შესახებ

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები იხსენებენ თავიანთ გამოცდილებებს და თავისუფლად საუბრობენ მათზე. მოსწავლეები უსმენენ სხვა მოსწავლეებს, იმის მიუხედავად, ეთანხმებიან მათ თუ არა.
რესურსები:	მასალა მოსწავლეებისთვის: „კითხვარი ცვლილებისადმი დამოკიდებულებების შესახებ“.

შენიშვნა მასწავლებლებისათვის

ინფორმაცია ძირითადი პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ

დამოკიდებულება წარმოადგენს ტენდენციას, გამოხატო საკუთარი აზრი ან მიიღო გარკვეული ქცევის ნორმა. იგი არის სოციალური ინტეგრაციისა და პირადი გამოცდილების რეზულტატი და, აქედან გამომდინარე, უფრო ნაკლებად არის გაცნობიერებული, ვიდრე იდეოლოგია. პოზიცია და დამოკიდებულება განაპირობებს ჩვენს აღქმას, განსჯასა და ქმედებას.

სავარჯიშოს მიზანია, საკუთარი აზრის გამოხატვის საფუძველზე, დაანახოს მოსწავლეებს, თუ რამდენად არის პიროვნება სოციალური ცვლილების მომხრე ან მისი წინააღმდეგი. ცვლილება, თავისთავად, არ შეიძლება შეფასდეს როგორც კარგი ან ცუდი და მოსწავლეების ამოცანას ამის განსაზღვრა არ შეადგენს. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი „პოლიტიკური ლაკმუსის ქაღალდის“ შედეგები არ უნდა იქნეს სერიოზულად აღქმული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს სრულად არა აქვთ გაცნობიერებული ის შედეგები, რომელთაც კითხვარში წარმოდგენილი მოსაზრებები გულისხმობს.

რეალურ ამოცანას წარმოადგენს განსაზღვრა იმისა, თუ რატომ, რა, როდის და როგორ უნდა შეიცვალოს. პოლიტიკური აზროვნების მოდელები, რომლებიც პოლიტიკური პოზიციის ჩამოყალიბებას განაპირობებს, სათავეს იღებს საფრანგეთისა და ამერიკის კონტინენტზე განხორციელებული რევოლუციების ეპოქიდან. შემდეგი მოკლე ინფორმაცია სახელმძღვანელოს ფუნქციას შეასრულებს, თუმცა თავდაპირველი წყაროების წაკითხვა მეტ ინფორმაციას მოგვაწვდის და მეტად სასარგებლო იქნება.

პროგრესულ პოზიციას მივყავართ რწმენამდე, რომ ცვლილებები სასურველია. ცვლილება შეიძლება იყოს *რევოლუციური* ან *რეფორმისტული*, რასაც განაპირობებს აღქმა იმისა, თუ რამდენად სასწრაფო და აუცილებელია ცვლილება და რა საშუალებებით უნდა განხორციელდეს იგი. თუ აუცილებელია *რევოლუციური* ცვლილება ან გარდაქმნა, ამ შემთხვევაში დასაშვებია ძალის გამოყენებაც. *რეფორმისტული* გარდაქმნისთვის ცვლილება ასევე სასურველია, მაგრამ არ ხდება არსებულის რადიკალური შეცვლა.

კონსერვატიული პოზიცია, მეორე მხრივ, ითვალისწინებს ტრადიციას და, თეორიაზე მეტად, გამოცდილებას ანიჭებს უპირატესობას. ეს პოზიცია შეიძლება იყოს არსებული *სტატუს კვოს* მომხრე ან *რეაქციული. სტატუს კვოს* მომხრეობა ნიშნავს არსებულის შენარჩუნებას, მიუხედავად მისი არასრულყოფილებისა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ორგანული ზრდის მხარდაჭერა, რომელიც ცვლილების ტოლფასია (ედმუნდ ბურკე). საზრუნავს წარმოადგენს არსებული მდგომარეობის სიმყარისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, იმ შემთხვევაში, თუ თავს იჩენს მიკერძოებული ინტერესები და აქტიური მონაწილეობა პროცესებში. *რეაქციონიზმი* არსებულის უარყოფას გულისხმობს. ამ შემთხვევაში განხორციელებული ცვლილება მიიჩნევა წარუმატებლად და არასაჭიროდ და ჩნდება მოთხოვნა, აღდგეს ის, რაც ცვლილებამდე იყო.

რევოლუციური და *რეაქციული* პოზიციები დოქტრინული და, მაშასადამე, ფუნდამენტალისტური მახასიათებლების მატარებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ პოზიციას განაპირობებს იდეოლოგია და არ ხდება არსებული რეალობის გათვალისწინება.

დანარჩენი მიდგომები უფრო პრაგმატულია და პოზიციის ჩამოყალიბებას განაპირობებს უშუალო შედეგების ანალიზი.

მოცემული სავარჯიშო ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ პოლიტიკური აზროვნების სხვადასხვა მოდელის არსებობა, გაარკვიონ საკუთარი მიდრეკილებები და ის, თუ რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას. პოლიტიკაში ხშირად ჩნდება პოზიციები, რომლებიც რამდენიმე პოლიტიკური აზროვნების სინთეზს წარმოადგენს, მაგალითად, პოზიცია, რომელშიც გაერთიანებულია ნეოლიბერალური, გარემოს დაცვის და ტექნოკრატიული მოდელები.

მსვლელობა

1. მოსწავლეები ავსებენ კითხვარს. საკითხების წინ ისინი ათავსებენ შემდეგი რიცხვებიდან ერთ-ერთს, რომელიც მათ დამოკიდებულებას გამოხატავს:

   5 – ისინი სრულიად ეთანხმებიან მოსაზრებას.
   4 – ისინი მეტ–ნაკლებად ეთანხმებიან მოსაზრებას.
   3 – მათი პოზიცია მეტ–ნაკლებად ნეიტრალურია მოსაზრებასთან დაკავშირებით.
   2 – ისინი მეტ–ნაკლებად არ ეთანხმებიან მოსაზრებას.
   1 – ისინი სრულიად არ ეთანხმებიან მოსაზრებას.

2. მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ შედეგებს, მიღებული ქულა მათ პოლიტიკურ პოზიციას მიანიშნებს.

   100–80: რევოლუციური
   80–60: რეფორმისტული
   60–40: სტატუს კვოს მომხრე
   40–20: რეაქციული

გამოიკვეთა პოზიციათა სხვადასხვაობა მოსწავლეებს შორის? იყო განსაკუთრებული სხვაობა გოგოებისა და ბიჭების პოზიციებს შორის?

გაგრძელება

ტექსტზე მუშაობა: იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყენებს მასწავლებელი მოცემულ სავარჯიშოს – როგორც მოსამზადებელ სამუშაოს თუ როგორც დამხმარე სავარჯიშოს – ტექსტზე მუშაობა, რეკომენდებულია, უსწრებდეს ან მოყვებოდეს ამ სავარჯიშოს. მაღალი კლასების მოსწავლეებთან შეიძლება შერჩეულ იქნეს მასალა ლოკის, ბურკეს ან მარქსის ნაშრომებიდან. დამატებით, და ასევე დაბალი კლასების მოსწავლეებთან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკოსების ან პარტიის წარმომადგენლების მიერ გარკვეულ საკითხზე გაკეთებული განცხადებები.

ასევე, იხილეთ მომდევნო სავარჯიშო.

ვარიანტი

მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მასალა შეიძლება შედგენილი იყოს იმ პრობლემური საკითხების მიხედვით, რომლებიც დღის წესრიგში დგას.

განხილვა შესაძლებელია დაიწყოს მოცემული საკითხებიდან ნებისმიერით.

მასალა

(იხ. შემდეგ გვერდზე)

მასალა მოსწავლეებისთვის

კითხვარი ცვლილებისადმი დამოკიდებულებების შესახებ

1. ქალებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მეუღლეების ნებართვის გარეშე ჩაიტარონ სტერილიზაცია/უარი თქვან შვილიანობაზე.

2. შვილიანობის კონტროლის შესახებ ინფორმაცია, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა მიეწოდოს ყველა მდედრობითი სქესის ახალგაზრდას 14 წლის ასაკიდან.

3. საჭიროა მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზება.

4. დემოკრატიულ საზოგადოებაში, საზოგადოების მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი.

5. დამნაშავეებს სასჯელზე მეტად სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ.

6. სიკვდილით დასჯა საყოველთაოდ უნდა აიკრძალოს.

7. ყველა დიდი კომპანია უნდა იყოს ნაციონალიზებული.

8. ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის ქორწინება ლეგალიზებული უნდა იყოს.

9. სამუშაოზე ვაკანსიების გამოცხადებისას, არ უნდა იყოს მითითებული სქესი და სქესის მიხედვით არ უნდა ხდებოდეს სამუშაოზე აყვანა.

10. საქველმოქმედო დაწესებულებები უნდა აიკრძალოს. დაუცველი მოქალაქეების დახმარება სახელმწიფოს პრეროგატივა და მოვალეობაა.

11. რიგით მოქალაქეზე არ უნდა ხორციელდებოდეს კონტროლი და მართვა.

12. მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ საკუთარი სკოლის მართვაში.

13. ნიშნები, ხარისხები და სერტიფიკატები უნდა გაუქმდეს.

14. ყველას, განურჩევლად სქესისა, ასაკისა თუ პროფესიისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პიროვნება ირჩევს, არაფერი აკეთოს, უნდა ჰქონდეს გარანტირებული მინიმალური შემოსავალი.

15. ბავშვების აღზრდა ერთდროულად რამდენიმე რწმენის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს; ისინი არჩევანს გააკეთებენ, როცა ზრდასრული მოქალაქეები იქნებიან.

16. პოლიტიკოსები უნდა ითვალისწინებდნენ მეცნიერთა რჩევებს მეცნიერული აღმოჩენების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

17. ყველა ადამიანი ერთნაირი შესაძლებლობებით იბადება.

18. უნდა გაუქმდეს კერძო საკუთრება და დამკვიდრდეს სახელმწიფო საკუთრება.

19. არავის აქვს უფლება, საკუთარი მოსაზრებები თავს მოახვიოს სხვებს.

20. ნებისმიერი ეკონომიკური შედეგების გათვალისწინების გარეშე უნდა აიკრძალოს ყველანაირი პროდუქტის წარმოება, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაბინძურებას.

სავარჯიშო 7.4. – დაგეგმარების პროექტი[6]

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სტრუქტურას ცვლილების განხორციელების პერიოდში. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ეხება საზოგადოების ყველა წევრს. აქედან გამომდინარე, თუ საჭიროა გადაწყვეტილების მიღება, საზოგადოების ყველა წევრი უნდა იყოს ინფორმირებული ამის შესახებ და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
რესურსები:	რეალური ან შეთხზული ქალაქის უბნის დაგეგმარების პროექტი. გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალური, დემოგრაფიული, ტრანსპორტთან და ა.შ. დაკავშირებული პრობლემები. მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს ბარათები მოსწავლეებისთვის, რომლებსაც როლის შესრულება მოუწევთ ამ სავარჯიშოს შესრულებისას. მოყვანილი მაგალითები შეგიქმნით წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება რეალურ პროექტზე მუშაობის სიმულაცია განხორციელდეს მოსწავლეებთან მუშაობისას.

შენიშვნა მასწავლებლებისთვის

მოცემული სავარჯიშო მრავალ მიზანს მოიცავს. მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელი ქვემოთ მოყვანილი ელემენტი განიხილოს და რომელი გამოიყენოს იმის გასაგებად და სხვებისთვის გასაზიარებლად, თუ რაში მდგომარეობს მოცემული სავარჯიშოს მიზანი.

1. მოსწავლეები მზად არიან, მოისმინონ და შეეცადონ, გაიგონ სხვადასხვა თვალსაზრისი და ინტერესები, მიუხედავად იმისა, იზიარებენ თუ არა მათ.

2. მოსწავლეები ეჩვევიან, წინასწარ განსაზღვრონ ის შედეგები, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესს შეიძლება მოჰყვეს.

3. მოსწავლეები დემოკრატიულ გარემოში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გამოცდილებას იძენენ, რაც გულისხმობს მონაწილეობასა და ეფექტურობას შორის წონასწორობის დაცვას (მაგ. ყველამ უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრება, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს რეგლამენტი და პროცესიც დადგენილ დროში უნდა განხორციელდეს).

4. ძირითადი არსი: ღია საზოგადოებაში, როგორიცაა მოსწავლეთა საზოგადოება, საზოგადოებრივ კეთილდღეობას არ განსაზღვრავს ზემდგომი ორგანო, არამედ დგება დროებითი შეთანხმება მის შესახებ, რომელიც გადასინჯვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრა ახალი პრობლემა.

მსვლელობა

1. მოსწავლეები იყოფიან წყვილებად. ყოველ წყვილს გადაეცემა პროექტის ერთი ასლი და ერთი ბარათი. მოსწავლეთა ერთი წყვილი თავმჯდომარეობას გაუწევს ამოცანის შესრულების შემდგომ გამართულ დებატებს.

2. წყვილები ადგენენ პროექტთან დაკავშირებული სარგებელისა და პრობლემების ჩამონათვალს.

---

[6] ს. ფაუნტეინის *Education pour le développement humain*–ის მიხედვით De Boeck, 1996 წელი.

3. ჩამონათვალის შედგენისას ისინი ითვალისწინებენ იმ პიროვნების თვალსაზრისს, რომლის როლის შესრულებაც უწევთ მიღებული ბარათის მიხედვით.

4. ისინი პროექტის თაობაზე იღებენ საერთო გადაწყვეტილებას – ამტკიცებენ მოცემულ პროექტს ან უარყოფენ მას; მათ ამ ამოცანის შესასრულებლად ეძლევათ 15 წუთი.

5. რიგრიგობით ყველა წყვილი წარსდგება კლასის წინაშე და საკუთარ პოზიციას, შესაბამისი დასაბუთებით, აცნობს მოსწავლეებს.

6. დებატების დროს ყოველი წყვილი გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რის განხორციელებას ისურვებდნენ ისინი. ყოველ მოსწავლეს მოსაზრების გამოსათქმელად უწესდება რეგლამენტი და დებატებიც გარკვეულ დროში უნდა დასრულდეს.

7. მოსწავლეები კენჭს უყრიან პროექტს, რის საფუძველზეც იღებენ გადაწყვეტილებას, უნდა განხორციელდეს თუ არა მოცემული პროექტი.

შემდგომი სამუშაო

8. თქვენ გარდა არიან სხვა წყვილები, რომელთა მოსაზრებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული?

9. იქონია თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენა სხვისმა მოსაზრებამ?

10. გარკვეულმა ინტერესებმა, რომელთაც ერთი ჯგუფი იცავდა, იქონია გავლენა სხვა ჯგუფების გადაწყვეტილებაზე?

11. არიან წარმოდგენილნი ისეთი ჯგუფები, რომელთა მოსაზრებასა და ინტერესს მეტი წონა აქვთ, ვიდრე სხვების ინტერესებსა და მოსაზრებებს?

12. არიან წარმოდგენილნი ისეთი ჯგუფები, რომელთა ინტერესების გათვალისწინებაც თითქმის არასდროს არ ხდება?

13. გადაწყვეტილება, რომელსაც ხმა მისცა უმრავლესობამ, წარმოადგენს საუკეთესო არჩევანს მთელი საზოგადოებისთვის?

გაგრძელება

1. მოსწავლეები ინდივიდუალურად, პარტნიორის დახმარების გარეშე ასრულებენ მათთვის დაკისრებულ როლს.

2. როლის შესრულება მოიცავს კონსულტაციებს სპეციალისტებთან, რომლებიც პროექტის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით იძლევიან რჩევებს.

3. კლასის ნაწილი ჟიურის ან ადგილობრივი პარლამენტის ფუნქციას ასრულებს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე (წარმომადგენლობითი დემოკრატია).

4. ორი ან სამი მოსწავლე რეპორტიორის ან დამკვირვებლის ფუნქციას ასრულებს. ისინი მოხსენებებს აკეთებენ გადაწყვეტილების მიღების მიმდინარე პროცესის შესახებ და მოსწავლეების მიერ საკუთარი როლების შესრულების თაობაზე.

5. თუ ნიმუშად აღებულია რეალური პროექტი, შესაძლებელია ადგილობრივი პოლიტიკოსების და ჟურნალისტების მოწვევა, რომლებიც მოსწავლეებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას სავარჯიშოს შესრულების შემდგომ გამართულ დისკუსიაში.

6. მოცემული მოდელი შეიძლება მივუსადაგოთ სკოლაში წამოჭრილი პრობლემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

მასალა მასწავლებლებისთვის

როგორ შევადგინოთ როლების გადანაწილების ბარათები

1. თქვენ ხართ მასწავლებელი:

   – შეგიძლიათ დაასახელოთ მიზეზები და დაასაბუთოთ, რისთვის იქნება ეს პროექტი სასარგებლო?

   – როგორ ფიქრობთ, შექმნის ამ პროექტის განხორციელება რაიმე პრობლემებს?

2. თქვენ ხართ მცირე ბიზნესის მფლობელი:

   – შეგიძლიათ დაასახელოთ მიზეზები და დაასაბუთოთ, რისთვის იქნება ეს პროექტი სასარგებლო?

   – როგორ ფიქრობთ, შექმნის ამ პროექტის განხორციელება რაიმე პრობლემებს?

3. თქვენ მუშაობთ სამედიცინო ცენტრში.

4. თქვენ დასაქმებული ხართ დასუფთავების სამსახურში.

5. თქვენ ხართ ავტობუსის მძღოლი.

6. თქვენ ახლახან ჩამოხვედით სხვა რეგიონიდან ან ქვეყნიდან და ეძებთ სამუშაოს.

7. თქვენ ხართ ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ მოცემულ უბანში.

8. თქვენ მცირე კომპანიის მენეჯერი ხართ.

9. თქვენ ხართ პოლიტიკოსი.

10. და სხვ.

სავარჯიშო 7.5. – ჩვენ და მსოფლიო

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები იკვლევენ, როგორ ზემოქმედებს მათ საზოგადოებაზე სხვა ქვეყნებსა და შორეულ ტერიტორიებზე განვითარებული მოვლენები. მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ მსოფლიო მასშტაბით არსებულ ურთიერთდამოკიდებულების სისტემას. ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილება, ისევე, როგორც არათანაბარი განვითარება, მოითხოვს მსოფლიოს ძალისხმევასა და თანამშრომლობას ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.
რესურსები:	ადგილობრივი უახლესი გაზეთები, მსოფლიო რუკა, წებოვანი ლენტი, ფერადი მარკერები, ძაფი და ნემსები.

მსვლელობა

1. მოსწავლეები ქმნიან ოთხკაციან ჯგუფებს. გაზეთებიდან ჭრიან სტატიებს, რომელშიც საუბარია სხვა ქვეყნებთან მათი საზოგადოების ურთიერთკავშირის შესახებ.

2. საკითხები:

   – ეკონომიკური პრობლემები

   – პოლიტიკური პრობლემები

   – მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები

   – გარემოს დაბინძურება

   – ურთიერთობები კულტურის სფეროში

   – ტურიზმი

   – სამხედრო მოქმედებები და ა.შ.

3. მოსწავლეები, მათ მიერ ამორჩეული სფეროს მიხედვით, ახარისხებენ სტატიებს მოცემული კატეგორიებიდან და შერჩეული ფერის მარკერით აღნიშნავენ სტატიაში მოცემულ ძირითად სიტყვებსა და ფრაზებს, რომელიც მიუთითებს მათ საზოგადოებასა და სხვა ქვეყანას შორის არსებულ კავშირზე.

4. მოსწავლეები ირჩევენ ყველაზე მნიშვნელოვან სტატიებს და წებოვანი ლენტით, სტატიაში მოცემული ქვეყნის ადგილმდებარეობის შესაბამისად, მსოფლიო რუკაზე ამაგრებენ მათ. მუშაობენ რა ნემსითა და ძაფით, მოსწავლეები რუკაზე მიმაგრებულ სტატიებს აკავშირებენ თავიანთ ქვეყანასთან.

5. პლენარული სესია.

   – რომელ ქვეყანასთან აღმოჩნდა შენი ქვეყანა ყველაზე მეტად დაკავშირებული?

   – რა ტიპის კავშირებია ყველაზე გავრცელებული და რატომ?

- არის მსოფლიოს რომელიმე ნაწილი, რომელთანაც შენს ქვეყანას არაფერი აკავშირებს? რა არის ამის მიზეზი?

გაგრძელება

მოსწავლეები იძიებენ ინფორმაციას იმ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ მათ ქვეყანასთან.

მოსწავლეები შეიტყობენ, ჰქონდა თუ არა მათ ქვეყანას კავშირები მოცემულ ქვეყნებთან წარსულში.

თუ მოსწავლეები სწავლობენ უცხო ენას, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მასალები უცხოური გაზეთებიდან და ინტერნეტიდან.

მოცემული სავარჯიშო შეიძლება გამოვიყენოთ როგორც შესავალი მოსწავლეებისათვის ისეთი პრობლემების შესახებ სწავლების პროცესში, როგორიცაა, მსოფლიოში ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილება და არათანაბარი განვითარება.

ის, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ მსოფლიოს, რომელშიც ვცხოვრობთ, განპირობებულია ინფორმაციით, რომელსაც ჩვენ მედიის საშუალებით ვღებულობთ. მხოლოდ დაფიქრდით, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოს მხოლოდ იმ ადგილების შესახებ გეცოდინებოდათ, რომელშიც თავად ხართ ნამყოფი. ამრიგად, რას გვაწვდის და რას არა მედია? შეუძლია ვინმეს მედიის გაკონტროლება? ცენზურა? თუ გაზეთებს შორის არსებული კონკურენციაა საკმარისი? რა ძალაუფლებას ფლობს მედია? შევძლებთ ვიცხოვროთ მის გარეშე? შესაძლოა წამოიჭრას ეს და მსგავსი კითხვები, მაგრამ ეს კითხვები უნდა წამოაყენონ მოსწავლეებმა და არა მასწავლებელმა. თუ მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მსოფლიოს აღქმის მათეული პირდაპირი საშუალებები შეზღუდულია, ისინი თავად წამოჭრიან კითხვებს მედიის როლის შესახებ.

სავარჯიშო 7.6. – უნდა მივიღოთ მონაწილეობა პოლიტიკაში?

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეებს უყალიბდებათ საკუთარი მოსაზრება იმის თაობაზე, მნიშვნელოვანია თუ არა ქვეყნის მართვაში მონაწილეობა. მონაწილეობა შესაძლებელია სხვადასხვა გზით განხორციელდეს. ჩვენ მონაწილეობას განვიხილავთ, როგორც საკუთარი საზოგადოების ან ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. ზოგიერთი ადამიანი მიიჩნევს, რომ მონაწილეობა აუცილებელია, სხვებს საპირისპირო მოსაზრება გააჩნიათ. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ, მიუხედავად იმისა, მონაწილეობენ თუ არა ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პოლიტიკური გადაწყვეტილება მაინც ახდენს გავლენას მათზე.
რესურსები:	ბარათები როლების გადანაწილებისთვის.

მსვლელობა

1. ოთხი მოსწავლე გაითამაშებს საუბარს ოთხ მოქალაქეს შორის, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩამოვიდნენ ქვეყანაში, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია.

2. მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლის დახმარებით, განიხილავენ შემდეგ საკითხებს, რომლებიც მოსმენილ საუბართან დაკავშირებით წამოიჭრება:

   – როგორია მოქალაქეთა ძირითადი მოსაზრებები ქვეყნის მართვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით? ეთანხმებით ამ მოსაზრებებს? რატომ?

   – რა მხრივ დაზარალდებიან მოქალაქეები იმ შემთხვევაში, თუ არ მიიღებენ მონაწილეობას? რა სარგებელს ნახავენ ისინი, თუ მიიღებენ მონაწილეობას?

   – რა სარგებელს ნახავს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქვეყანა მოქალაქეთა მონაწილეობით?

   – რა შესაძლო რისკები და ზარალია მოსალოდნელი იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე გადაწყვეტს მონაწილეობას?

   – რისკებისა და სარგებლის გათვალისწინებით, როგორ მიგაჩნიათ, ღირს მონაწილეობა?

3. დისკუსიის გამართვის ან ლექციის მოსმენის შედეგად, მოსწავლეები უნდა მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე:

   ქვეყნის მთავრობა ადამიანების ცხოვრებაზე ბევრნაირად ახდენს გავლენას. ქვეყნის მართვაში მონაწილეობით, მოქალაქეები მოიპოვებენ ხმის უფლებას მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ნებისმიერ საზოგადოებაში ვიღაცას უწევს გადაწყვეტილების მიღება. თუ მოქალაქეები გადაწყვეტენ, არ მიიღონ მონაწილეობა, ამით ისინი კარგავენ ხმის უფლებას ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

   – მოსახლეობისთვის დაწესებული გადასახადების ოდენობა;

   – ჩაებას თუ არა ქვეყანა ომში;

   – ვის ხელში აღმოჩნდება და ვინ გააკონტროლებს ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს.

იმის მიხედვით, თუ მთავრობის როგორი სტრუქტურა მოქმედებს ქვეყანაში, გადაწყვეტილებების მიღება ხდება სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღება, როგორიცაა, მაგალითად, სამხედრო ძალაუფლების შესახებ გადაწყვეტილება, ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით, ეროვნულ დონეზე, მაშინ, როცა ტრანსპორტისა და გზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება რეგიონულ დონეზე. სხვა საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, დასუფთავება, ხშირად ადგილობრივ დონეზე წყდება.

მასალა

ოთხი მოქალაქე ჩამოდის ქვეყანაში, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია

წარმოიდგინეთ, რომ ახლახან ჩამოხვედით ქვეყანაში, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია. თქვენ დიდი სურვილი გაქვთ, ჩაერთოთ ახალი საზოგადოების შენების პროცესში. თქვენთვის ცნობილია, რომ ქვეყანაში საუკეთესო პირობებია იმისთვის, რომ კარგი მთავრობა ჩამოყალიბდეს. თქვენ შემთხვევით მოისმინეთ საუბარი თქვენსავით ქვეყანაში ახლად ჩამოსულ მოქალაქეებს შორის:

მოქალაქე 1:

„იქ, საიდანაც მე ჩამოვედი, არავის აინტერესებდა პოლიტიკა და მთავრობა. ჩვენ ჩვენი საკუთარი, ყოველდღიური საქმიანობითა და საზრუნავით ვიყავით დაკავებული. აქაც, როგორც ჩანს, ვარჩევ, დიდად არ შევიწუხო თავი პოლიტიკაზე ფიქრით.“

მოქალაქე 2:

ჩემს ქვეყანაშიც ანალოგიური სიტუაციაა... სიმართლე გითხრათ, კარგად არასოდეს მესმოდა, რა ხდებოდა ქვეყნის ლიდერებს შორის. ისინი ყველაფერს მეტისმეტად რთულად წარმოაჩენდნენ და ჩვენ არ გვაიძულებდნენ ამ სირთულეებში გარკვევას.“

მოქალაქე 3:

ჩემს ქვეყანაში ამ მხრივ შედარებით განსხვავებული სიტუაცია იყო. ჩვენ გვსურდა, მონაწილეობა მიგვეღო ქვეყნის მართვაში, მაგრამ ისინი, ვინც ქვეყნის სათავეში იდგნენ, ამის საშუალებას არ გვაძლევდნენ და გვემუქრებოდნენ, რომ დავისჯებოდით მსგავსი მცდელობებისთვის. საბოლოოდ, იძულებულნი გავხდით, შეგვეწყვიტა ჩვენი მცდელობები.“

მოქალაქე 4:

ჩვენი მთავრობა არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლებაში და ლიდერები ქვეყნის სამართლიან და ეფექტურ მართვას გვპირდებოდნენ. მაგრამ მათ დანაპირები არ შეასრულეს. ლიდერებმა ძალაუფლება ბოროტად, გამდიდრების მიზნით გამოიყენეს. ყველა, ვინც ხელისუფლებაში მოდის, კორუმპირებულია.“

სავარჯიშო 7.7. – რა გავლენას ახდენს მთავრობა ჩვენს ცხოვრებაზე?

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მთავრობა ზეგავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე, რისი წარმოდგენაც კი შეგვიძლია (*tua res agitur*). მსოფლიო, რომლის ბინადარნიც ჩვენ ვართ, ჩვენივე შექმნილია და ჩვენი გადასაწყვეტია, რას ვუპირებთ მას. გონივრული და გააზრებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენ დღითიდღე უფრო მეტად ვხდებით ერთმანეთზე დამოკიდებული, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე. ერთმანეთის საპირისპირო ინტერესების გათვალისწინება ყველაზე უკეთ დემოკრატიულ საზოგადოებაშია შესაძლებელი, სადაც ხდება მათი ინტეგრირება და კომპრომისული, ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება – იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჯგუფი გამოთქვამს თავის მოსაზრებას.
რესურსები:	არ არის საჭირო.

მსვლელობა

1. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რამდენად ახდენს მათ ცხოვრებაზე გავლენას მთავრობა. შემდეგი კითხვები დაეხმარება მათ ამის გაცნობიერებაში; მოცემულ კითხვებზე პასუხების გაცემა შესაძლებელია მთელი კლასის მონაწილეობით წარიმართოს, ან ჯგუფებში, რომლის შემდეგაც ხდება შედეგების შეჯერება კლასის მასშტაბით.

2.
   - გაიხსენეთ ერთი დღე თქვენი ცხოვრებიდან – სად წახვედით, რა გეცვათ, რა ნახეთ, რა მიირთვით, რა თქვით, რა ისწავლეთ, რა გააკეთეთ. შეგიძლიათ თუ არა თქვენი ჩამონათვალის ნებისმიერი ელემენტი დააკავშიროთ იმასთან, ჰქონდა თუ არა გავლენა მასზე მთავრობას, მათ შორის, ქვეყნის, რეგიონის ან ადგილობრივ მთავრობას?

   - წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ქვეყნის მთავრობა არის დემოკრატიული, სადაც ყველა მოქალაქე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობით, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში, ისე რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებები. თქვენი ჩამონათვალიდან რომელი ელემენტი შეიცვლებოდა? დაასაბუთეთ, რატომ მიიჩნევთ, რომ ეს ელემენტი შეიცვლებოდა?

3. მოსწავლეები, სავარაუდოდ, წამოჭრიან საკითხს, თუ როგორ შეუძლია მოქალაქეს, მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ მმართველობაში. მასწავლებელს შეუძლია, მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია ლექციის, ან შესაბამისი ტექსტის გაცნობის საშუალებით.

   შედეგად მივიღებთ შემდეგს: ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მართვაში მონაწილეობის ყველაზე დიდ საშუალებას თავისუფალი და ღია, დემოკრატიული მმართველობა იძლევა. ამ ტიპის მმართველობა გულისხმობს, რომ ხალხი თავად მოიპოვებს ძალაუფლებას და მმართველობა ხორციელდება მაჟორიტარული წესით. ზოგიერთი ქვეყანა მხოლოდ იწოდება დემოკრატიულად და ხალხს რეალურად არა აქვს ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება. დემოკრატიულ სისტემაში მოქალაქეები თავად ირჩევენ, როგორ მიიღონ მონაწილეობა და ზოგიერთ მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ არ იმონაწილეოს ქვეყნის მართვაში.

   ერთმანეთის საპირისპირო ინტერესების გათვალისწინება ყველაზე უკეთ დემოკრატიულ საზოგადოებაშია შესაძლებელი, სადაც ხდება მათი ინტეგრირება და კომპრომისული, ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება – იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჯგუფი გამოთქვამს თავის თვალსაზრისს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სუსტ ჯგუფებს, რომლებიც არ ფლობენ ზეწოლის განხორციელების საშუალებებს და, აქედან გამომდინარე, მათი ინტერესები ხშირად უგულებელყოფილია (გარიყულობის პრობლემა).

სავარჯიშო 7.8. – დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის გზები

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები პოლიტიკაში მონაწილეობის განსხვავებულ გზებს უკავშირებენ ადამიანის უფლებებს.
რესურსები:	პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლო ფორმების ჩამონათვალი.

მსვლელობა

1. ყველა მოსწავლე ადგენს იმ გზებისა და საშუალებების ჩამონათვალს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მონაწილეობა დემოკრატიულ გარემოში განხორციელებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2. მოსწავლეები იყოფიან ოთხკაციან ჯგუფებად. ისინი ერთმანეთს ადარებენ ჩანაწერებს, განიხილავენ მათ და ცდილობენ, შეთანხმდნენ ერთ საერთო ჩამონათვალზე.

3. მოსწავლეთა ჯგუფები საკუთარ ნამუშევრებს ადარებენ მათთვის დარიგებულ მასალაში მოცემულ ჩამონათვალს.

გაგრძელება

მოსწავლეებმა შეიძლება განიხილონ შემდეგი საკითხები:

1. ჩამონათვალში მოცემული გზებიდან ყველა შეესაბამება ადამიანის უფლებებს? ყველა მათგანი უნდა იყოს კანონში გათვალისწინებული? ახსენით რატომ?

2. როგორ შეგიძლია მონაწილეობის მიღება შენს საკუთარ ქვეყანაში? არის რომელიმე გზა, რომელზეც შენ ხელი არ მიგიწვდება? რატომ?

3. საჭიროა კანონი იცავდეს უფლებას არმონაწილეობის შესახებ? განმარტეთ.

მასალა

მასალა მოსწავლეებისთვის

მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს მრავალი გზით, მათ შორის: – დღის წესრიგში დაყენებული საკითხებისა და ლიდერების შესახებ არსებული მასალის გაცნობა; – დღის წესრიგში დაყენებული საკითხებისა და ლიდერების შესახებ სტატიებისა და პუბლიკაციების წერა; – საკითხის შესახებ გამართულ დებატებში მონაწილეობა; – ისეთ საზოგადოებაში მუშაობა, რომელიც რაიმე მიზნის მისაღწევად იბრძვის ან მთავრობის მიერ გადადგმულ რომელიმე ნაბიჯს ეწინააღმდეგება; – პოლიტიკური პარტიების, სხვა ტიპის საზოგადოებების ან მასობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება ან მათში გაწევრიანება; – პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ თავყრილობებზე დასწრება;

- პოლიტიკური პარტიის, შრომითი კოლექტივის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სათავეში ჩადგომა;
- არჩევნებში მონაწილეობა;
- ხელისუფლებაში მოსვლის მსურველ კანდიდატთა დასახმარებლად კამპანიის წარმოება;
- საკუთარი კანდიდატურის წამოყენება და არჩევის შემთხვევაში ამომრჩეველთათვის სამსახურის გაწევა;
- გადასახადების გადახდა;
- ლობირება;
- სამხედრო მოვალეობის მოხდა;
- არსებული იურიდიული არხებით სარგებლობა, როგორიცაა მთავრობის წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების დადება, სასამართლოში საქმის აღძვრა და ა. შ.
- პროტესტის გამოხატვა დემონსტრაციის, ბოიკოტის, გაფიცვის და ა.შ. საშუალებით.

სავარჯიშო 7.9. – პოლიტიკური ციკლი

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეებს შეუძლიათ პოლიტიკური ციკლის მოდელი გადაწყვეტილების მიღების პროცესის მაგალითს მიუსადაგონ. მოსწავლეები აცნობიერებენ საკუთარ შესაძლებლობებს - ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.
რესურსები:	მასალა მოსწავლეებისთვის „პოლიტიკური ციკლის მოდელი“, მოსწავლეებისთვის დასარიგებლად. ფლიპჩარტები, მარკერები, მაკრატლები, წებო.

მსვლელობა

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს პოლიტიკური ციკლის მოდელს, მოცემული მეთოდებიდან ერთ–ერთის გამოყენებით:

   – მასწავლებელი იყენებს დედუქციურ, სისტემატურ მეთოდს: იგი კითხულობს ლექციას[7] და მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ინფორმაციას სავარჯიშოს შესრულების პროცესში.

   – მასწავლებელი იყენებს ინდუქციურ მეთოდს: მასწავლებელს მოჰყავს მაგალითი ან აღწერს მოსწავლეებისთვის კარგად ნაცნობ სიტუაციას და ეყრდნობა მათ გამოცდილებას. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აქტუალური საკითხი, გადაწყვეტილება, რომელსაც მოსწავლეები იზიარებენ, ან რომლის წინააღმდეგნიც არიან, ან პრობლემა, რომელიც მათ აწუხებთ. სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საუკეთესო მაგალითი იქნება საწყის ეტაპზე. მასწავლებელი ამის შემდეგ კითხულობს ლექციას, იმ კონტექსტზე დაყრდნობით, რომელიც მას მოსწავლეებმა მიაწოდეს.

   ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას, მოსწავლეებს ურიგდებათ „პოლიტიკური ციკლის მოდელის“ ასლები.

2. მოსწავლეები იყენებენ პოლიტიკური ციკლის მოდელს. შესაძლებელია სხვადასხვა დავალების მიცემა:

   – მოსწავლეები იყენებენ მოდელს, როგორც საშუალებას, გაეცნონ გაზეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ოთხ ან ექვსკაციან ჯგუფებში მოსწავლეები ეცნობიან გასული რამდენიმე დღის გაზეთის გამოცემას და ცდილობენ, ამოიცნონ და დააკავშირონ ამოკითხული ინფორმაცია პოლიტიკური ციკლის მოდელში მოცემულ ექვს ეტაპთან. ისინი სტატიებს ფლიპჩარტზე აკრავენ და ემზადებიან პლენარულ რაუნდზე მის წარსადგენად.

   – მოსწავლეები ეცნობიან რომელიმე საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს. მათ, შესაძლოა, დასჭირდეთ მასალა, რომელიც ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და, შესაბამისად, ძველი გაზეთებიც. წიგნები და ინტერნეტი მასალის კარგი წყარო იქნება. შესაძლებელია ამ სავარჯიშოს გავრცობა და მისთვის პროექტის ფორმის მიცემა.

3. მსჯელობა იწყება პოლიტიკური ციკლის მოდელის განხილვით: გადაწყვეტილების მიღების პროცესის რომელ ეტაპზე გვეძლევა ჩარევის საშუალება? მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ ორი ეტაპი „გადაწყვეტილება“ და „განხორციელება“ პოლიტიკური სისტემის პრეროგატივაა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადაწყვეტილების მიღება პლებისციტის საშუალებით არ

---

[7] იხ. მოცემული სავარჯიშოს მასალის სახით მოცემული „ინფორმაცია მასწავლებლებისათვის“.

ხორციელდება). რაც შეეხება სხვა ეტაპებს, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ და ჩაებან ამ ეტაპებში.

მასალა

პოლიტიკური ციკლის მოდელი: პოლიტიკა, როგორც პრობლემის გადაჭრის პროცესი



პოლიტიკური ციკლის მოდელი: ინფორმაცია მასწავლებლებისათვის

პოლიტიკური ციკლის მოდელი რუკის ფუნქციას ასრულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე დატანილია გარკვეული ასპექტები და მასში არ არის შესული და გათვალისწინებული სხვა ასპექტები. ამგვარად სურათი უფრო ნათლად არის წარმოდგენილი, ხოლო მოდელი რეალობასთან არ უნდა გაიგივდეს. მოცემულ შემთხვევაში, მოდელში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე, მაგრამ ნაკლებად არის წარმოდგენილი პოლიტიკის მეორე განზომილება, სწრაფვა და ბრძოლა ძალაუფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად. მოდელში მოცემულ ექვს კატეგორიას თან ახლავს ძირითადი კითხვები, რომლებიც გვეხმარება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზში; მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დასვან შემდგომი კითხვები, რომლებიც უფრო კონკრეტული ხასიათის იქნება.

მოცემული მოდელი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის საუკეთესო დახასიათებას იძლევა. პირველ რიგში, ხორციელდება პოლიტიკური პრობლემის საზოგადოებრივ დღის წესრიგში დაყენება. დღის წესრიგის დადგენის პროცესში დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური ძალაუფლება. პრობლემები დამოუკიდებლად და თავისთავად არ არსებობს; ხდება საკითხის განსაზღვრა და მისთვის პრობლემის სტატუსის მინიჭება. გადამწყვეტ როლს თამაშობს ურთიერთგამომრიცხავი ინტერესებისა და ღირებულებების არსებობა, ვინაიდან პრობლემის განსაზღვრას დიდი გავლენა აქვს გადაწყვეტილებაზე (გადაწყვეტილების მიღების პროცესის შედეგზე). მაგალითად, სიღარიბე შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანის უფლების შელახვა ან როგორც სხვისი ცხოვრებით მანიპულირების შესაძლებლობა. პირველი განსაზღვრება გულისხმობს, რომ ღარიბი ადამიანები დახმარებას საჭიროებენ მაშინ, როცა მეორე განსაზღვრება თავის თავში გულისხმობს ღარიბებისთვის ზედმეტი დახმარებისგან თავის შეკავებას, იმ საბაბით, რომ ეს მათ ართმევს მუშაობის სტიმულს და აზარმაცებს. დღის წესრიგში საკითხის დაყენების პრობლემა, „პრობლემისა“ და „დებატების“ კატეგორიებს შორის, ორმაგი ისრით არის გამოსახული პოლიტიკური ციკლის მოდელში.

დებატები გარკვეულ პირობებში მიმდინარეობს. მოცემულ ეტაპზე მოდელის ჩარჩოს ენიჭება მნიშვნელობა: სოციალურ, ეკონომიკურ და საერთაშორისო დონეზე განვითარებული მოვლენები იძლევა მონაცემებს; ხოლო კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოები განსაზღვრავს წესებს. ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დებატებში? ვინ რა გადაწყვეტილებას იღებს? ეს კითხვები გვეხმარება, განვსაზღვროთ დებატების შედეგები, საბოლოო გადაწყვეტილება. ვინ მიიღო მონაწილეობა დებატებში? ვის ინტერესებს მოიცავდა განსახილველი საკითხი? რაზე უნდა შემდგარიყო მოლაპარაკება? შესაძლებელი იყო კომპრომისის გამოძებნა?

განხორციელება: როგორ ხორციელდება ან როგორ განხორციელდა გადაწყვეტილება? წარმოიშვა რამე სირთულე ან კონფლიქტი? განხორციელება ესადაგება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეთა მიზნებსა და ზრახვებს?

მოსაზრებები: როგორ მიიღო საზოგადოებამ გადაწყვეტილება? ვის ინტერესებს მოიცავს იგი – იცავს ან ეწინააღმდეგება? რა ღირებულებებია წამოწეული წინა პლანზე?

რეაქცია: ვინ რეაგირებს, ინდივიდუალური პირები თუ/და ჯგუფები? არის ორგანიზებული რეაგირება ჯგუფების მხრიდან? რეაგირება გადაწყვეტილების მხარდასაჭერად თუ მის წინააღმდეგ არის მიმართული? მაგალითი შეიძლება იყოს საპროტესტო აქციები, დემონსტრაციები, წერილები გაზეთის რედაქციას, სასამართლო გადაწყვეტილებები, გაფიცვები, ემიგრაცია, ინვესტორების მიერ ტერიტორიის დატოვება, კანონის დარღვევის შემთხვევები და ა.შ.

პრობლემა: ბოლოს და ბოლოს გადაიჭრა თავდაპირველი პრობლემა? ამ გადაწყვეტილებას ხომ არ მოჰყვა რაიმე არასასურველი ან გაუთვალისწინებელი შედეგები? ახალი პრობლემა ხომ არ წამოიჭრა გადაწყვეტილებაზე და მის განხორციელებაზე რეაგირების პროცესში? პოლიტიკური ციკლი დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა გადაჭრილია. ხშირად თანმდევი ახალი ან გაუთვალისწინებელი პრობლემა ახალ პოლიტიკურ ციკლს უდებს საფუძველს.

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ პოლიტიკური ციკლის მოდელი აჩვენებს, სად და როგორ შეუძლიათ მოქალაქეებს მონაწილეობის მიღება. ჩვენ შეგვიძლია, პრობლემის ჩვენი განმარტება წამოვაყენოთ, რომლის გადაჭრაც პოლიტიკურ რეაგირებასა და საზოგადოებრივ რესურსებს საჭიროებს. ჩვენ შეგვიძლია, მონაწილეობა მივიღოთ დებატებში, ჩამოვაყალიბოთ საკუთარი თვალსაზრისი გადაწყვეტილების შესახებ და მხარი დავუჭიროთ ან წინ აღვუდგეთ მის განხორციელებას. ამგვარად, ჩვენ ვსარგებლობთ ადამიანისა და სამოქალაქო უფლებებით. დემოკრატია ძლიერ არის დამოკიდებული აქტიურ, დემოკრატ მოქალაქეებზე.

თავი 8 – კონფლიქტის მოგვარება

წინასიტყვაობა

ილუსტრაცია გვიჩვენებს ორ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც კამათშია ჩაბმული. ისინი ერთმანეთის პირისპირ უსხედან მაგიდას. ერთი დროშას აფრიალებს, მეორე მუშტს იღერებს და კბილებს აჩენს. მათ თმა ყალყზე აქვთ, რაც ოპონენტებს მრისხანე გამომეტყველებას აძლევს. როგორც ჩანს, საქმე იქამდე მივა, რომ კონფლიქტის ესკალაცია გარდაუვალი იქნება: ორივე მამაკაცი, ეს–ეს არის, წამოდგება და ხელჩართულ ჩხუბში ჩაებმება. მაგრამ სურათზე კიდევ ერთი ელემენტია, ისინი ხელს ართმევენ ერთმანეთს, რაც შეთანხმების და კომპრომისის ნიშანია. ისინი შეიძლება ხმამაღლა საუბრობენ, მაგრამ ძალადობას ადგილი არა აქვს.

სურათი ამავდროულად უჩვენებს იმას, რაც რეალობაში თანმიმდევრულად ხორციელდება: თუ ჩვენ ჩვენი ინტერესების, მოსაზრებებისა და ღირებულებების დასაცავად ვიბრძვით, შეიძლება, რიგ შემთხვევაში, კონფლიქტშიც აღმოვჩნდეთ ჩათრეული. მსგავსი კონფლიქტების მოსაგვარებლად, ჩვენ უნდა შეგვეძლოს და მზად ვიყოთ იმისთვის, რომ შეთანხმებას მივაღწიოთ, კომპრომისზე წავიდეთ. პირველ რიგში, კამათი და წინააღმდეგობების განსაზღვრა, შემდეგ მორიგება და კომპრომისი არის კონფლიქტის პროცესი, რომელიც ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას ჰგავს.

ვარსკვლავის ფორმის იატაკსაც შეიძლება ჰქონდეს დატვირთვა. ჩვენ ერთი საზოგადოების წევრები ვართ – ჩვენი ოჯახი, ჩვენი სკოლა, ჩვენი პლანეტა. გამომდინარე აქედან, ჩვენ ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული და კონფლიქტის პროცესს და მის მოგვარებას ჩვენი საერთო პრინციპები და წესები უნდა განაგებდეს. თავისთავად, კონფლიქტში არაფერია ცუდი. ადამიანის უფლებები წარმოშობს პლურალიზმს და ინტერესთა კონკურენციას, რაც კონფლიქტის ალბათობას ზრდის. კონფლიქტის მართებული გზით მოგვარებას ჰარმონია მოსდევს მაშინ, როცა ავტორიტარული საშუალებებით კონფლიქტის ჩახშობის მცდელობამ, ისევე როგორც მისმა უსამართლო გადაჭრამ, შეიძლება საზოგადოების დაშლა გამოიწვიოს.

კონფლიქტის მოგვარება, გარკვეულწილად, უნარია, რომელიც გამომუშავებას ექვემდებარება. სწორედ ეს წარმოადგენს მოცემული სავარჯიშოების მიზანს; ისინი მოსწავლეებს აწვდიან საშუალებებს, პროცედურათა სტრუქტურულ სქემებს კონფლიქტის მოსაგვარებლად და გადასაჭრელად. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია, კონფლიქტი სამართლიანად გადაიჭრას და აქ თავს იჩენს

ღირებულებები და კონფლიქტის დროს ქცევის კულტურა. საუკეთესო შემთხვევაში, კონფლიქტი ისე უნდა მოგვარდეს, რომ მასში მონაწილე ყველა მხარე მოგებულის პოზიციაზე აღმოჩნდეს. თუ ამის მიღწევა შეუძლებელია, აუცილებელია, ვიზრუნოთ იმაზე, რომ არავინ აღმოჩნდეს წაგებული. ამისათვის უნდა გამოინახოს კომპრომისის გზა, რომელიც სარგებლისა და ზარალის თანაბარ გადანაწილებას განაპირობებს. უფრო ფართო სპექტრით თუ განვიხილავთ, რისკის წინაშე დგანან არა მარტო ოპონენტები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ამ კონფლიქტში, არამედ მთელი საზოგადოება და გარემო.

სავარჯიშო 8.1. – მოგება-მოგება პრინციპი

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია სხვადასხვა გზით. კონფლიქტში მონაწილე მხარეები შესაძლებელია მოგებულის და წაგებულის პოზიციაში აღმოჩნდნენ, ან შეიძლება მათ შორის შედგეს შეთანხმება კომპრომისზე. იმ შემთხვევაში, თუ გვინდა, რომ არ წარმოიშვას ახალი კონფლიქტი, არც ერთი მახარე არ უნდა აღმოჩნდეს წაგებული.
რესურსები:	დაფა ან ფლიპჩარტი.

მსვლელობა

1. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ კონფლიქტის მოგვარება სამი განსხვავებული შედეგით შეიძლება დასრულდეს:

მოგება – მოგება ☺☺
მოგება – წაგება ☺☹
წაგება – წაგება ☹☹

კონფლიქტის მოგვარების ეს პრინციპები თვალსაჩინოებისთვის დაფაზე ან ფლიპჩარტზეა დატანილი.

მოგება – მოგება: გადაწყვეტილება, სადაც ყველა მხარე მოგებულია.

მოგება – წაგება: გადაწყვეტილება, რომელიც ერთ მხარეს მოგებულ, ხოლო მეორე მხარეს წაგებულ პოზიციაზე ტოვებს.

წაგება – წაგება: გადაწყვეტილება, რომელიც არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ მოქმედებს.

2. მასწავლებელს მოჰყავს კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა გზის მაგალითები:

   გოგონა და ბიჭი ბურთის გამო კამათობენ. უფროსი ერევა მათ კამათში და ურჩევს, ერთად ითამაშონ ბურთით, ან თანაბარი დროით გაინაწილონ. ამ შემთხვევაში, ორივე მათგანი მოგებულია. თუ უფროსი ბურთს ერთ–ერთ მათგანს მიაკუთვნებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი მხარე დარჩება მოგებული. თუ უფროსი მათ ბურთს ჩამოართმევს, ვინაიდან ბავშვები ვერ თანხმდებიან, ვერც ერთი მათგანი ვეღარ ისარგებლებს ამ ბურთით.

3. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში ან ჯგუფებში. ისინი ცდილობენ, საკუთარი გამოცდილებიდან გაიხსენონ კონფლიქტის მაგალითები. მათ შეიძლება ოჯახში წარმოქმნილი, ან ჯგუფებს და, შესაძლოა, ქვეყნებს შორის მიმდინარე კონფლიქტის მაგალითები მოიყვანონ.

4. მოსწავლეები განიხილავენ კონფლიქტის მოგვარების მაგალითებს და აიგივებენ მათ ზემოთ მოყვანილ მოდელთან. არკვევენ, რომელი მხარე რჩება მოგებული. ვის შეუძლია, გამონახოს ისეთი გადაწყვეტილება, სადაც ორივე მხარე მოგებული რჩება?

5. პლენარული განხილვა: მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ კონფლიქტის ანალიზის შედეგად გაკეთებულ დასკვნებს.

ვარიანტი
მეორე საფეხურის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს მასალას, სადაც აღწერილია კონფლიქტი. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებად და ცდილობენ, მიაგნონ ისეთ გადაწყვეტილებას, სადაც არც ერთი მხარე არ აღმოჩნდება წაგებულის პოზიციაზე. მასწავლებელს შემდეგ შეუძლია მათ მიაწოდოს აღწერილი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ვარიანტი, რომელსაც მოსწავლეები

ადარებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს. ეს ანალიზი უნდა მოსდევდეს პოლიტიკური ციკლის მოდელს (იხ. სავარჯიშო 7.9).

სავარჯიშო 8.2. – სტრუქტურული მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები ეცნობიან კონფლიქტის მოგვარების ტექნიკას. ისინი აცნობიერებენ, რომ კონფლიქტის მოგვარება გარკვეულწილად დამოკიდებულია უნარზე, რომელიც გამომუშავებას ექვემდებარება.
რესურსები:	მასალა მოსწავლეებისთვის: „კონფლიქტის მოგვარება ექვს ეტაპად“. ჟურნალ–გაზეთები.

მსვლელობა

1. მასწავლებელი აღწერს კონფლიქტურ სიტუაციას, რომელსაც გარკვეული გადაწყვეტილება არ მოეძებნება (მაგ. ერთი მოსწავლე დასცინის მეორეს, რომელიც წარმოშობით სხვა ქვეყნიდან არის და მკვეთრი აქცენტით საუბრობს).

   სიტუაცია შეიძლება გათამაშდეს მოსწავლეების მიერ. მოსწავლეები მსჯელობენ, როგორ მოაგვარონ კონფლიქტი. ამგვარად, ისინი ადგენენ ამ სავარჯიშოში მოცემული მოდელის ელემენტებს ან წამოჭრიან საკითხებს, რომელზეც პასუხები მოცემულია მოდელში.

2. მასწავლებელი მოსწავლეთა ერთ ნაწილს ურიგებს მასალას მოსწავლეებისთვის: „კონფლიქტის მოგვარება ექვს ეტაპად“, რომელსაც ისინი ჩუმად ეცნობიან.

   კლასის მეორე ნახევარი ჟურნალ–გაზეთებში ეძებს სტატიას კონფლიქტურ სიტუაციაზე. მათ ასევე შეუძლიათ მოიყვანონ მაგალითი საკუთარი გამოცდილებიდან ან აღწერონ კონფლიქტი, რომლის თვითმხილველებიც ყოფილან.

3. მოსწავლეები ქმნიან ოთხკაციან ჯგუფებს, სადაც ორი მოსწავლე კლასის იმ ნაწილიდან არის, რომელსაც გასაცნობად გადაეცა „კონფლიქტის მოგვარება ექვს ეტაპად“, ხოლო დანარჩენი ორი მოსწავლე კლასის მეორე ნაწილიდან, რომელმაც კონფლიქტური სიტუაცია შეისწავლა.

4. მოსწავლეები ირჩევენ კონფლიქტურ სიტუაციას და კონფლიქტის მოგვარების შესახებ მოცემულ მოსაზრებებს უსადაგებენ ამ სიტუაციას.

   ორი მოსწავლე გაითამაშებს კონფლიქტს, დანარჩენი ორი კი მედიატორის ფუნქციას ასრულებს და სქემის დახმარებით ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას.

5. პლენარული განხილვა:

   - რა კონფლიქტის მოგვარება სცადეთ?
   - როგორ სცადეთ მისი მოგვარება?
   - დაგეხმარათ კონფლიქტის მოგვარების სქემა? (როგორ?)

ვარიანტი

1. მოსწავლეთა ჯგუფები განიხილავენ ერთსა და იმავე მაგალითს და მიღებულ შედეგებს ადარებენ ერთმანეთს.

2. მას შემდეგ, რაც შეისწავლიან მასალას „კონფლიქტის მოგვარება ექვს ეტაპად“, მოსწავლეები მოდელს უსადაგებენ კლასში რეალურად არსებულ კონფლიქტურ სიტუაციას.

მასალა

(იხ. შემდეგ გვერდზე)

მასალა მოსწავლეებისთვის: კონფლიქტის მოგვარება ექვს ეტაპად

1. საჭიროებების იდენტიფიცირება. „რა გჭირდება (რაში მდგომარეობს შენი მოთხოვნა)?“	ყველა პირმა, რომელიც მოცემულ კონფლიქტშია ჩართული, ამ კითხვას უნდა უპასუხოს მოწინააღმდეგე მხარისთვის ყოველგვარი ბრალდების წაყენების გარეშე.
2. პრობლემის განსაზღვრა. „რა წარმოადგენს პრობლემას მოცემულ სიტუაციაში?“	მთელ კლასს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პრობლემის ისეთი განსაზღვრების ჩამოყალიბებაში, რომელსაც დაეთანხმებიან კონფლიქტში მონაწილე დაპირისპირებული მხარეები.
3. გამოსავლის ძიება. „ვის შეუძლია პრობლემის მოგვარების შესაძლო გზები მიგვითითოს?“	მთელ კლასს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, ყოველგვარი კომენტარისა და ახსნა-განმარტების გარეშე, გადაწყვეტილების ვარიანტების წერილობითი ფორმით შემოთავაზებაში. ამ ეტაპის მიზანია, რაც შეიძლება მეტი გადაწყვეტილების მოძიება.
4. შესაძლო გადაწყვეტილებების შეფასება. „კმაყოფილი იქნები ამ გადაწყვეტილებით?“	კონფლიქტში მონაწილე ყოველი მხარე განიხილავს გადაწყვეტილებების შემოთავაზებულ ვარიანტებს და ასაბუთებს, რატომ არის, ან არ არის ისინი მათთვის მისაღები.
5. საუკეთესო გადაწყვეტილების შერჩევა. „ორივესთვის მისაღებია ეს გადაწყვეტილება? გადაჭრილ იქნა პრობლემა?“	გარკვეული უნდა იყოს, რომ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარე თანახმაა, მიღებულ იქნეს შერჩეული გადაწყვეტილება. მოსწავლეების მიერ გადაწყვეტილების ძიების პროცესში გაღებული ძალისხმევა დაფასებას საჭიროებს.
6. შერჩეული გადაწყვეტილების მართებულობის შემოწმება. „მოდით, ერთხელ კიდევ განვიხილოთ სიტუაცია, რათა დავრწმუნდეთ, რომ პრობლემა მოგვარებულია რეალურად.“	გადაწყვეტილების შესაფასებლად საჭიროა გეგმის შემუშავება. იმის გათვალისწინებით, თუ რა ტიპის კონფლიქტთან გვქონდა საქმე და რა ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ კონფლიქტში მონაწილე მხარეები, კონფლიქტის მოგვარების მიზნით მიღებული გადაწყვეტილების შეფასება შესაძლებელია რამდენიმე წუთის ან საათის შემდეგ, ან მომდევნო დღეს.

სავარჯიშო 8.3. – ოჯახური და წყვილებს შორის კონფლიქტი

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეები სწავლობენ კონფლიქტის სტრუქტურულ მოგვარებას.
რესურსები:	მასალა მოსწავლეებისთვის: „კონფლიქტის მოგვარება ექვს ეტაპად“ (იხ. სავარჯიშო 8.2).

მსვლელობა

1. მოსწავლეები ეცნობიან მასალას „კონფლიქტის მოგვარება ექვს ეტაპად“.

2. მასწავლებელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მოიყვანონ ოჯახურ გარემოში, სკოლაში ან სათამაშო მოედანზე წამოჭრილი ტიპური კონფლიქტის მაგალითები:

   ოჯახში:

   - ბავშვს უნდა თამაში, მაგრამ მის მშობლებს მიაჩნიათ, რომ მისთვის უმჯობესია, იმეცადინოს.
   - მოზარდს სჭირდება ფული კინოში/კონცერტზე/წვეულებაზე/პიკნიკზე წასასვლელად, მაგრამ მშობლებს, უპირველესად, სხვა ხარჯები აქვთ გასათვალისწინებელი.

   სათამაშო მოედანზე:

   - ბიჭები და გოგოები ვერ თანხმდებიან, როგორ გაინაწილონ სათამაშო მოედანი.
   - ბიჭები გოგოებს ხელს უშლიან თამაშში.

3. მოსწავლეები არჩევენ კონფლიქტის ერთ მაგალითს; იყოფიან ოთხ ან ექვსკაციან ჯგუფებად.

4. ყოველი ჯგუფი თავისთავად იყოფა ორ ნაწილად; ერთი ნაწილი მშობლების როლს ასრულებს, მეორე - შვილების (ან ბიჭების და გოგოების).

   ჯგუფების ნაწილები იკრიბებინ, რათა თავიანთი პოზიცია ჩამოაყალიბონ. შემდეგ ჯგუფი იკრიბება ერთად და ცდილობს, მოაგვაროს კონფლიქტი ექვსეტაპიანი გეგმის გამოყენებით.

   ამ ამოცანისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, კლასის ყველა მოსწავლე ერთად იყრის თავს.

5. ჯგუფები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. რა გადაწყვეტილებამდე მივიდნენ ისინი? იყო განსხვავებული გადაწყვეტილებები?

ვარიანტი

მოცემული სავარჯიშო შეიძლება მედიატორის როლის დამატებითაც შესრულდეს, მაგალითად, ერთი მოსწავლე ჯგუფიდან ასრულებს ბებიის ან პაპის როლს, რომელიც უძღვება მოლაპარაკების პროცესს.

სავარჯიშო 8.4. – გონებრივი იერიში კონფლიქტსა და მშვიდობაზე

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეებს შეუძლიათ განსაზღვრონ კონფლიქტისა და მშვიდობის ცნებები. მოსწავლეებს შეუძლიათ გაარჩიონ ერთმანეთისგან კონფლიქტი, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია და კონფლიქტი, რომლის მოგვარებაც შეუძლებელია.
რესურსები:	ფლიპჩარტები და ფერადი მარკერები.

მსვლელობა

1. ერთ–ერთ ფლიპჩარტზე წერია სიტყვა „კონფლიქტი“.
   მოსწავლეებს ეძლევათ ორი ამოცანა:

   – მათ უნდა ჩამოწერონ რაც შეიძლება ბევრი გამოთქმა და სიტყვა, რომელიც კონფლიქტს უკავშირდება.
   – ისინი ეძებენ და პოულობენ იმ ძირითად სიტყვებს, რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციას გამოხატავს.
   – სავარჯიშოს ეს ეტაპი სიჩუმეში მიმდინარეობს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

2. როდესაც მოსწავლეები ჩათვლიან, რომ ამოიწურა კონფლიქტთან დაკავშირებული მათი სიტყვების მარაგი, მასწავლებელი მეორე ფლიპჩარტზე წერს სიტყვა „მშვიდობას“.

   მეორდება იგივე პროცედურა.

3. მოსწავლეები განიხილავენ შედეგებს.

4. მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის იდეას, როგორ დაახარისხონ კონფლიქტები:

   – კონფლიქტი, რომელიც შეიძლება მოგვარდეს;
   – კონფლიქტი, რომლის მოგვარებაც შეუძლებელია.

   კონფლიქტის მოგვარება ისე, რომ წაგებული არავინ დარჩეს (იხ. სავარჯიშო 8.1), როგორც წესი, შესაძლებელია კომპრომისის საშუალებით, მაგალითად, როდესაც მწირი რესურსების თანაბარი განაწილების საშუალება არსებობს. თუ ნამცხვარი პატარაა და ყველას ამ ნამცხვრის პატარა ნაჭერი უნდა ერგოს, ამ გადაწყვეტილებას ყველა ეთანხმება, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პატარა ნაჭერი მათ არ დაანაყრებთ. მაგრამ როცა კონფლიქტი ღირებულებებსა და რელიგიურ მრწამსს ეხება, კომპრომისი შეუძლებელია. ხოლო, როცა კონფლიქტი ჩნდება ეთნიკური ან რასობრივი დაპირისპირების საფუძველზე, იქმნება კონფლიქტში მონაწილე ერთი მხარის განდევნის ან ფიზიკური განადგურების საფრთხეც კი. რაც უფრო რაციონალურად უდგებიან კონფლიქტში მონაწილე მხარეები მათ შორის არსებულ კონფლიქტს, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ კონფლიქტი მოლაპარაკებისა და კომპრომისის საშუალებით მოგვარდეს, ნაცვლად ძალადობრივი მეთოდებისა. იმისთვის, რომ კონფლიქტი რაციონალურად მოგვარდეს, კონფლიქტში მონაწილე მხარეებს უნდა შეეძლოთ კონფლიქტის საგნის გამიჯვნა მათი ოპონენტისგან, პატივი უნდა სცენ ოპონენტების ღირსებას და არ დაარღვიონ მათი უფლებები.

გაგრძელება

მოსწავლეები საკუთარი ნახატებით აღწერენ კონფლიქტისა და მშვიდობის სხვადასხვა სიტუაციას, ან მოჰყავთ მაგალითები გაზეთებში დაბეჭდილი სტატიების და გამოქვეყნებული ფოტოების სახით.

სავარჯიშო 8.5. – ქანდაკებები

საგანმანათლებლო მიზანი:	მოსწავლეებს შეუძლიათ ამოიცნონ ჩაგვრისა და შევიწროების შემთხვევები, შემოქმედებითად მიუდგნენ კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოგვარებას და გამოიყენონ სხეულის ენა, როგორც გამოხატვის საშუალება.
რესურსები:	არ არის საჭირო.

მსვლელობა

1. მოსწავლეები სავარჯიშოსთვის მოსამზადებელ სამუშაოს ასრულებენ წყვილებში:

   – ერთი მოსწავლე მისთვის სასურველ პოზას იკავებს; მეორე მოსწავლე ცდილობს, მას მიბაძოს. შემდეგ ისინი ცვლიან როლებს.

   – ერთი მოსწავლე ხელს მეორე მოსწავლის ხელიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით იჭერს. როდესაც იგი ხელს ამოძრავებს, მეორე მოსწავლემ უნდა შეძლოს, საკუთარი ხელის მოძრაობა ააყოლოს პირველის ხელის მოძრაობას ისე, რომ არ დაირღვეს მათ შორის არსებული დისტანცია, რაც უნდა უხერხული პოზის დაკავება მოუწიოს.

   ზემოთ მოცემული სავარჯიშოები მოსწავლეებს უვითარებს ერთმანეთზე დაკვირვების უნარს.

2. მთელი კლასი ერთად ასახელებს და განიხილავს ჩაგვრისა და შევიწროების შემთხვევებს:

   – ორი ან მეტი მოსწავლე ირჩევს ერთ სიტუაციას და ჯგუფურად განასახიერებს ქანდაკებას, რომელიც ჩაგვრასა და შევიწროებას ასახავს (მაგ: ჩამუხლული ბავშვი ფეხსაცმელს უსუფთავებს სკამზე მჯდომ მდიდარ კაცს).
   – მაყურებლის როლში მყოფი მოსწავლეები ფიქრობენ, როგორ გამოასწორონ უსამართლო სიტუაცია და ქანდაკების როლში მყოფ მოსწავლეებს, თავიანთი მოსაზრების მიხედვით, აცვლევინებენ პოზას.

   უმჯობესია, სავარჯიშო სრულ სიჩუმეში მიმდინარეობდეს, რაც მოსწავლეებს საშუალებს აძლევს, გამოიყენონ სხეულის ენა და ერთმანეთს სიტყვების გარეშე გააგებინონ სათქმელი.

3. მოსწავლეთა ჯგუფები ერთმანეთის მონაცვლეობით გამოდიან ქანდაკებების როლში.

4. გაკვეთილის ბოლო 10 – 15 წუთი განხილვასა და შეჯამებას ეთმობა. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და წამოაყენებენ მათთვის საინტერესო საკითხებს, რომელთაც ერთად განიხილავენ.

ვარიანტი

1. იგივე სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს ადამიანისა და ბავშვის უფლებების და მათი დარღვევის შემთხვევათა საილუსტრაციოდ.

2. იგივე სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს კონფლიქტურ სიტუაციათა საილუსტრაციოდ.

სავარჯიშო 8.6. – სასჯელი კონფლიქტის პოზიტიური მოგვარების წინააღმდეგ

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები ეცნობიან კანონისა და ჯგუფში მოქმედი წესების ცნებას. მოსწავლეებს შეუძლიათ მოისმინონ განსხვავებული აზრი და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოსწავლეებს შეუძლიათ შემოქმედებითად მიუდგნენ კონფლიქტის მოგვარებას.
რესურსები:	მასალა მოსწავლეებისთვის „სასჯელთა სია“.

მსვლელობა

1. მოსწავლეები ასახელებენ სასჯელის ფორმებს. გაკვეთილის დასაწყისში ისინი ექსპერტთა როლში გამოდიან. მათ ეძლევათ საშუალება, მოიყვანონ მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან და დაკვირვების შედეგად მიღებული ცოდნა გამოამჟღავნონ. ასევე, მათ შეუძლიათ, თავიანთი კომენტარი დაურთონ სხვა მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

   მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სავარჯიშოსთვის განკუთვნილ მასალას „სასჯელთა სია“. მოსწავლეები მას ჩუმად ეცნობიან.

2. მოსწავლეები სამ ან ოთხკაციან ჯგუფებში მსჯელობენ, რომელი სასჯელია ეფექტური და რომელი - არაეფექტური.

3. ჯგუფები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შედეგებს (შესაძლებელია ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილებაც, როგორც ეს აღწერილია სავარჯიშოში „ასაწყობი სურათი“, იხ. სავარჯიშო 5.3).

4. მოსწავლეები უბრუნდებიან საკუთარ ჯგუფებს და განიხილავენ, რომელი სასჯელი შეესაბამება მოცემულ შემთხვევებს:

   - მოსწავლე იგვიანებს სკოლაში.
   - მოსწავლეს არა აქვს შესრულებული საშინაო დავალება.
   - გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლე ხელს უშლის სხვებს მუშაობაში.
   - მოსწავლე შეურაცხყოფას აყენებს სხვა მოსწავლეს მისი განსხვავებული ეთნიკური წარმოშობის ან რელიგიური მრწამსის გამო.
   - მოსწავლე ბიჭი აწუხებს და თავს აბეზრებს მოსწავლე გოგოს.
   - მოსწავლე ცუდად იქცევა გაკვეთილზე ან შესვენების დროს.

5. მოსწავლეთა ჯგუფები თავიანთ შედეგებს აცნობენ მთელ კლასს.

   იმართება დისკუსია, რომლის დროსაც მოსწავლეები განიხილავენ შემდეგ საკითხს: აქვს ალტერნატივა რომელიმე სასჯელს (მაგ. დამნაშავესა და მსხვერპლს შორის მორიგება)?

გაგრძელება

მოსწავლეები კლასში გაითამაშებენ სცენას, რომლის დროსაც შეეცდებიან, შემოქმედებითად მიუდგნენ კონფლიქტის მოგვარებას.

მასალა

(იხ. შემდეგ გვერდზე)

მასალა მოსწავლეებისთვის

სასჯელთა სია

1. ლექსის დაწერა.

2. პატარა ბავშვებისთვის ზღაპრის მოყოლა.

3. სახუმარო ამბების მოყოლა კლასში.

4. ათჯერ ხელებზე აწევა ცუდი სიტყვის გამოყენების გამო.

5. სკოლაში, გაკვეთილების შემდეგ იმდენივე ხნით დარჩენა, რამდენი ხანიც დააგვიანე დილით.

6. წერის დროს ფეხზე დგომა.

7. კლასში სხვა მოსწავლეებისთვის გაკვეთილის მომზადება.

8. ერთი საათი მუშაობა სკოლის ბაღში.

9. სკოლის მოედნის დასუფთავება.

10. კლასის დალაგება/დასუფთავება.

11. გაკვეთილზე არდაშვება.

12. სკოლის შენობის გარშემო ათი წრის გარბენა.

13. კლასში დატოვება შესვენების დროს.

14. დამატებითი გაკვეთილი იმ საგანში, რომელშიც მოსწავლე სუსტია.

15. ჯარიმის დაკისრება, რომელიც საერთო ხარჯებს მოხმარდება.

16. ახსნა–განმარტება და შეწყნარების თხოვნა წერილობითი ფორმით.

17. სხვა სასჯელი...

სავარჯიშო 8.7. – უმცირესობები

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ გარიყულობის შეგრძნება უკავშირდება არა მარტო იმას, თუ როგორ აღგიქვამენ შენ საზოგადოების სხვა წევრები, არამედ იმას, თუ როგორ აღგიქვამენ იმ ჯგუფის წევრები, რომელსაც შენ ეკუთვნი.
რესურსები:	ბარათები თითოეული ჯგუფისთვის.
	ორ–ორი ფლიპჩარტი თითოეული ჯგუფისთვის, ერთი წარწერით „გრძნობა“, მეორე - წარწერით „მოქმედება“.
	მარკერები.

მსვლელობა

სავარჯიშოს დასაწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა არ იცოდნენ, ვისი განსახიერება მოუწევთ მოცემული სავარჯიშოს შესრულებისას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გონებაში წამოტივტივდება სტერეოტიპი, რომელიც ხელს შეუშლის სავარჯიშოს მსვლელობას.

სავარჯიშოს წარმატებით შესრულება მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის სწორი და მკაცრად განსაზღვრული ინსტრუქციის მიცემაზეა დამოკიდებული, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს ეძლევათ საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის საშუალება.

1. მოსწავლეები ქმნიან ოთხ ან ექვსკაციან ჯგუფებს (სასურველია, ერთ ჯგუფში არ იყოს ექვსზე მეტი მოსწავლე).

2. თითოეულ ჯგუფს ურიგდება ბარათები, რომელზეც ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შესახებ პოზიტიური ინფორმაციაა მოცემული, მარკერი და ორი ფლიპჩარტი. მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, აირჩიონ ერთი მოსწავლე, რომელიც ჯგუფის მიერ გაკეთებული კომენტარების შესახებ ჩანაწერების წარმოებაზე იქნება პასუხისმგებელი. შესაძლებელია მეორე ვარიანტიც, ყოველმა მოსწავლემ საკუთარი ჩანაწერი აწარმოოს.

3. მასწავლებელი აუწყებს მოსწავლეებს, რომ სავარჯიშოს შესრულების პროცესში მათ თავი უნდა წარმოიდგინონ იმ უმცირესობათა ჯგუფის წევრებად, რომლის შესახებაც ინფორმაცია ბარათების საშუალებით მიეწოდებათ. მათ გარკვეულ ეტაპზე მოუწევთ დაფიქრება იმის შესახებ, თუ ვის წარმოადგენენ.

4. მოსწავლეები ჯგუფებში რიგრიგობით კითხულობენ ბარათზე დატანილ ინფორმაციას. როდესაც ისინი გაეცნობიან ექვსივე ბარათს, მათ უნდა უპასუხონ კითხვას, „რას გრძნობთ, როგორც მოცემული ჯგუფის წევრი?“ საკუთარი პასუხები მათ წერილობითი ფორმით გადააქვთ ფლიპჩარტზე, რომელსაც აწერია „გრძნობა“.

5. მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ბარათებს, რომელზეც ადამიანთა იმავე ჯგუფის შესახებ ნეგატიური ინფორმაციაა მოცემული. ჯგუფები იმეორებენ მე–4 საფეხურს.

6. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეთა ჯგუფებს, პასუხი გასცენ შემდეგ კითხვას: „რას მოიმოქმედებდით მსგავს სიტუაციაში?“ ამ კითხვაზე პასუხები ჯგუფებმა უნდა დაიტანონ ფლიპჩარტზე, რომელსაც აწერია „მოქმედება“. მოსწავლეებს უნდა შევახსენოთ, რომ ამ ეტაპზე ისინი იმავე ჯგუფს წარმოადგენენ, რომელსაც სავარჯიშოს პირველი ნაწილის შესრულებისას. მათი ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რას გრძნობენ, როდესაც ჯგუფის დადებით მხარეებს ეცნობიან, შეიძლება დაეხმაროთ იმის განსაზღვრაში, თუ როგორ უნდა იმოქმედონ.

7. პლენარული განხილვა:

- ყოველი ჯგუფი კლასის დანარჩენ მოსწავლეებს აცნობს თავის ნამუშევარს, რომელიც მათ პირველ ფლიპჩარტზე („გრძნობა“) შეასრულეს.

- მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი გააცნობს კლასს საკუთარ ფლიპჩარტს „გრძნობა“, ჯგუფები ერთმანეთს წარუდგენენ ფლიპჩარტს „მოქმედება“. მოსწავლეები მსჯელობენ და თანხმდებიან იმის შესახებ, თუ ჯგუფების მიერ შემოთავაზებული მოქმედებებიდან რომელია ქმედითი და რომელი გულისხმობს ძალადობას. ასევე, მოსწავლეები განიხილავენ იმ განსხვავებებს, რომელიც ჯგუფების პასუხებს შორის გამოიკვეთა.

8. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაუზიარონ სხვებს, როგორ მუშაობდნენ ჯგუფში და აღწერონ ის პრობლემები, რომელიც მათ შეექმნათ სავარჯიშოს შესრულების დროს (თანამშრომლობა, ლიდერობა და ა.შ.). ასევე, მოსწავლეები მსჯელობენ იმაზე, თუ რა იყო მათთვის ახალი ამ სავარჯიშოს შესრულებისას: რა შეიტყვეს მათ საკუთარი თავის, საკუთარი რეაქციების და ჯგუფის შესახებ. შეუძლიათ თუ არა ურთიერთობა დაამყარონ იმ ჯგუფთან, რომელსაც სავარჯიშოს შესრულებისას წარმოადგენდნენ, ან სხვა რომელიმე მსგავს ჯგუფთან?

9. ბოლოს მასწავლებელი აუწყებს მოსწავლეებს, რომ ჯგუფი, რომლის შესახებაც მათ ინფორმაცია ბარათებიდან მიიღეს და რომელსაც ისინი განასახიერებდნენ, არის ბოშათა ჯგუფი.

გაგრძელება

მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს ადარებენ საერთაშორისო კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ[8]. ასევე, მოსწავლეებს შეუძლიათ განიხილონ, აღწერილი სიტუაცია რამდენად შეესაბამება რეალობას მათ ქვეყანაში და რა ზომებს მიმართავს ხელისუფლება არსებულ პრობლემასთან გამკლავების მიზნით. მოსწავლეები იკვლევენ ჯგუფების მიერ შემოთავაზებული „მოქმედებებიდან“ რომელიმე შეესაბამება თუ არა კონვენციაში მოცემულ მუხლებს.

მასალა

(იხ. შემდეგ გვერდზე)

[8] საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე 1963 წლის 20 ნოემბერს. კონვენციის ტექსტი შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტით.

მასალა

ბარათები პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაციით

ჩვენი სახლები განსხვავდება ყველა დანარჩენი ხალხის სახლებისგან. ისინი განსაკუთრებულია და ჩვენ ძალიან გვიყვარს. ჩვენ სიამოვნებით ვიცავთ ჩვენს ტრადიციებს.	ტელევიზია და პრესა ჩვენ შესახებ სიმართლეს არ აშუქებს. მათი აზრით, ჩვენ პრობლემას წარმოვადგენთ. არ გვეძლევა საშუალება, საკუთარ თავზე თავად ვილაპარაკოთ.
ჩვენ ძალიან უნარიანი ხალხი ვართ. მრავალი ხელობა გვეხერხება, რისი წყალობითაც ჩვენი წვლილი შეგვაქვს იმ ქვეყანაში, რომელშიც ვცხოვრობთ.	ზოგიერთი ადამიანი ცუდად გვეპყრობა და შეურაცხმყოფელ სახელებს გვიწოდებს. რიგ შემთხვევებში ჩვენზე თავდასხმა უმიზეზოდ ხორციელდება. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საზღვარგარეთ, ათასობით ჩვენი წარმომადგენელი ჩახოცეს.
წარსულში ჩვენს წინაპრებს ბევრი საგმირო საქმე აქვთ ჩადენილი. ჩვენ ყოველთვის გვახსოვს ჩვენი ისტორია და გვსიამოვნებს მისი გახსენება.	ჩვენ არასდროს გვქონია წყალგაყვანილობა, ჩვენს ტერიტორიაზე არ მოქმედებს დასუფთავების სამსახური.
ჩვენ დამოუკიდებელი ხალხი ვართ. გვირჩევნია, საკუთარ თავზე თავად ვიზრუნოთ. არავისი არაფერი გვმართებს.	ზოგიერთი ექიმი უარს ამბობს ჩვენს დახმარებაზე, როცა ავად ვხდებით. თითქმის ვერასდროს ვიღებთ სოციალურ დახმარებებს.
ჩვენ მოგვწონს, როცა ვიკრიბებით და ვყვებით ისტორიებს, ვმღერით. ჩვენი აზრით, ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი სიცოცხლის სიყვარულია.	ხალხს არ სურთ ჩვენს მეზობლად სახლობა. სამუშაოზე უარს გვეუბნებიან, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი წარმომავლობის გამო.
ჩვენ ვცდილობთ, საკუთარი ოჯახებისა და მეგობრებისგან მოშორებით არ ვიცხოვროთ. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს მოხუცებზე. გვიყვარს საკუთარი შვილები.	ხშირად გვაქვს პრობლემები პოლიციასთან და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ვიმყოფებით.

სავარჯიშო 8.8. – ომისა და მშვიდობის სურათები

საგანმანათლებლო მიზანი:	
	მოსწავლეები განმარტავენ ომისა და მშვიდობის ასპექტებს. მოსწავლეებს უვითარდებათ წარმოსახვის უნარი. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ომისა და მშვიდობის შესახებ.
რესურსები:	სურათების ნაკრები (მათ შორის, ფოტოები, კარიკატურები, სარეკლამო ჩანახატები და ა.შ.).

მსვლელობა

1. მასწავლებელი რამდენიმე სურათს მოსწავლეებისთვის თვალსაჩინო ადგილზე გამოფენს. უმჯობესია მათი კედლებზე განთავსება საკლასო ოთახის გარშემო ან კარგად განათებულ ჰოლში. მოსწავლეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, დაათვალიერონ სურათები ისე, როგორც ეს გამოფენაზე ხდება.

2. მოსწავლეებს უშუალო და დაუყოვნებელი რეაგირების შესაძლებლობა ეძლევათ. რომელ სურათზეა ასახული მშვიდობა და რომელზე ომი? მასწავლებელი არ აიძულებს მოსწავლეებს, რაიმე კომენტარი გააკეთონ სურათების შესახებ. ამ შესავალი საფეხურის შემდეგ მასწავლებელი აღნიშნავს, ემთხვეოდა თუ არა მოსწავლეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ერთმანეთს. მოსაზრებათა შორის განსხვავებების შესახებ მასწავლებელი არ საუბრობს.

3. მოსწავლეები ირჩევენ სურათს, რომელიც მათ განსაკუთრებით მოეწონათ. მათ შეუძლიათ, ახლოდან დაათვალიერონ და შეისწავლონ იგი, თუ ამის სურვილი ექნებათ. სრულ სიჩუმეში ისინი წერილობითი ფორმით პასუხობენ შემდეგ კითხვებს:

   – რას ხედავთ (აღწერა)?
   – რა ფიქრებს აღძრავს სურათი (წარმოსახვა)?
   – რა გრძნობებს აღძრავს სურათი (ემოცია)?

4. მოსწავლეები ქმნიან ოთხკაციან ჯგუფებს, ირჩევენ სურათებს და ქმნიან სურათების კონტრასტულ წყვილებს. მათ შეუძლიათ, მესამე საფეხურზე განხილული სურათები აირჩიონ, ან აირჩიონ ნებისმიერი.

5. მოსწავლეები საკუთარ არჩევანს წარუდგენენ კლასს და მსჯელობენ იმაზე, თუ რამ განაპირობა მათი არჩევანი. თუ დრო არ არის საკმარისი, თითოეულ ჯგუფს სურათების ერთი კონტრასტული წყვილის წარდგენის საშუალება მაინც უნდა მიეცეს.

6. შეჯამება. მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ ემოციებს და გამოთქვამენ ნააზრევს. მათ, შესაძლოა, კითხვებიც გაუჩნდეთ სურათებზე გამოსახულ სიტუაციებთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ განხილვას საჭიროებს.

გაგრძელება

იგივე თემა შესაძლოა შესწავლილ იქნეს ლიტერატურულ და მხატვრების ნამუშევართა გამოყენებით.

კლასი აწყობს გამოფენას, რომელიც მოცემულ თემებს ეძღვნება.

ილუსტრაციები

წინასიტყვაობა

ამ წიგნის ილუსტრაციები ეკუთვნის შვეიცარიელ მხატვარს პეტი ვისკემანს. მხატვრული საშუალებების გამოყენებით, ილუსტრაციებში გამოხატულია ის ძირითადი თემები, რომლის გარშემოც სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოებია აგებული. ილუსტრაციები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ახალი ხედვით მიუდგნენ დემოკრატიულ მოქალაქეობასა და ადამიანის უფლებებს. შემდეგ ფურცლებზე მოცემული ნახატების რეპროდუქციები განკუთვნილია გადასაღებად და კლასში, თვალსაჩინოების მიზნით, მოსწავლეებისთვის მისაწოდებლად.

საკლასო გარემოს შექმნა

ილუსტრაცია. თავი 1

ღირებულებების განსაზღვრა



ილუსტრაცია. თავი 2

ადამიანის უფლებების გაცნობა

ილუსტრაცია. თავი 3
განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებებისათვის – წიგნი VI
დემოკრატიის სწავლება
სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ
სწავლებისათვის

არსებობენ სხვებიც

ილუსტრაცია. თავი 4

სამართლიანობის
აღსრულება



ილუსტრაცია. თავი 5

პოლიტიკური ფილოსოფიის გაცნობა



ილუსტრაცია. თავი 6

მონაწილეობა პოლიტიკაში

ილუსტრაცია. თავი 7

კონფლიქტის მოგვარება

ილუსტრაცია. თავი 8

წინამდებარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის წარმოადგენს სავარჯიშოებისა და მოდელებისგან შემდგარ კრებულს და განკუთვნილია სკოლებსა და არაფორმალური განათლების დაწესებულებებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისთვის. მოცემული სასწავლო მოდელები ხელსაყრელ გარემოს ქმნის მოსწავლეთა აქტივობისთვის, სთავაზობს მათ მაგალითებს და გზას უკვალავს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპების აღქმისაკენ. სავარჯიშოთა უმრავლესობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მცირეოდენი ცვლილების შეტანით მოვარგოთ ისინი მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს.

გამოყენებულ მეთოდთა მრავალფეროვნება მეტყველებს იმაზე, რომ მოცემული წიგნის ავტორები არიან გამოცდილი სპეციალისტები, ევროპის ყველა კუთხიდან, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით სახელმძღვანელოს შექმნაში, სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა წყაროსა და ტრადიციის მოწოდებით და იმ მოდელების შერჩევით, რომელთა ეფექტურობაც დამტკიცებულ იქნა მათი პრაქტიკული გამოცდილებით. მიუხედავად ამისა, წიგნის ყველა ნაწილი დასტურია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისადმი ერთიანი მიდგომისა: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში გამოყენებული მეთოდი შეიცავს მნიშვნელოვან გზავნილს. მოცემული სახელმძღვანელო მასწავლებლებს სთავაზობს შესაძლებლობას, აარჩიოს და პრაქტიკაში დანერგოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების განსხვავებული ტრადიციები და მეთოდები.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ექვსი წიგნისაგან შემდგარი გამოცემის პირველ წიგნს:

წიგნი I: *განათლება დემოკრატიისათვის*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

წიგნი II: *ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი III: *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის

წიგნი IV: *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

წიგნი V: *ბავშვთა უფლებების კვლევა*
ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება*
სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

www.coe.int

ევროპის საბჭოში გაწევრიანებულია 47 სახელმწიფო და იგი პრაქტიკულად მოიცავს ევროპის მთელ კონტინენტს. ევროპის საბჭოს მიზანია, შექმნას საერთო დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციაზე და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც ადამიანის დაცვას შეეხება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს მისი დაარსების დღიდან, ევროპის საბჭო წარმოადგენს შერიგების სიმბოლოს.